ოგელიო კარლოსო

ეარჯნის ეერპნი

„ნაკადული"
თბილისი
1988

84.7 куб
Ч 263

ავტორი მწერალი ონელიო ხორხე კარდოსო 1914 წელს დაიბადა ღარიბი კაცის ოჯახში. გაჭირვებით დამთავრა საშუალო სასწავლებელი. თავი რომ გაეტანა, ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილსა და ხელობას. წერა 30-იან წლებში დაიწყო. კარდოსოს ნაწერებს ცხოვრების ღრმა ცოდნა და დაკვირვებული ადამიანის თვალი ეტყობა. მისი გმირები ემთავრესად საზოგადოების დაბალ ფენას ეკუთვნიან. მწერლის თხრობის მანერა ლაკონური და თავშეკავებულია: თავშეკავებული, ძალიან ბევრთის ადამიანები არიან მისი პერსონაჟებიც. მათი სიხარული თუ წუხილი, სიყვარული თუ სიძულილი უთუოდ კეთილშობილურ გამოძახილს ეძოვებს ჩვენ მკითხველის გულში.

თარგმნა

კავლე ჩარკვიანმა

მეორე გამოცემა

© „ნაკადული“, 1988

70803—66
К ————————
М—603 (08)—88

მარჯნის მერანი

ოთხნი ვიყავით პატარა ხომალდ „ეუმელიაზე". ასთაკვებზე ნადირობით ვირჩენდით თავს. ხომალდს ერთადერთი ანძა ჰქონდა და ღამღამობით რომელიმე ჩვენგანს ხელით ან ფეხით ეჭირა შტურვალი, დანარჩენებს კი, ერთმანეთზე მიწყობილებს, წინაერდოში გვეძინა. როცა ტალღები ხომალდს აქანავებდნენ, ტრიუმის ჭუჭყიანი წყალი კოჭებს გვილოკავდა.

სხვანაირი ცხოვრება ვერც წარმოგვედგინა. განა ასე არ არის: რაკი ერთხელ დაადგები რომელიმე გზას, მერე ამ გზიდან გადახვევა შეუძლებელი გეჩვენება, თან გზასაც ეჩვევი და მიდიხარ და მიდიხარ. ჩვენც ასე გვეგონა მანამდე, სანამ ხომალდზე მეხუთე კაცი არ შემოგვიერთდა, — იმ დღიდან ყველაფერი შეიცვალა... იმას ჩვენი საქმისა და ჩვენი ცხოვრების არაფერი გაეგებოდა, ასაკითაც მამად შეგვეფერებოდა. ამასთან მდიდარი იყო და ჩვენ თუ ასთაკვების ჭერით პესეტებს ვშოულობდით, იმას თავსაყრელად ჰქონდა ფული.

ეს კაცია და მისი საქციელიც ახირებულად მიგვაჩნდა, ჭკუაში არ გვიჯდებოდა. ვგრძნობდი, ჩვენი უკმაყოფილება ჩვენს ყოველ გამოხედვაში რომ მეღავნდებოდა და უსიტყვოდაც ცხადი იყო, ადრე თუ გვიან თავს იჩენდა. მესამე დღეს ველარ მოვითმინე და მე თვითონ ჩამოვაგდე სიტყვა ამ უცნობზე:

— ძობგო, ერთი მითხარ, ამ ბატონს აქ რა უნდა?

— ზღვის ფსკერს ათვალიერებს.

— ასთაკვებს რომ არ იჭერს?

— კაცია და გუნება! უნდა და ათვალიერებს.

— მერე? როგორა გგონია, ასე უფრო მეტ ასთაკვს დავიჭერთ?

— არა, მაგრამ განა სულ ერთი არ არის, ასთაკვებში ავიღებთ ფულს თუ მაგის წყალობით ჩავიჯიბავთ?

— რაღაც ვერ გავიგე.

— ჩავიჯიბავთ და თანაც კარგა ბლომად — სულ ცინცხალ მონეტებს.

— მაშ, ფულს გადაგვიხდის?

— გადაგვიხდის!

— მაინც რამდენს?

— რამდენსაც მოვითხოვთ! — მითხრა მონგომ და ღიმილით მომაჩერდა, თითქოს უნდა დარწმუნებულიყო, გავიგე თუ არა, სად იყო ძაღლის თავი დამარხული.

— მერე გააფრთხილე, რომ ზოგჯერ მთელი კვირაობით გვიხდება ზღვაში დარჩენა?

— გავაფრთხილე.

— ისიც უთხარი, ზღვის წყალი მაცივრიდან გამოღებული შამპანური რომ არ არის?

— ვუთხარი.

— იცოდა, რომ ფუმფულა ქვეშაგების ნაცვლად სმელი ფიცრები დახვდებოდა აქ?

— ეგეც იცოდა, ყველაფერი იცოდა და აკი არაფერს ჩივის. ლუსიო, შენ, ყოველ შემთხვევისათვის, მაინც შემოინახე რამდენიმე კითხვა; ხომ იცი, ზღვაში კითხვები სიგარეტებივითაა — მოგინდება მოწევა და სადღაა, გათავებულა!

ხომალდის პატრონმა სწორედ იმ დროს შემაქცია ზურგი, როცა ელ გაიუელოზე საღამოს ვარსკვლავი აკიაფდა.

ამ კაცზე ფიქრმა ღამე გამატეხინა, რად წევს მთელი დღე პირქვე და ზღვას რად ჩასცქერის, მაშინ როცა მის ირგვლივ ყველა რაღაცას საქმიანობს? იქნებ ვინმეს ემალება და ეშინია სხვა გემიდან არ შემნიშნონო? ამ ნაღდი კაპიტალის მფლობელ კაცს რა დარჩენია ჩვენთან, რად მიატოვა ხმელეთი და ამ ნაფოტა „ეუმელიაზე“ რა უნდა, რომელსაც, ღმერთმა უწყის, საით გაიტაცებს ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი-მეთქი, — ვფიქრობდი ჩემთვის.

განთიადზე. როგორც იყო, ჩამეძინა. მთელი დღე ასთაკვე-

ბის ჭერაში გავატარე. დაძაბული ჩავცქეროდი ზღვის ფსკერს, თვალები მეტკინა და ბოლოს ისე დამეძინა, როგორც მხოლოდ ასთაკვებზე ნადირობით დაღლილ კაცს დაეძინება ხოლმე.

დილით უცებ მივხვდი ყველაფერს: სწრაფმავალი გემის გამოჩენას უცდის, რომ იმაზე გადაჯდეს. ეტყობა, იუკატანზე მექსიკელებთან გარბის. რამე დანაშაული ექნება ჩადენილი! ალბათ ქრთამით ვერ მოახერხა თავის დახსნა და ახლა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, თავს უნდა უშველოს. აი, რატომ ამბობდა ჩვენი უფროსი, რამდენსაც მოვთხოვთ, იმდენს გადაგვიხდისო.

მთელი დღე ისევ კანჭოს ქიმზე პირქვე გადაკიდებულმა გავატარე, პედრიტო ნიჩბებთან იჯდა, ხოლო „ეუმელიას“ ღუსა ჰქონდა ჩაშვებული და იდგა. ირგვლივ მშვიდი ზღვა გადაშლილიყო, მის სარკესავით ზედაპირზე კი მზე ირეკლებოდა.

— ეს ტიპიც მთელი დღე ხომალდის ქიმზე იყო გადაკიდებული. ფსკერისთვის თვალი არ მოუწყვეტია, — იცინოდა პედრიტო, მე კი ხელებს ვიმშრალებდი, რომ სიგარეტი არ დამსველებოდა. პედრიტოს ვკითხე:

— როგორა გგონია, ეს კაცი გემს არ უცდის?

— რომელ გემს?

— რა ვიცი, თუნდაც იუკატანისკენ მიმავალს.

პედრიტომ გულუბრყვილო, ცისფერი თვალები დააშყიტა, მის თვალებში ზღვისა და თითქმეტი წლის ყმაწვილის სიწმინდე იხატებოდა.

— რას ამბობ?

— ალბათ კუბიდან გაქცევას აპირებს.

— როგორც კი გაავდრდება, მაშინვე ხმელეთზე დავბრუნდებიო, რომ თქვა?

— შენი ყურით გაგონე?

— აბა რა! მონგოს უთხრა: სანამ უქარო ამინდია, თქვენთან ვიქნები, მერე კი მაინ დავბრუნდებიო.

— როგორ!

— ასე ვართ მოლაპარაკებულნი. ნიავი დაუბერავს თუ არა, ნაპირზე გადავსვამთ.

მაშასადამე, ამ ადამიანს გაქცევა არ უდევს გულში და თანაც მდიდარია. არა, თუ კაცი ასთაკვებს არ იშერს, ისე ვერ მიხვდება, რა-

ტომ მიჭირდა ასეთი რამის გაგება. ეშმაკმა იცის, ზოგჯერ რა აზრი არ დაგებადება და რას არ დააპირებ, რომ სამუდამოდ დააღწიო თავი ამ წყეულ შავ სოროში ღამის თევასა და მთელი დღის განმავლობაში ნავის კიჩოზე თავდაყირა წოლას.

პედრიტომ ნიჩბები გადმომცა და უხმოდ გავცურეთ იალქნიანი ხომალდისაკენ.

ხომალდის კიჩოს რომ ჩავუარეთ, ზევით ავიხედე. უცნობი ისევ პირქვე იწვა, ყურადღებაც არ მოუქცევია ჩვენთვის, მგონი, ნიჩბების დგაფუნიც არ გაუგია. მხოლოდ მაშინ შეიშმუშნა უსიამოვნოდ, როცა ნიჩბებმა ზღვის კრიალა ზედაპირის ის ადგილი გააპო, საიდანაც თვალმოუშორებლივ ჩასცქეროდა ფსკერს.

ცხადია, კაცს შეუძლია, თავის ნებაზე ხარჯოს საკუთარი ფული, მაგრამ აქ რაღაც სხვანაირად იყო საქმე. ასე რატომ იქცეოდა ეს დიდთვალება, შუბლგახსნილი, უწყინარი ადამიანი? გადავწყვიტე, ხელახლა გამომეკითხა ჩვენი უფროსი.

— მონგო, ამ კაცს რა უნდა? რას დაეძებს? რაზე ფანტავს ფულს?

მონგო ბაღეს კემსავდა, პასუხის გასაცემად პირი დააღო, მაგრამ იქიდან მხოლოდ სიგარეტის კვამლი ამოკურდა ბოლქვებად და ჰაერში გაიფანტა.

— არ გეყურება, რას გეკითხები?

— მეყურება.

— მაშ, რადა დუმხარ?

— იმად, რომ ვიცი, რასაც უკირკიტებ და იმის მოფიქრება მინდა, როგორ აგიხსნა უკეთესად.

— როგორ და სიტყვებით.

— ცხადია, სიტყვებით. მაგრამ საქმე ის არის. რომ... — მონგო ჩემკენ შემობრუნდა და მახათი გვერდზე გადადო. ცოტა ხანს დავაცადე და კვლავ შევუტრიალე კითხვა.

— მგონი, უცნაური არაფერი მიკითხავს.

— სამაგიეროდ, ჩემი პასუხიდან შეიტყობ ბევრ უცნაურობას. ლუსიო, — სერიოზულად მიპასუხა მან. სულის მოთქმაც ვერ მოვასწარი გაკვირვების გამოსათქმელად, რომ პედრიტოს ყვირილი მოისმა:

— ბიჭებო. მეჩეჩზე გავირიყეთ!

ხომალდიდან გადმოვხტით და ყელამდე წყალში ჩამდგრები მანამდე ვაწვებოდით „ეუმელიას“, სანამ მორევებიან თავიხელზე არ გავცურეთ. მონგომ ისევ ბადეს მიხედა, მე კი საუზმე მქონდა მოსამზადებელი და ჩემს საქმეს მივაშურე. ასე რომ, იმ დღეს ხომალდის პატრონთან ლაპარაკი ვეღარ მოვახერხე. სამაგიეროდ, საშუალება მომეცა, უცნობისთვის მედევნებინა თვალყური. მის სახეს რომ ვაკვირდებოდი, შევნიშნე, მისი დიდი, ნათელი თვალები დიდხანს ვერ უძლებდნენ სხვის შეხედვას. უცნობი არ დამლაპარაკებია, უსმოდ მიწვა შტურვალთან და ღრმა ძილს მისცა თავი. საღამო ხანს ხომალდის პატრონმა გააღვიძა. მან ბინდბუნდში ცოტაოდენი წვნიანი შეხვრიპა და ისევ დაიძინა.

ელ გაიუელოს ვენახებიდან მსუბუქი სიო ქროდა. თეფშები ნაჩქარევად ამოვაცალე ზღვაში და წინაერდოსკენ გავემართე; იქ ჩვენი უფროსი გაშხლართულიყო სავსე მთვარის შუქზე და ნებივრობდა. შორიდან არ დამიწყია, პირდაპირ გადავედი დღისით შეწყვეტილ საუბარზე:

— მგონი. უცნაური არაფერი მიკითხავს.

მონგოს ჩაეცინა, წამოიწია და იდაყვს დაეყრდნო. სიგარის მოწევისას შუქი წითელი ალმურივით გადაურბენდა ხოლმე სახეზე.

— ამ კაცს თავში მთლად რიგზე ვერ უნდა ჰქონდეს ყველაფერი და ფულებით ფიქრობს მორჩენას.

— ამიტომ წევს მთელი დღე პირქვე და ამიტომ ათვალიერებს წყალს?

— წყალს კი არა. ფსკერს.

— რა განსხვავებაა. წყალს თუ ფსკერს. ასეა თუ ისე, დიდი ახირებული ვიღაცა ჩანს.

— ეგ ჩვენ არ გვეკითხება, რადგან ამ ახირებისათვის ფულს გვიხდის.

— გვეკითხება!

— რატომ?

თვითონაც არ ვიცი, რად მივახალე:

— იმიტომ. რომ მარტო ფულის აღება არ კმარა. ისიც უნდა იცოდე, რა აიძულებს ადამიანს, ფული გადაიხადოს.

— როგორ თუ „რა“? ვერ მიხვდი? ცოტას აფრენს.

— მერე ხომალდზე გიჟის გაჩერება ჭკუის ნიშანია?

— გაიგე, ლუსინო, თავისებური, უწყინარი ვიყია. მხოლოდ ქარს ვერ იტანს, ეგ არის და ეგ!

„ისევ ქარი“, — გავიფიქრე და გადავწყვიტე, მეკითხა:

— პეტრიტომაც ეგ მითხრა. ქარი რა შუაშია, მონგო? გუბესავით წყნარი ზღვა რად უნდა?

— აკი გითხარი, დარტყმულია-მეთქი.

— არა! — შევძახე მე და შეშინებულმა გავიხედე კიჩოსკენ. დარწმუნებული ვიყავ, რომ ის კაცი გავაღვიძე. ტენტის ქვეშ მთვარის შუქით განათებული შიშველი ფეხები მოჩანდა მხოლოდ, ჩამიჩუმი არ ისმოდა. მონგოს მივუბრუნდი, მან სიცილით მითხრა:

— ნუ გეშინია. სულელო! მაგისი სიგიჟე უბრალო ჟინია და ამაში გვიხდის ფულს. ეგ კაცი არავის არაფერს დაუშავებს.

— ჰო. მაგრამ ერთ კაცს ხომ შეუძლია მეორე მოთმინებიდან გამოიყვანოს! — წამოვიძახე და მივხვდი, რომ მონგო ახლა კი მეტყოდა მართალს.

— რაკი ასეა, გეტყვი: ეგ კაცი ამბობს, წყალქვეშ ოქროცა არისო.

— რა არისო?

— რა და, ცხენიო.

— რას ამბობ!

— ჰო, წითელი მერანიო, ირწმუნება, მარჯანივით წითელიო.

და მონგომ ხმამაღლა გადაიხარხარა, ისე ხმამაღლა, რომ ეკვი შემეპარა მის სიტყვებში. მოულოდნელად თავზე წამომდგარი უცნობი დავინახეთ. ოდნავ შეცბუნებულმა მონგომ ჰკითხა:

— რაო, მეზობელო, ძილი დაგიფრთხეთ?

— მერანზე ლაპარაკობდით, არა? მერწმუნეთ, მართალს მოგახსენებთ, ასეთ საქმეში ტყუილი არ შეიძლება.

ნელა წამოვიწიე, სახეში მინდოდა შემეხედა. მთვარით განათებულ ცის ფონზე აქამდე მხოლოდ მის შავ სილუეტს ვხედავდი. მე ეკვიც არ მეპარებოდა, რომ ღელავდა, თუმცა ძალზე წყნარად ლაპარაკობდა. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — ეს კაცი ზღვასავით მშვიდი იყო ისევ. მონგომ არაფრად ჩააგდო მისი სიტყვები, ზანტად წამოდგა და თქვა:

— ნე, როდი ვამბობ, ვინმე ტყუის-მეთქი. მაგრამ ჩემდათავად ცხენს წყალქვეშ არასდროს დავუწყებდი ძებნას.

მონგო დასაძინებლად წავიდა, ხომალდის ბნელი კოდის კვადრატში გაუჩინარდა.

— არა, მასეთები, მართლაც, არასდროს დაუწყებენ ძებნას, — ჩაიბუზღუნა უცნობმა, — თუმცა, რომც დაეწყოთ ძებნა, მაინც ვერ აღმოაჩენდნენ.

— ვითომ რატომაო? — შევედავე მე; დარწმუნებული ვიყავი, მონგო ხუთი თითივით იცნობდა ზღვას.

ახლა უცნობი ისე დადგა, რომ პეთვარის ნათელი დაეცა სახეზე.

— იმიტომ, რომ ადამიანს თვალი თუ არა აქვს, ვერაფერს დაინახავს.

— რა უნდა დაინახოს?

— ის, ურომლისოდაც, თუკი ერთხელ მაინც ელარსე მის ხილვას, მერე აზრი ეკარგება საცოცხლეს.

ეს კაცი ნამდვილად გიჟი იყო; უწყინარი და ჩუმი გიჟი... მართალს ამბობდა მონგო. მე მაინც არც სულელებისგან აღებული ფული მინდოდა და არც მათთან ურთიერთობა. ამიტომ გაცლა ვამჯობინე, მაგრამ, როგორც კი რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი კიჩოსკენ, უცნობის ძახილი შემომესმა:

— მოიცადეთ. ნუ წახვალთ. შეიძლება ერთმა კაცმა მეორე მოთმინებიდან გამოიყვანოს, არა?

ჩემსავე ნაქვამს იმეორებდა და პასუხის გაუცემლობა არ იქნებოდა.

— ჰო, მერე რა..

— ძალიან მოგაბეზრეთ თავი?

— მე რა მენაღვლება. რა! თუ გინდათ, მთელი სიცოცხლე წყლისა თუ ფსკერის თვალიერებაში გაატარეთ.

— განა არ გინდათ. შეიტყოთ, რატომ ვათვალიერებ?

— უკვე ვიცი.

— გიჟი გგონივართ. არა?

— ჰო, გიჟი მგონიხართ.

უცნობმა სიცილით მითხრა:

— სხვას არც მოველოდი. ასეა. თუ სადმე უცნაური, გაუგებარი რამე გამოჩნდება, უთუოდ რაიმე იარლიყი უნდა მიაკერონ ხოლმე.

— ასეა. აბა, სად გაგონილა იმის დანახვა, რაც არ არსებობს.

ცხენი იმისთვის არის გაჩენილი, რომ ჰაერი ისუნთქოს, ქარმა ფაფარი უფრიალოს და ფლოქვებით ქვებზე ნაპერწკლები დააკვესოს.

— მაგრამ მერანი იმისთვისაც არის გაჩენილი, რომ ოცნებას, ფანტაზიას ფრთა შეასხას.

— რისთვის?

— იმისთვის, რომ კაცი ოცნების სამყაროში გაიტაცოს.

— თქვენც ამიტომ დააქროლეთ არა წყალქვეშ?

— მე კი არა, თვითონ დაქრის. როცა დაუოკებელი ჟინით შეპყრობილი ჩაიქროლებს ხოლმე ზღვის ფსკერზე, მე მხოლოდ თვალს ვადევნებ და სამარისებურ სიჩუმეში ფლოქვთა თქარათქურს ვუსმენ. ახლად გადახსნილ ვენიდან გადმოხეთქილი სისხლივით წითელ, მარჯნისფერ მერანსა და შავ წყალმცენარეებში გაელვებულ მის ფაფარს ვხედავ.

ძალიან აღელდა. ვიგრძენი, რომ მეტს ველარ გავუძლებდი და წასვლა დავაპირე. ჩემთვის მაინც ვიფიქრე: ასეთი მერნის დანახვა, მართლაც, დიდებული რამ იქნება, თუნდაც მხოლოდ იმ კაცის აღგზნებულ წარმოდგენაში არსებობდეს-მეთქი. თუ ეროხელ მოჰკარი თვალი ასეთ სანახაობას, მერე ალბათ სამუდამოდ გაგიტაცებს-მეთქი. მაგრამ ამაზე სიტყვა როგორ დამცდებოდა. ჩემს ვრძნობებზე ლაპარაკს მოვერიდე. არ მინდოდა, კამათში გამარჯვება უცნობს დარჩენოდა.

— მერანზე ფიქრით თავს ის იქცევს, ვინც ლუკმაპურისთვის არ შრომობს.

— მერანი ყველას სჭირდება.

— პური რომ უფრო საჭიროა?

— მერანიც საჭიროა.

— ჩვენს ძალლურ ყოფაში მე მარტო პურზეც ყაბულსა ვარ.

— როგორც კი პურით გაძღები, მერე მერანი მოგინდება.

კარგად ვერ გავიგე, რისი თქმა უნდოდა. მე მგონი, ადამიანებს ზღუბლის მსგავსი მოწყობილობა გვაქვს თავში, იქ უცნაური, გაუგებარი სიტყვები წაიბორძიკებენ ხოლმე. შეიძლება ასეთი სიტყვები რაღაც უცხო შუქსაც გამოსცემენ და ამით გვაბრუებენ. მოკლედ, ჩემთვის იმ კაცის ნათქვამი მთელი დღე პირქვე წოლასა და ასთაკვების ძებნაზე უფრო ძნელი მეჩვენა, ამიტომ გავერიდე სასწრაფოდ. შემეშინდა, ისევ არ გამომელაპარაკოს-მეთქი.

როცა მე და პედრიტო ნავში ვსხდებოდით, გაიუელო აისით იფარებოდა და ნიავს ჩვენამდე ფრინველთა ხმები მოჰქონდა. მე, ვითომ სხვათა შორის, ვუთხარი მონგოს:

— ჩემს წილ ფულზე უარს ვამბობ, არ მინდა, მაგისგან ფულს ვერ ავიღებ.

ჩვეულებისამებრ, ასთაკვების საჭერად გავემართეთ. ისევ გამ-ჭვირვალე წყალი, წყალმცენარეებით დაფარული ზღვის ფსკერი, ბადეები...

მოულოდნელად სიცილი ამიტყდა, პედრიტოს მივუბრუნდი:

— რას იტყვი, ბადით მარჯნის მერანი რომ ამოვიყვანო?

მის ბავშვურ თვალებში ვერაფერი განსაკუთრებული ვერ ამო-ვიკითხე, მაგრამ მისმა სიტყვებმა შემაკრთო:

— ფრთხილად იყავ, ლუსიო, მგონი, მზემ დაგკრა თავში.

„მზემ კი არა, იმ ადამიანმა დამკრა", — გავიფიქრე და რატომ-ღაც მოვიწყინე.

გავიდა კიდევ სამი ერთფეროვანი ღღე. უცნობი ისევ ძალიან ცოტას ჭამდა, ხომალდის ქიმზე გაღაწოლილი თვალს არ აცილებ-და წყალს და ყურადღებას არ აქცევდა ვისენტეს მწარე სიტყვებს. თუ აქამდე ვისენტე პირსუკან დასცინოდა უცნობს, ახლა პირში ოქმასაც აღარ ერიდებოდა:

— ეი, ჩვენებურო, წყალმცენარეები ჩრდილოეთით უფრო მაღალი იზრდება. ცხენის ჩონჩორიკის ბრალი ხომ არ იქნება, ნეტავ?

უხეშობა კი არა, ბრიყვობა იყო ეს. აქრე ვისენტეს ხუმრობა-ზე ხანდახან მეცინებოდა, მაგრამ ახლა, ალისფერ მერანთან შედა-რებით, წყალქვეშა ქვებზე რომ გაითქარუნებს და ფაფარაშლილი ლაღად და ლამაზად გადაიქროლებს, მისი სიტყვები იმდენად მდა-ბლად, უსუსურად მომეჩვენა, რომ გული მეტკინა. იმავე ღამეს უცნობთან მიველი გამოსალაპარაკებლად. თუმცა გუნებაში გადავ-წყვიტე არაფერი დამეთმო მისთვის.

— ვთქვათ, მართლაც არსებობს ასეთი ცხენი და ნამდვილად და-ქრის წყალქვეშ. მერედა, რა მოხდა? რა აზრი აქვს ამას?

— აქვს, მის ქროლვას აქვს აზრი! რომ ბრწყინავს, იმასაც თა-ვისი აზრი აქვს. ან, იქნებ, სწორედ მის უაზრობაშია აზრი!

—— მერედა, განა ღირს ამდენ წვალებად იმის ნახვა, როგორ ჩაიქროლებს და გაუჩინარდება მერანი?

— ყოველგვარი სიახლე ღირს იმად, რომ ადამიანი ეწვალოს. ჯერ კიდევ შეუცნობელის აღმოსაჩენად გაღებული მსხვერპლი გამართლებულია.

— სისულელეა, მერანი არასდროს არ გამოჩნდება! ასეთი რამ არ არსებობს და ჯერ თვალითაც არავის უნახავს.

— მე მინახავს და კიდევაც ვნახავ.

სიტყვის შებრუნება დავაპირე, მაგრამ თვალებში რომ შევხედე, ენა მუცელში ჩამივარდა. მის გამომეტყველებაში, გარეგნობაში ისეთი რწმენა გამოსჭვიოდა, რომ შეკამათება ვეღარ გავუბედე და ვარხვს მივაჩერდი, მან შორიახლო ჩაგვიფრინა, მერე ერთბაშად ფრთები აიკეცა და ისარივით დაეშვა ზღვის ზედაპირზე. უცნობმა მხარზე მეგობრულად დამადო ხელი და მითხრა:

— ამ საღამოს ჩემთან მოდით და თქვენც დაინახავთ.

ამან ისე გამახელა, რომ უხეშად ავაღებინე ხელი მხრიდან. შეიძლება, მზეზ მარალაც დამკრას თავში, ამ კაცს კი არაფრის უფლებას არ მივცემ. რანაირად უნდა მაიძულოს, ამქვეყნიური იქნება თუ იმქვეყნიური, ზმანების ხილვა.

— ასთაკვებს რომ ვხედავ. ისიც მეყოფა. სხვა რამის დანახვა აღარ მინდა, — ვუთხარი და სწრაფი ნაბიჯით გავერიდე; მან კი სიტყვა დამადევნა:

— მერანი თქვენცა გჭირდებათ...

დილით არაფერს დავაკარე პირი. — კრიჭა მქონდა შეკრული. თან ასთაკვი ბლომად მოსდევდა ბადეს. ასე რომ, საქმე თავზესაჭრელად გვქონდა. მე და პედრიტომ ნავით რომ გავცურეთ, იმ კაცს ისევ ეძინა. საღამოს ხუთ საათამდე. ვიდრე ასთაკვების გარჩევას ვახერხებდით წყალში, შეუსვენებლივ ვშრომობდით. ხომალდზე რომ დავბრუნდით, ჩემდა სავალალოდ, სამივე — ვისენტე, პედრიტო და მონგო — ტყემლის საკრეფად გამეპარნენ ნაპირზე. მათი წასვლა რომ ვამეგო, ცხადია, მეც გავყვებოდი. მაგრამ უჩუმრად წასულიყვნენ. ჩამოვჯექ გემის კიჩოზე და ბადის კემსვა დავიწყე. თავაუღებლად ვმუშაობდი, უცნობთან გამოლაპარაკებას ვერიდებოდი.

ღეზა გაიუელოს ჩრდილოეთით, ღრმა ადგილზე გვქონდა ჩაშ-

ვებული. ზღვა საოცრად მშვიდი იყო. „ეუმელიას“ საჭეზე ჩამოკიდებული საფლობის წყალმცენარეებიც კი არ ირხეოდა. ცა მაღალი და მოწმენდილი იყო. ირგვლივ ისეთი სიჩუმე სუფევდა, ჰაერის მოძრაობას გაიგებდა კაცი. ანაზდად უცნობის ძახილი შემომესმა:

— მოდით აქ!

ბადე ხელიდან გამივარდა, ფეხის კუნთები დამეძაგრა. მაგრამ ადგილიდან მაინც არ დავიძარი.

— არ გესმით, მოდით-მეთქი აქ!

— ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ თქვენი სისულელით სხვასაც გამოუტენოთ თავი?

— სინამდვილესთან პირისპირ შეყრისა გეშინიათ?

ამას ვეღარ გავუძელ. ბადეს ფეხი გავკარი და მისკენ გავიქეცი.

— არ მეშინია! — შევძახე მე.

— გესმით?.. თქარათქური ახლოვდება.

სუნთქვა შევიგუბე და ყური მივუგდე.

— ტალღების ხმაურია.

— არა!

— მაშინ, ტრიუმში ირწევა წყალი, ან გემიდან გადაყრილი ნარჩენები მჟავდება და იმის ხმა ისმის ქვევიდან.

— ხომ იცით, რომ ტყუიხართ.

— მაშინ სხვა რაღაცა ხმაურობს, მერანი მაინც არ იქნება.

— ყური მიუგდეთ, უსმინეთ... ქვებზე როგორ სცემს ფლოქვებს.

ნუთუ მართლა მესმოდა? თუ მესმოდა, მაშინ ვერ გეტყვით, — ჩემი თუ მისი ყურებით ვისმენდი. არაფრის თქმა არ შემიძლია; თავი მიხურდა, გული კი ისე ამიჩქროლდა, ლამის საგულედან ამომვარდნოდა.

— ახლა წყალში ჩაიხედეთ და კარგად დააკვირდით.

მგონი, ძალასაც მატანდა. მაგრამ კაცს ხომ შეუძლია, საითაც მოეპრიანება, იქით გაიხედოს. მეც ავდექი და ზღვას გავხედე. ხომალდის შორიახლო მანგლეს დიდი ფოთოლი ტივტივებდა, იმას შივაჩერდი.

— აგერ, მოქრის, მოქრის! — გადარეულივით ამოიძახა უცნობმა და მკლავში ჩამაფრინდა. მე კი ისევ მანგლეს ფოთოლს ვუყუ-

რებდი ჯიუტად, მაგრამ მოგეხსენებათ, ყურები თვალებივით არ ემორჩილება ადამიანს, ყველაფერი მესმოდა, რასაც უცნობი მეუბნებოდა. უცებ ვიგრძენი, რომ მას სხეულში ერუანტელმა დაუარა და შესძახა:

— აჰა, გამოჩნდა!!

მანგლეს ფოთოლს თვალი მოვწყვიტე და მას შევხედე, რომ მოვეკალი, ქვევით ვერ ჩამახედებდა — არაფერი განსაკუთრებულის დანახვის სურვილი არა მქონდა. მაგრამ უცებ, თითქოს ჩემი არსებობა სულ დაავიწყდაო, ხელი გამიშვა, თვალები უფრო გაუფართოვდა და, ჩემდა უნებურად, მის თვალებში ზღვის ფსკერზე გაფრენილი მარჯანივით წითელი მერნის გამოსახულება დავინახე, მას ზურგი, ფაფარიდან ძუამდე, ერთიანად უბრწყინავდა. მერანმა უცებ გაიელვა და იმ ადამიანის თვალთა სიღრმეში ჩაინთქა.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ისევ გავდივარ ზღვაში ასთაკვების საჭერად და ორ რამეს ვეღარ ვიტან ამქვეყანაზე: პურზე და უჩვეულო, დაუჯერებელ ამბებზე ლაპარაკს. ეს იმიტომ, რომ ახლაც არ ვიცი, იმ დღეს „ეუმელიას“ ქვეშ, ზღვის ფსკერზე, მართლა ჩაიქროლა მარჯნის მერანმა თუ ყველაფერი იმ ადამიანის აღგზნებული გონების ნაყოფი იყო, რაც იმ წუთებში მეც გადამედო.

...და რაც მეტს ვფიქრობ იმ დღეებზე, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ადამიანები ყოველთვის ორგვარ შიმშილს განიცდიან.

ესტელა

რა ვიცი, იქნება სიკვდილი არც ისე დიდ უბედურებად მიიჩნიოს კაცმა, თუ ადამიანებს შორეთში გაჭიმული ჯაჭვის ესახო რგოლებად აღიქვამს. დედამიწის ყოველი შემობრუნებისას მილიონობით სიცოცხლე ქრება და მათ ნაცვლად ახალი ჩნდება. ბუნების ამ ზღაპრულ შეჯიბრში დროსთან არც არავინ იმარჯვებს და არც არავინ მარცხდება. ადამიანები მოდიან და მიდიან უწყვეტ ნაკადად, მზე კი ისევ და ისევ აცხუნებს, მთვარეც ძველებურად ანათებს ღამის წყვდიადს. ერთი სიცოცხლით მეტი იქნება თუ ნაკლები, თითქოსდა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს? მაგრამ საქმე ის არის, რომ მახლობლის სიცოცხლე რაღაცნაირად ჩვენივე სიცოცხლეა, რადგან ყველა ერთი ბუდის ჭიანჭველებს წარმოვადგენთ და აუტანელი შრომით ერთნაირად ვართ გატანჯულნი.

ეს ფიქრი ესტელამ აღმიძრა — მან, ვინც ამქვეყნად სულ რაღაც ცხრამეტიოდე წელი დაჰყო. მახსოვს, კამაჩოს ბექობზე, თამბაქოს პლანტაციისკენ რომ მიდიოდა, მაშინ გავიცანი. მიდიოდა და თავთუხისფერ ნაწნავებს მიარხევდა; მას შემდეგ კარგა ძალი დრო გავიდა, მე კი ახლაც მზარავს იმის წარმოდგენა, თუ რა ბედი ეწია მინდვრის როზმარინჩაწნულ დალალებს.

ეჰ, ნათელი დასდგომია ესტელას სულს! ის გოგონა ცოცხლებში აღარ ურევია და იმის დავიწყებას უფალი შეგვინდობს. გულახდილად რომ გითხრათ, მე გადამავიწყდა კიდეც, მაგრამ როცა ვხედავ, ბარიოში თითისხელა გოგონები ჩემ ოვალწინ როგორ ქალდებიან, უნებურად ესტელა მახსენდება. მას საღამოობით სახლის ზღურბლზე ჯდომა უყვარდა; ახლად დაუთოვებული, ჯერ კიდევ თბილი კაბა ეცვა და ან გამვლელ-ვამომვლელს უყურებდა, ან ბედის ანაბარად მიტოვებული პარკის ხეთა ტოტებში აფრთხი-

ალებულ ჩიტებს ღიმილით ადევნებდა თვალს. დაინახავ ასეთ გოგონას და ცდილობ, სასწრაფოდ მოარიდო თვალი, რაღაცის გეშინია, იცი, რომ მერე თვალს ვეღარ მოწყვეტ: მიუხედავად სიკვდილსიცოცხლეზე ზემოთქმულისა, მაინც დაგატყვევებს მისი გულში ჩამწვდომი ღიმილი.

მათი ჩამოსვლის დღიდან იმ უბედურებამდე ყველაფერი კარგად მახსოვს. მეზობლები ვიყავით. ჩვენსა და იმათ სახლს მხოლოდ პატარა, მწვანე მოლი ჰყოფდა. ჩაუვლიდი რამდენიმე მანგოს ხეს, გადაწევდი ანონის ტოტებს და დაბალი, ერთფანჯრიანი სახლი გამოჩნდებოდა. ამ სახლიდან ყოველ დილას ნაზი, სევდიანი სიმღერა მხოლოდ მას შემდეგ შეწყდებოდა ხოლმე, როცა გარეცხილ თეთრეულს თოკზე გაფენდნენ.

ბარიოში გვიან ღამით ჩამოვიდნენ, ამიტომ მათი ჩამოსახლება არავის შეუტყვია. შუაღამისას რაღაც ხმაური, წრიალი, ფეხის ხმა შემოგვესმა, ადამიანების ლაპარაკი კი არ გაგვიგია. მხოლოდ დილით დავინახეთ, რომ ახალი მეზობლები გვყავდა. ყველაზე ბოლოს სახლიდან ოჯახის დედა გამოვიდა. მას იაფფასიანი, თალხი კაბა ეცვა, თვალებში ტანჯვა და ვარამი ჩასდგომოდა. ასეთი ქალების ხვედრი მუდამჟამ მოთმინება და ოჯახის მძიმე ჯაპანის უსიტყვოდ წევაა. ეტყობოდა, მისი გამხდარი და შეუხედავი უფროსი ქალიშვილიც ამ გზით წასულიყო, დედას დამსგავსებოდა უსიტყვო მორჩილებაში.

ესტელა კი სულ სხვანაირი იყო: თეთრი, ქათქათა სახე ჰქონდა და მსხვილი, მათრახებივით ნაწნავები წელამდე სცემდა. დღის და დის სიმღერას მოგვიანებით აჰყვებოდა და სარეცხის რეცხვასაც მაშინ ჰკიდებდა ხელს, როცა მუშაობა უკვე გახურებული იყო. მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთხელ ესტელა სახეგაბადრული დაბრუნდა შინ: თამბაქოს პლანტაციაში მიეღოთ სამუშაოდ. იმ დღიდან მიატოვა სხვისი სარეცხის რეცხვა. დღეში ორჯერ ჩაუვლიდა ხოლმე ჩვენს სახლს და მოსალმების ნიშნად ფერმკრთალ სახეს დაბლა ხრიდა. ხშირად დამინახავს, რა გაჭირვებით ადიოდა ესტელა გორაკზე. გორაკი ისეთი მაღალი იყო, გეგონებოდა, აღმართში მიმავალი მუშები, სანამ მათ თამბაქოს დამხარისხებელი ფარდულის კარი შთანთქავდეს, ზეცას მისწვდებია-

ნო. ბუშები მთელი ღღეობით ისხდნენ ფარდულში და რეპროდუქტორის ყურიალში თამბაქოს ახარისხებდნენ

ყოველდღე ვხედავდით ჩვენს სარკმელთან ჩაელილ ესტელას და ყოველდღე, როცა პურის საჭმელად ვხსდებოდით, ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრი მეზობლების შესახებ რაღაც ახალს იტყოდა. ჩემმა დამ, სენაიდამ გვითხრა, ესტელას ახლახან გარდაცვლია მამა და იმიტომ გადმოსახლებულან ბარიოშიო. რაკი ოჯახის ბურჯი ანაზდად გამოსცლიათ ხელიდან, დედა და გოგონები იჯარით აღებულ მიწას ველარ მორევიან. მახლობელი აღამიანის ნეშტი მიყრუებული სოფლის განაპირას დაუკრძალავთ და, იმ იმედით, რომ ქალაქში შესაფერის სამუშაოს გამოვნახავთო, ბარიოს გზას დასდგომიან. გაყიდულ ორთვალაში, უღელ ხარში და საქათმეში აღებული ფული სამგზავროდ, ბინის ქირად და პირველ ხანებში თავის გასატანად ძლივს ჰყოფნიათო.

ახლა კი ოჯახს მუდმივი შემოსავალი გაუჩნდა. ესტელა პლანტაციაში მუშაობდა და ახლა მარტო უფროსი დაღა მღეროდა უსიამოვნო ხმით; მთელი დღის განმავლობაში ან წაკუზული რეცხავდა ან თეთრეულს ფენდა. ძალიან ცოტას მოითხოვდა ცხოვრებისგან ეს ოჯახი: ჭერი, ლუკმაპური, ერთი ხელი ტანსაცმელი და საღამოობით საკუთარი სახლის ზღურბლზე ჩამოჯდომის საშუალება — აი, სულ ეს იყო და ეს. მეტი არაფერი უნდოდათ. იმ მიყრუებულ სოფელში ხომ ტანჯვისა იყო მათი ცხოვრება, აქ კი სხვა რომ არაფერი, შუქი მაინც ჰქონდათ; რაღაცა სასწაულით პარკში ერთი ელექტრონათურა დარჩენილიყო და მისი მკრთალი სინათლე მათ სახლსაც ანათებდა.

თანდათან ხორციელდებოდა მათი მცირე სურვილები. უფროსმა დამ სოლიდური მუშტარი გაიჩინა: ხშირად დაინახავდით, ერთმანეთის გვერდით როგორ სიამტკბილობით შრებოდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ ადამიანთა ტანსაცმელი: პოლიციის სერჟანტის გიმნასტურა და მოსამართლე ელპიდიოს შარვალი. მედუქნე დონ ფაკუნდოს ხალათი და სამარშრუტო ავტობუსის მძღოლის — ერნესტოს სპეცტანსაცმელი. ჩემმა ძმამ დაგომ ერთხელ თქვა კიდეც, ამ სარეცხის პატრონები თავიანთი ტანსაცმელივით რომ იქცეოდნენ, ქალაქში მეტი წესრიგი იქნებოდაო.

ესტელას დედამ დანაზოგით თერმოსი შეიძინა. ყოველდღე ცხელი ყავით გაავსებდა, პატარა ბიჭს ავტობუსის გაჩერებაზე მძღოლებთან გაატანდა გასაყიდად და საღამოს სარგებელს იღებდა. საქმე კარგად, როგორც მათ უნდოდათ, ისე მიდოდა. მაგრამ ოჯახის ბურჯი მაინც ესტელა იყო. ყურადღების ცენტრში ისევ მისი ჯამაგირი, თამბაქოს ფოთლისგან გაყვითლებული თითები და ჩხირივით წვრილი ფეხები რჩებოდა. მის ტანს სულ არ შეეფერებოდა ასეთი ფეხები. ეს იმთავითვე გვეცა თვალში, მაგრამ ამაზე სიტყვა არავის წამოსცდენია მანამ, სანამ ჩვენმა სასიძომ არ თქვა, ესტელა ლამაზი გოგოაო. აბა, ჩემი და ამას როგორ მოინელებდა; უთხრა: ერთი ფეხებზეც შეხედე და ისე თქვიო. მეორე დღეს, მაგიდასთან რომ ვისხედით, დედამ აგვიხსნა, თუ რატომ ჰქონდა უცნაური ფეხები ამ ტანწერწეტა. ოქროსფერნაწნავიან გოგონას. ესტელას ბავშვობაში თურმე ციებამ დარია ხელი და სოფლის ჩვეულებისამებრ შინაურული წამლებით და ბალახის ნახარშით დაუწყეს მკურნალობა... თურმე სულ სხვა ავადმყოფობას. უფრო დიდი შთაბეჭდილება მეორე ამბავმა მოახდინა. ეს ახალი ამავიც დედამ გვითხრა. სოფელში ესტელას შეყვარებული ჰყოლია; თურმე იწერება, მალე ჩამოვალო. ესტელა ბარათებს უგზავნის საქმროს, ამას წინათ ჰალსტუხიც გაუგზავნია. ჰალსტუხი მეც ვნახე — წითელი, იისფერსახეებიანი იყო, კოლოფიანად გაუგზავნა.

სხეულში გამჯდარ სენსა და მძიმე შრომას ახალგაზრდა ორგანიზმი მანამდე უმკლავდებოდა, სანამ ქანცგამოცლილი გოგონა ძველმა ავადმყოფობამ საბოლოოდ არ გატეხა. იმ საღამოს ესტელა, ჩვეულებისამებრ, სახლის ზღურბლზე იჯდა და ჩიტების ჟღურტულს უსმენდა. უცებ თვალთ დაუბნელდა. ქალაქის საავადმყოფოდან ექიმი მოუყვანეს. ექიმმა უამრავი ძვირადღირებული წამალი გამოუწერა. ამ წამლებით მივხვდი, რაც სჭირდა ესტელას. ყველა გრძნობდა, ეს გოგონა ავად იყო, მაგრამ ხმას არავინ იღებდა, — ღარიბები ავადმყოფობის გამხელასაც კი ერიდებიან.

ესტელა პლანტაციას დაუბრუნდა. როცა ჩვენს სარკმელთან ჩაივლიდა და მისალმების ნიშნად თავს დახრიდა, მისი ძონძებჩაწნული ნაწნავები და მძიმე, მოქანცული ნაბიჯები მეცემოდა ხოლმე თვალში.

აღარ მახსოვს, იმ საღამოს მერე რამდენი ხანი გავიდა. შესაძლოა რამდენიმე კვირამ, შეიძლება თვეებმაც განვლო. ასე იყო თუ ისე, ეს დრო ბარიოში მნიშვნელოვანი ცვლილებების მოსახდენად საკმარისი აღმოჩნდა: უპატრონოდ მიგდებულ პარკს მოვლა დაუწყეს; მოსამართლეს ასეთი აზრი დაებადა. მოუსვენარი ჩიტები თოფით დავაფრთხოთ და ქალაქიდან გავრეკოთო; ჯვარედინ გზაზე დაფა დადგეს განცხადებების გასაკრავად; გორაკის გადაღმა სოფელში ტიფმა სამი მოხუცი იმსხვერპლა; ვაჭარ ქალს. როსას, ქალიშვილი გაექცა სახლიდან და ვიღაც მეზღვაურს გაჰყვა: მეზობელი ხუანა დაბრეცილი ფეხებით დაეხეტებოდა სოფელში. მოიკალათებდა ფურნეში და, ვისაც ხელში მოიგდებდა, ყველას არწმუნებდა, ჩემი ქმარი იბარიტო ისევ მე დამიბრუნდებაო. ერთი სიტყვით, მრავალი რამ მოხდა ამ ერთფეროვანი დღეების მანძილზე. სანამ ის უკანასკნელი, დაუვიწყარი საღამო დადგებოდა. ახალგაზრდა. მაღალ-მაღალმა გლეხმა კარზე ფრთხილად რომ დააკაკუნა, მე უკვე მეძინა, გამაღვიძა და მთხოვა, ჩქარა გამომყევი, დროს ნულარ დავკარგავთო. ნემსის გაკეთება ვიცოდი და, ეტყობა. მძიმე წუთებში გამიხსენეს. მთვარით განათებული ეზო გადავიარე. ფეხქვეშ ნაზად აშრიალდა შემოდგომის ფოთოლი. სიბნელიდან ძაღლი გამოხტა ყეფით, მაგრამ ვიღაცამ ხმადაბლა დატუქსა და გააჩერა. სამზარეულოზე გავლისას თიხის მოზრდილ კოკას მოვკარი თვალი, ალბათ სოფლიდან ჩამოიტანეს. სასადილო ოთახში ნათელთვალებიანი მამაკაცის სურათი ეკიდა. მამაკაცს ესტელასებური შუბლი ჰქონდა. პორტრეტის ქვეშ, მაგიდაზე თეთრი მაჩიტელას ყვავილებით სავსე მოზრდილი ქოთანი იდგა. ყველაფერს გაკვრით შევავლე თვალი, რადგან ძალიან ვჩქარობდი და მხოლოდ მაშინღა შევდექი, როცა ესტელას დედას და დას შევეჩეხე. გაოგნებულნი იდგნენ და უსიტყვოდ მომჩერებოდნენ. მათი თვალები მარტო ამას მეკითხებოდნენ: გაგვაგებინე, ჩვენს ესტელას რა დაემართაო. ესტელა სკამზე იჯდა, თავი გვერდზე გადავარდნოდა, თვალები მილულოდა და მკლავი სახელურზე ისე უსიცოცხლოდ ჩამოვარდნოდა, თითქოს ცხოვრებასთან ბრძოლაზე საბოლოოდ ხელი აიღოო. ასეთ დროს მხოლოდ უცხო თუ მიხვდება, ამ ოჯახს რა უბედურებაც დაატყდა-მეთქი თავს, გავიფიქრე. მაგრამ გამბედაობა არ მეყო, სიმართლე მეთქვა, ავიღე ესტელას

უსიცოცხლო ხელი. ნემსი გავუკეთე და ფრთხილად დავუშვი სკამის სახელურზე.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ეზოში გამოვედი, ძაღლი ისევ აყეფდა, მაგრამ აღარავის გაუჩუმებია. ქვითინის ხმა შემომესმა სახლიდან.

აი, სულ ამის თქმა მინდოდა. თუ იმ წვრილმანებს არაფრად ჩავაგდებთ, მეხსიერებას რომ შემორჩება ხოლმე. მაშინ, როცა სულ მთავარს დროთა მსვლელობა შლის. მერე შევიტყვე, რომ მაღალ-მაღალი გლეხი ესტელას საქმრო ყოფილა და ბარიოში სწორედ საბედ-სწერო დღეს ჩამოსულა — ის დღე ესტელას დაბადების დღე ყოფილა. გოგონას ცხრამეტი წელი შესრულებია. ესეც მახსოვს: სასაფლაოზე რომ მივდიოდით, ქარმა დაუბერა და ახალგაზრდას წითელი, ბისფერსახეებიანი ჰალსტუხი აუფრიალა.

ვთქვი და ვიმეორებ: თუ კაცს მახლობელი არ მოუკვდება შეიძლება სიკვდილი დიდ უბედურებად არც მიიჩნიოს, მაგრამ გული მაინცა გტკივა, როცა შენ თვალწინ ხალხი მრავლდება, ათას რამეზე ოცნებობს, გოგონები ქალდებიან და შენ კი იცი, რით შეიძლება დამთავრდეს ყველაფერი. ამიტომ არის, რომ ქუჩაში შემხვედრ გოგონებს უნებურად თვალს ვარიდებ, მეშინია, ისევ არ გამიჩნდეს მტანჯველი კითხვა: მაინც, რა დაემართა მინდვრის როზმარინით დამშვენებულ ორ ნაწნავს?

მარიო ბენხამინის ცხოვრების ოთხი დღე

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს.
მარიო ბენხამინ ბელარდე

მარიო ამ თვის სამს გამოესალმა ჩვენს დალოცვილ წუთისოფელს...

აქ. შენი ნეშტის გვერდით, რომელიც ახლად გათხრილი საფლავის მიწაყრილის ქვეშ, „ტანჯულ მეხანძრეთა“ ძეგლის მახლობლად განისვენებს, სადაც ყოველ საღამოს მოფრინავენ ბელურების გუნდები და ჟღურტულით იკლებენ არემარეს, ჩამოვჯდები და რომელიმე გამვლელს ვუამბობ შენი ახდენილი ოცნების ოთხ დღეზე, მარიო ბენხამინ ბელარდე, აგრემც ნათელი დაადგება შენს სულს!

მოქმედების ადგილი

მარიო, ალბათ დამეთანხმები, რომ ნამდვილად დიდებული რამ არის მცხუნვარე მზით გასხივოსნებული, მთის კალთაზე შეყუჟული ჩვენი სოფელი. მწვერვალიდან კარგად მოჩანს პატარა მდინარე, ის არც შუკების განლაგებას დაგიდევს და არც ადამიანთა ნება-სურვილს, ზიგზაგით შედის მარია სელესტინას ეზოში, იქიდან ბატონ ალკალდის ვილისკენ პატარა, ცელქი ბიჭივით მიხტის ქვებზე, მერე ეკლესიას ჩაუვლის, ძველ, ხავსმოკიდებულ კედლებს ცოტაოდენ სინესტეს დაუტოვებს და წელში გაწელილი გაძვრება დე ლა კრუსის ხიდქვეშ. ისიც ხომ უდავოა, მარიო, რომ ჩვენი სოფელი მხოლოდ მთის მწვერვალიდან მიაგავს ხელის გულზე დაყრილ ფერადი ქვების გროვას, — იმ მწვერვალიდან, საიდანაც დღისით თუ ღამით, აისზე თუ დაისზე, ხშირად უცქერდი ათას-

ფრად დაფერილ სამშობლოს, რათა მისი ხილვით დამტკბარიყავი.

მარიო, ჩვენი სოფლითა და ჩვენი ადამიანებით მე დღემდე ვარ მოჯადოებული. როცა მწვერვალიდან გადმოხედავ, ვერ იფიქრებ, თუ ჩვენს სოფელში ასე ბევრნი ცხოვრობენ. მარიო, მე მიყვარს ჩვენი სოფლის ყოველი ბინადარი. მომწონს გიჟი ფაკუნდოც, თავისი ჩოჩორის ფეხის ხმას რომ ასდევს და საქვეყნოდ გაიძახის, მამაჩემზე ადრე დავიბადეო. კარგი კაცია მოსამართლე დონ გრეგორიოც, ოქროსძეწკვიანი საათი რომ უდევს ჟილეტის ჯიბეში. მომწონს ჭაღარათმიანი მარია სელესტინაც, მთელი დღე მუხლს რომ არ ჩახრის და გარდასულ დღეთა ნიშნად, როცა გვარიანი ქალი იყო და მამაკაცებიც ბუზებივით ეხვეოდნენ, უამრავ ჭრელ მძივს ატარებს. ყველა მიყვარს, მარიო, ყველა. იმიტომ მეამება ეს ხალხი, რომ მეცა და შენც ამ ადამიანთა სხვადასხვა ნიშნებისა და თვისებებისგან ვართ შექმნილნი.

მარიოს დაბადება
და ბავშვობა

სამშობლო სოფელი დიდად უნდა გიმადლოდეს, მარიო! თუ დამადლებაზე მიდგება საქმე, მაშინ შენი სიკვდილიც დიდი სიკეთე იყო მისთვის, იმიტომ, რომ არც თუ ისე მრავალრიცხოვან თანასოფლელებში სიკვდილი შენ გვხვდა წილად. შენ პოეტად იყავი დაბადებული, რაც შენი ბედნიერებაც იყო და უბედურებაც. გახსოვს, ერთხელ მდინარეზე მარტო რომ დაეხეტებოდი, — მაშინ თორმეტი წელი მაჭარივით დუღდა შენს პატარა სხეულში, — მოგეჩვენა, რომ ბუნებას შეერწყე: ხედ იგრძენ თავი, მდინარეს თევზად შეუცურდი, ძაღლის ყეფას ჩაექსოვე? სხვებისათვის მიუწვდომელი თრთოლვა დაგეუფლა და შენი სულის უფაქიზესი სიმები შეძრა. იგრძენი, ბუნება როგორ შემოვიდა შენს სისხლსა და ხორცში, გულში და, თუ იქ, ზეცაში, ნამდვილად არის რაიმე კარი, ალბათ ის წუთები მოგეშველებიან მის გაღებაში, თუმცა, ჩვენ აქ, მიწაზე, ამას ვერასდროს შევიტყობთ და სულ ახალ-ახალ მარიოებს მივაცილებთ სამარის კარამდე.

კმარა, შენს ბავშვობაზე ლაპარაკს ერთი ამბის მოყოლით

დავამთავრებ. გახსოვს, ერთხელ მოგვებმა რომ გაგიხსენეს და სათამაშო თოფი გამოგიგზავნეს? თოფი ბაწარზე გამობმულ კორპის ტყვიას ისროდა. სოფლელი ბიჭები ამ სათამაშო თოფებით ერთმანეთს „ხოცავდნენ“, შენ მათებრ არ მოისურვე გართობა. თოფს თვითონ იმიზნებდი მკერდში და თავს „იკლავდი“. ეს ანცობა იყო პოეტად დაბადებული ბავშვისა, სხვების აღტაცებაში მოყვანა რომ უყვარს, თუნდაც ეს ანცობა ცალი თვალის ფასადაც დაუჯდეს.

ცოტაოდენი სიყვარული, რაც მალე გაქრა

ყვავილთა სურნელი იყო თქვენი შუამავალი. იმ გოგონასთან მან დაგაკავშირა. ასე იმიტომ მოხდა, რომ იმ ღამეს ქარი ქროდა, ხოლო, როგორც მოგეხსენება, მიჯნურთ პირქარის შესახვედრად სიარული უყვართ. ეს გასეირნებები ძალზე ბრძნულია, მარიო. ღმერთს არ ჩაუგონებია, ინსტინქტურად მივაგენით მას. ჩვენ და ჩვენმა თანასოფლელებმა აღმოვაჩინეთ, რომ ქარის შესახვედრად გასეირნება, იგივეა რომ მდინარეს მიჰყვე. შენც მიჰყევი ამ მდინარეს. როცა ყვავილთა სურნელებით გაბრუებული, ღიმილით მოხიბლული. სიყვარულის მორევში ჩაძირე, — სიყვარულის, რომლის ფასი შენს ცხოვრებაში არაფერი ყოფილა, მარიო.

შენ პოეტი იყავ და, ბუნებრივია, სიყვარულმა უამრავი სისულელე დაგაწერინა, მაგრამ გეპატიება, რადგან, როცა დავაქაცდი. თავი მსხვერპლად შესწირე ჩვენი სოფლის უკეთილშობილეს საქმეს — დ ი დ ი ს ა ბ ა ვ შ ვ ო პ ა რ კ ი ს აგებას. პარკი კი დღესაც არ აუშენებიათ.

მარიოს დიადი ოცნება

რასაკვირველია, შემთხვევითობის წყალობით ცხოვრობდი. აბა, სხვანაირად როგორ უნდა გეცხოვრა — შენ ხომ ლირიკოსი იყავი და უბადრუკობას და სიგლახაკეს ვერ იტანდი. ცხოვრებისეულ წვრილმანებთან ყოველდღე გიხდებოდა შეხლა. რა მწა-

რედ ცდებოდი, როცა ფიქრობდი, რომ პოეტი კაცი ცხოვრების მწარე ნაღველის შესმას გადაურჩებოდი. შენი ხასიათის ზოგი თვისება ძალიან არ მომწონდა, მარიო, და გულმოსულს ზოგჯერ შენს საფლავზე მოფრენილი ბეღურების დაფრთხობა მომინდება ხოლმე. რაკი თანასოფლელებმა ძეგლი არ გაღირსეს, ისინი იმ ძეგლზე ჩამოსხდებიან ხოლმე, „ღვაწლმოსილი მეხანძრეები" რომ ჰქვია. მაგრამ დავფიქრდები და ვიტყვი, მეც თუ ხელი ავიღე შენზე, ერთი მეგობარიც აღარ დაგრჩება იმ სოფელში, რომლის „სამთა საზოგადოება" ყოველ წელს ყვავილებით ამკობს მზრუნველი პაჩეიკო ოსტეისას სიცოცხლეშივე დადგმულ ბიუსტს.

მერე რა უჭირს, მარიო, ხშირად სისულელეს რომ სჩადიოდი. მაგალითად, პირველად რომ მიგიღო მზრუნველმა და შენს საბავშვო პარკზე გელაპარაკებოდა, რამდენჯერმე გაგიმეორა. აუცილებელია გავაშენოთ „საბავშვო პარკი ბავშვებისათვისო"? შენ კი, სულელო მარიო, სიტყვა გააწყვეტინე და გაუსწორე „საბავშვო" კარგად გამოხატავს აზრს და განსაზღვრება „ბავშვებისათვის" ზედმეტიაო. ეჰ, მარიო, როგორ ვერ მივხვდი, რომ მზრუნველისათვის ლაპარაკის სტილი არ უნდა შეგესწორებინა! ხშირად შენი ასეთი უაზრო საქციელი იყო შენი უბედურების თავი და ბოლო. ამქვეყნიდან ისე წახვედი, რომ ვერ გაიგე, კარგი ენა ღირსებას ვერ შემატებდა მზრუნველს, რადგან მას ენაც ულირსი აქვს და თვითონაც ულირსია.

მარიო დიდი ოცნების გზაზე

...რაკი შენ იდეების ადამიანი იყავი, სხვა დანარჩენი, რაც არ უნდა თქვან შენზე, — უხამსობა იქნება. „კეთილი ნების უწყებაში" წავიკითხე განცხადება, ამაღელვებლად და ლამაზად იყო ნათქვამი: „მარიო ბენხამენი, ვისაც საკუთარი ბავშვობა არა ჰქონია, პარკის გაშენებას მოითხოვს ჩვენი სოფლის ბავშვებისათვის". მაშინვე შენთან გამოვიქეცი, მარიო, და გადაგკოცნე. შენი განზრახვა ჭეშმარიტი პოეტის იდეით იყო ნაკარნახევი, იმიტომ რომ, თუმცა ეს ყველას არ გაეგება, პოეტს, უწინარეს ყოვლისა, გული მო-

ეთხოვება, ხოლო შემდეგ ზომის მიხედვით გაწყობილი სტრიქონები და თავისუფალი რიტმი. მაგრამ რა დიდი უბედურება შეიძლება მოჰყვეს ასეთ იდეებს, თუ მათ დროზე არ გამოუჩნდება კაცი, ან თუ გამოჩნდება, პოეტი არის ის და ყველას თავის გრძნობებს მიაწერს! ამას, უწინარეს ყოვლისა, შენზე ვამბობ, მარიო, იმიტომ რომ, მინდა ახლა მაინც მიგახვედრო იმას, რაც შენ თვალწინ ხდებოდა და მაინც ვერ ამჩნევდი.

იცი თუ არა, მარიო, რომ „სამთა საზოგადოების“ პრეზიდენტსა და მზრუნველს. ლიცენციატ ორტეისას შენსავით მთელი არსებით არასოდეს განუცდია ბუნების სილამაზე? წარმოიდგინე, მანქანის სარკმლიდანაც კი არ მიუქცევია ყურადღება. ერთადერთი, რასაც ყოველთვის აღწევდა — თანაც უდიდესი წარმატებით — ამ ბუნების მიერ მომადლებული უგემრიელესი ნაყოფით საკუთარი მუცლის ამოყორა იყო. აი, რით განსხვავდებოდით ერთმანეთისაგან. მაგრამ ასეთ რამეს, აბა, როგორ წარმოიდგენდი, როცა გეგონა, ლიცენციატის მკერდშიც უკვე ჩემებრი გული ავაძგერეო.

იმ დილას სახეგაბრწყინებული მოხვედი „სამთა საზოგადოებაში“. მაშინ „ოთხთა საზოგადოების“ მესვეურებმა გადმოგხედეს სარკმლიდან და სიბრალულით გაიღიმეს. გულში კი ალბათ ასე თქვეს: „აგერ, ბელარდე გამოჩნდა, კაცი, ვინც ოცნებითა და საკუთარი პოემებით იკვებება“. დიახ, შენ ლიცენციატის მისაღები ოთახისკენ მოიჩქაროდი, მე კი, რაც თავი მახსოვს, ამ დაწესებულებასა ვარ მიჯაჭვული, რადგან ამ საზოგადოების არქივის დამაარსებელი გახლავარ. კიდეც რომ მოიწადინონ, ადვილად ვერ შემელევიან: იციან, რამე საბუთი რომ დასჭირდეთ. უჩემოდ ძებნით ჭკუაზე შეირყევიან. იმ დილასაც, ჩვეულებისამებრ, „საზოგადოებაში“ ვიჯექი და თავიდან ბოლომდე გავიგე შენი და ლიცენციატის საუბარი, რის შემდეგაც შენი დამსხვრეული ოცნებებით უკან გაბრუნდი.

— ღარიბთა შვილებისათვის საბავშვო პარკიო?! — ჩაგეკითხა ლიცენციატი მზრუნველი. — მერე იცით, რა დაგვიჯდება? ათასები, ათი ათასები! მთელი კვარტლის ყიდვა მოგვიწევს, მერედა, ბელარდე, სად ვიშოვოთ ამდენი ფული? რას გააწყობს მარტო საზოგადოება, თუ ოფიციალური მხარდაჭერა არ გვექნება?

შენ ვერც ამჯერადა თქვი მტკიცე სიტყვა, იმიტომ, რომ ყველაფერში მერყევი იყავი. ლაპარაკი საერთოდ, არ გიჭირდა, მაგრამ თუ ლექსის და თანაც კარგად გარითმული ლექსის თქმას არ აპირებდი, ხმას ვერ ამოგაღებინებდა კაცი.

— იდეების კარნახი და ბავშვების სიყვარული ყველას შეუძლია, ბატონო ბენხამინ, მაგრამ საქმეს თავი რომ მოაბა და ნორჩ თაობას გამოადგე, სულ სხვანაირი მიდგომა და ძალ-ღონეა საჭირო, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია. თქვენს წინადადებაზე მე უარს ვაცხადებ. ჩემს აზრს იზიარებს „სამთა საზოგადოება" და მისი ყველა წევრი. ბავშვებისათვის საბავშვო პარკის გაშენება ჩვენ არ შეგვიძლია.

მარიო, შენ მაშინ გამოხვედი ქუჩაში შენი დამსხვრეული ოცნებებით, როცა „ოთხთა საზოგადოების" წევრები მაგიდას უსხდნენ და გახურებულ კარტის თამაშში იყვნენ.

გამჭრიახი მდივანი

არ ვიცი, მარიო, იცი თუ არა, არქივარიუსებს სამუშაოს დამთავრებამდე სახლში წასვლა რომ არა სჩვევიათ — მგონი, ასეთი რამეებისა შენ არაფერი გაგეგებოდა; არქივარიუსი. მით უმეტეს, ფეხს არ მოიცვლის საზოგადოებიდან, თუ იქ მისი მეგობარი მივიდა და იცის, რომ მისი წასვლის შემდეგ მასზე გაიმართება მსჯელობა. შენ წახვედი, მე კი დავრჩი და დავინახე, მზრუნველთან როგორ შევიდა მისი მდივანი ხიმენო. მზრუნველი მას ხარხარით შეეგება, შენ დაგცინოდა.

— იცი, ხიმენო, — უთხრა მან, — ბელარდე იყო ჩემთან. აი, ის, პოეტი რომ არის და ოცნებებით იკვებება. მოვიდა და მირჩია დაგვეარსებინა რაღაც საბავშვო პარკი ბავშვებისათვის.

იმედია, ხიმენოს უმთავრესი ნიჭის ამბავი გეცოდინება: ყველაფერს პირწმინდად დააფქვევინებდა ხოლმე მზრუნველს.

— გეყურება, ხიმენო! ბავშვებზე ზრუნვას მირჩევდა ბელარდე. თანაც რა დრო შეურჩევია! ჩვენ ამ დღეებში ფული გვაქვს ასაკრეფი კარნავალისათვის, ასეთი კარნავალები ხომ ჩვენს სო-

ფელს მაღალ კულტურულ პრესტიჟს უმკვიდრებს და თანაც ჩემი მაღაზიიდან დიდძალი სერპანტინიც საღდება ხოლმე.

— გულახდილი ბრძანდებით, ლიცენციატო!

— ჩემო ძვირფასო მდივანო, გულახდილობაზე გულახდილობითვე უნდა მიპასუხო, — იმავე ეშმაკური ღიმილით სიტყვა მოუჭრა მზრუნველმა და ისევ წამოწყებულ საუბარს დაუბრუნდა: — ოფიციალური დახმარების გარეშე რა შეუძლია „სამთა საზოგადოებას“? რით უნდა გავუშენოთ პარკი ბ ა ვ შ ვ უ რ ბ ა ვ შ ვ ქ ბ ს?

მზრუნველი გაჩუმდა და ხიმენოს მიაპყრო თვალები. მდივანმა თვალები აათამაშა მაგიდაზე.

— რა, ხიმენო, არ ეთანხმები ჩემს აზრს?

— ეგების, ლიცენციატო...

— რა, ეგების, ამოალაგე, გულში რაც გიდევს!

მაშინ მდივანმა წვრილი, გამჭოლავი თვალები თვალში გაუყარა მზრუნველს, ხოლო გონების თვალი თავისი მიზნისკენ მიმართა და წარმოთქვა:

— მზრუნველო, თქვენისთანა გამჭრიახი ჭკუის ადამიანისაგან ყოველივის რაღაცა დიდმნიშვნელოვანს მოველი. ბუნებით უხვად მომადლებული თქვენი ფანტაზიისა და ნათელი გონების იმედი მაქვს ყოველთვის.

ასე იყო, მარიო: როგორც კარგ არქივარიუსს შეეფერება, შშვენივრად ვიცოდი, რომ, როცა ხიმენო ლიცენციატს გამჭრიახს უწოდებდა, მზრუნველი უკვე მის ხელთ იყო.

— აზრი მომაშველე, ხიმენო, მომაშველე აზრი, რომ მოვიფიქრო რამე!

ხიმენომ აზრიც მიაშველა და ჩანაფიქრიც გაუმხილა: მან კარგად იცოდა, ლიცენციატს არც სიტყვები ჰყოფნიდა და არც გონება უჭრიდა, რომ რამე მოეფიქრებინა. ამიტომ სხაპასხუპით ჩამოაყალიბა გეგმა:

— ისეთ კაცს თუ დავიამხანაგებთ, თავისი აზრებით ადამიანთა გულების აღგზნება რომ შეეძლოს, ამ საქმიდან ზღვა შემოსავალს ამოვქაჩავთ.

— ბელარდე! — ისე შესძახა მზრუნველმა, გეგონებოდა. მარ-თლა მისი გონების ნაყოფი ყოფილიყოს ეს აზრი.

— ჩინებულია, ლიცენციატო! ხალხი თავის შესაწირს სწორედ ისეთ ადამიანს ანდობს, ვინც ღრუბლებში დანავარდობს და მიწაზე ჩამოსვლას არ აპირებს.

— ბელარდე. ის ვინც ლექსებს წერს, უპარკოდ დარჩენილებისთვის დარდობს და ბალღებთან მეგობრობს...

— დიდებულად ბრძანებთ, ლიცენციატო!

— ამრიგად, „სამთა საზოგადოებას“ დახმარებაში უარს აღარავინ ეტყვის.

— დახმარებაზე, ლიცენციატო, — მორიდებით შეუსწორა მდივანმა და თავი დახარა.

— თუნდაც ეგრე იყოს. ამასთან, შეწირულობას ქალთა კომიტეტი შეაგროვებს.

— ბრწყინვალე აზრია...

გეფიცები, მარიო, ლიცენციატმა თავი ველარ შეიკავა და ფეხზეც კი წამოხტა.

— მერე კი ავდგებით და ერთ პატარა პარკს გავაშენებთ, არა, ხიმენო?

— არც პატარას და არც დიდს, ბატონო ლიცენციატო! — მდივანმა შეცბუნებული პრეზიდენტი გააოცა.

— როგორ, ამდენი დაპირების შემდეგ სულ არაფერი არ ავაშენოთ? ასეთი დიდი თანხის მითვისებას ფიქრობ, ხიმენო?

— ლიცენციატო, დროთა განმავლობაში ადამიანებს თავისი ფიქრები და ოცნებები ავიწყდებათ.

— ო, ხიმენო! — წამოიძახა აღელვებულმა მზრუნველმა. — რა მეშველებოდა, მდივნად შენ რომ არა მყავდე!

— ჯერ დამაცადეთ! მთავარი კიდევ არ მითქვამს, ბატონო, ყურადღებით მომისმინეთ: ბენხამინ ბელარდე ამჯერად თვითვე იქნება ხაზინადართა ჯგუფის წევრი.

— ნამდვილად, ნამდვილად! ეგეც შესანიშნავად მოიფიქრე!

— იმიტომ, რომ იმ კაცის პატიოსნებაში, ვინც ოცნებებით იკვებება, ეჭვი არავის შეეპარება.

— არავის, არავის, ხიმენო, არც მე შემეპარება ეჭვი!

პოეტი, ვინც მარტოობაშია მიჩვეული თავისი უბედურების გამოტირებას

იმ საღამოსვე რომ მენახე, ყველაფერს შეგატყობინებდი. ვიცოდი, არ გამამხელდი, მარიო. მაგრამ შენ მაშინვე სოფელს გაეცალე, რათა კიდევ ერთი დამსხვრეული ოცნება გამოგეტირებინა და იქ, მთის მწვერვალზე შენს საყვარელ კუთხეს მიაშურე. იქ, სადაც ბავშვობაში არა ერთხელ გავქცევივართ მეოთხე კლასის აბეზარ მასწავლებელს. მენახირე ფიდენსიო გზაზე შემომეყარა და შენზე მითხრა, მთაზე ავიდაო: დრო მოვა, იმ მწვერვალს ბელარდეს სახელს დაარქმევენო, დაუმატა და მოღიმარი სახით გაირეკა ნახირი. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ იმ ღამეს ვერ გნახე, ალიონზე კი ხიმენო შენი სახლის წინ იყო დარჭობილი და მთელ თავის მდივნურ ხელოვნებას აქსოვდა წინასწარ მოფიქრებული სიტყვის წარმოთქმაში, რომ ადვილად მიეღწია საწადელისათვის და პოეტს სულში ღრმად ჩაგძვრომოდა:

— მხოლოდ პოეტს, თანაც თქვენისთანა პოეტს, ძალუძს იყოს ბავშვთა გულის მესაიდუმლე. მე თვალი ავუხილე მზრუნველს და ცრემლებით ავუცრემცრემე. დიახ, ცრემლებით, რაც შემდეგ თქვენს წინაშე ქედის მოხრით შეიცვალა და მისი გული ერთი სურვილით განიმსჭვალა: დაუყოვნებლივ უნდა გაშენდეს მარიო ბენხამინ ბელარდეს დიადი პარკი, ჩვენი სოფლის ღარიბი ბავშვებისათვის.

ახლა კი, მარიო, რაკი იმ დღიდან კარგა ხანიც გავიდა და გაპატიე კიდეც, მაშინ რომ არ დამიჯერე, თუმცა კაცი კარგად რომ ჩაუკვირდეს, არც შეგეძლო ჩემთვის ლაგეკერებინა, რადგან პოეტებსაც გაქვთ თქვენი აქილევსის ქუსლი — პატიმოყვარეობა — ახლა კი, მარიო, უნდა გითხრა: შენი უბედურება ის იყო, რომ ხაზინადრებში გაერიე. თუმცა, ეგეც არის. უამისოდაც ყველაფერი ძალიან ახლოს, ხაოცრად ახლოს, მიკქონდა გულთან.

ზევიდან ვარდნა

მერე რაც მოხდა, ჩემზე უკეთ არავინ იცის. შენ მთელი სულით და გულით აღეგზნე, რათა კეთილი ადამიანები აღგეფრთოვანებინა შენი იდეით. მათმა პატიოსანი გზით ნაშოვნმა დანაზოგმა

შენს ხელში გაიარა. სამწუხაროდ, გაიარა, თორემ შენს ხელში რომ გაჩერებულიყო, გროში არ მოაკლდებოდა. მაგრამ კმარა წვრილმანებზე ლაპარაკი, მარიო ბენხამინ ბელარდე. სათქმელი ცოტაღა ღამრჩა. ახლა ხიმენოს სიტყვები: დროთა განმავლობაში ადამიანებს ყველაფერი ავიწყდებათო. დიდებს, შეიძლება, ავიწყდებოდეთ, ბავშვებს კი — არა! ასე არ არის, მარიო? შენ შეგეძლო გადაგეტანა შენი თანასოფლელების გადაკრული სიტყვები, თავი ფულის ჭურდობით შეირცხვინაო, თუმცა ისევ ძველი, გახუნებული ხალათი გეცვა. შენ ისიც გადაყლაპე, მოზრდილთა პარკში ერთხელ ვილაცამ რომ მოგაძახა: ქურდოო. შენ ისეთ ავაზაკად ვთვლიდნენ, ვინც ადამიანთა ნდობით ისარგებლა და მათი ოფლით მონაწური გაფლანგა. მიწა რომ გამსკდარიყო და შიგ ჩაეტანე, გერჩივნა. მაგრამ შეგეძლო ამის გადატანა და გადაიტანე კიდეც. ოღონდ, როცა ბავშვები გეკითხებოდნენ თავიანთი პარკის ამბავს, ფეხქვეშ ნიადაგი გეცლებოდა, მარიო, სირცხვილზე მეტად ჯავრი გკლავდა და პასუხის მოსათხოვნად „სამთა საზოგადოებაში" გარბოდი, ეკითხებოდი ამა და ამ კვარტალში როდის დაიწყებთ პარკის გაშენებასო. ვითომცდა პარკისათვის გამოყოფილ ტრიალ მინდორზე კი სარეველა და ნაგვის გორები იზრდებოდა. ამას კი ვეღარ გაუძელ და ერთხელ, საღამოს, შენს უკანასკნელ საღამოს, იმ მთის მწვერვალზე ახვედი, საიდანაც ჩვენი სოფელი ხელისგულზე დაყრილ ბრჭყვიალა ქვის გროვასავით მოჩანს.

მარიო მთიდან ჩამოვიდა

თიოქმის ყველა, ვისაც გვიყვარდი, შენთან ერთად დავეშვით მთის მწვერვალიდან. წინ მარია სელესტინა მოგვიძღოდა. ოღონდ მძივები მოეხსნა. გვერდში ის გოგონა მოჰყვებოდა, იმ ღამეს ქარის საპირისპიროდ მიმავალი რომ შეგხვდა პარკში. თმაში უკვე ჭაღარა ჰქონდა გამორეული. მერე გიჟი ფაკუნდო მოდიოდა, თავისი ჩოჩორი მოჰყავდა და აჩემებულ სულელურ სიტყვებს იმეორებდა. ფაკუნდოს ფიდენსიო მოსდევდა: მისი გლეხური დაკოჟრილი თითები თითქოს საკაცის სახელურებს შეზრდოდა. მე კი საკაცეს

უკანიდან ვწევდი და თვალს არ ვაცილებდი შენს თავს, მარიო, შენს დიდებულ თავს, რომელიც ჩემი მუხლების გასწვრივ ირხეოდა, როცა ნამდვილი ტყვიით გულგანგმირული ჩამოგვქონდი ქვევით. მარიო, მეგობარო, იმას არა უშავს, ასე ახლოს რომ მიგქონდა გულთან ყველაფერი, მაგრამ თუ მეტს ვეღარ გაუძლებდი, მაშინ ბავშვობაში რომ იცოდი, ისე რატომ არ მოიქეცი — შენი სათამაშო თოფის ლულაზე ბაწრით ჰიბმული კორპის ტყვიით რად არ მოიკალ თავი?

ბედის ჩარხი

თუ ცხოვრება კინოს, რადიოს ან თეატრს არა ჰგავს — აბა, ის რა ცხოვრებაა.

კინოსთან მე ჩემი, პირადი, ანგარიშები მაქვს. დიახ, დიახ, მართალს მოგახსენებთ! მშვიდად ვერ ვუყურებ ფილმებს, ერთიანად ამაფორიაქებენ ხოლმე და თავში ისეთ დომხალს დამიტრიალებენ, რომ ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს. თვითონ განსაჯეთ: ამერიკულ ფილმს თუ ვუყურებ — თავი გულადი კოვბოი მგონია. თუ სიყვარულს უჩვენებენ — შეყვარებული გმირი. ხან იმ ბიჭად წარმოვიდგენ ხოლმე თავს, განსაცდელიდან დედას ან მამას რომ იხსნის. მაგრამ როგორც კი კინოდარბაზიდან გამოვდივარ, უმალ იმადვე ვიქცევი, რაც სინამდვილეში ვარ. აი, მაგალითად, ამ დღეებში ჩემისთანა ღარიბ ახალგაზრდაზე გადაღებული ფილმი ვნახე. ბიჭს სიღატაკეში ხდებოდა სული, მაგრამ ღარიბები ასე მხოლოდ კინოში იხოცებიან. ნეტა ერთი იმისი ბინა გენახათ! სუფთა, მოხდენილი დივანი და ავეჯის ისეთი გარნიტური ედგა, რომლის ყიდვა ჩვენთან, ბალასკაინეში, კარგა დიდი თანხა დაუჯდება კაცს. რა ვიცი, იქნება მართლაც ღარიბი იყო, მაგრამ მე ხომ კარგად ვიცი ფასი ასეთი გამოთქმებისა: „ცხოვრება მისია, ვინც იბრძვის“, ან „ცხოვრებაში მთავარი რწმენაა“ და კიდევ ამის მსგავსი სხვა გამოთქმები, რაც. ვისაც გინდა, იმას ააღელვებს. განა მართალს არ ვამბობ? აი, ეს მომაკვდავი ბიჭი ერთ დიდ ფაბრიკაში მუშაობდა. ძნელია იმის თქმა, რას ამზადებდა ეს ფაბრიკა. ერთი დიდი მილი იყო აღმართული, ეს მილი ხრჩოლავდა და ყურისწამღებად ღმუოდა. ეზოში ერთნაირქუდიანი ადამიანები ირეოდნენ. სამუშა-

ოზე ყველა ერთნაირი ლითონის ჩემოდნით მიდიოდა; ჩვეულებისამებრ, ჩემოდნებში სოსისის ბუტერბროდები ეწყოთ, ჩემოდანს ზევიდან ეწერა: „ბედნიერი“. აი, ასეთ ვითარებაში ჩვენმა ღატაკმა როგორღაც მოახერხა პეწენიკობის შენარჩუნება — ერთ ლაქას ვერ უპოვიდით კოსტიუმზე. ამან სულ გამახელა. მე თვითონ რა ღონეს არა ვხმარობ, არ დავისვარო-მეთქი, მაგრამ ჩემისთანა დაწყევლილი ხელობის კაცი აბა ამას როგორ მოახერხებს; ჩემი სასიმამრო თოჯინებს ამზადებს თაბაშირისაგან, მე კი ვყიდი. უფრო სწორად, ვყიდდი, რადგან ახლავე შეიტყობთ, რა დღე დამაყენეს ჩემმა სასიმამრომ, ფილმებმა და თაბაშირის თოჯინებმა. მაგრამ, მოდით, ისევ ფილმის გმირს დავუბრუნდეთ. იმ ახალგაზრდამ თავისი სილამაზისა და შემთხვევის წყალობით — ამ შემთხვევამ კინაღამ იმსხვერპლა კიდეც — ავტომობილით სასეირნოდ გამოსულ გოგონა გაიცნო.

გაცნობას შეხვედრები, საუბრები, ისევ და ისევ სოსისებით საუზმე მოჰყვა და საქმე იმით გათავდა, რომ ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდათ. კარგი სანახავი იყო, როგორ აუტყდებოდა ხოლმე გოგონას ოხვრა, როგორც კი ფაბრიკის საყვირის ხმას გაიგონებდა. სამუშაო დღის დამთავრებას ამცნობდა თუ არა საყვირი, ქალიშვილი კისრისტეხით ჩარბოდა კიბეზე, რომ ფაბრიკის მახლობლად სატრფოს შეხვედროდა. ის ნამდვილად კარგად ერკვეოდა ცხოვრების რაობაში და დამშეულ ბიჭს თავისი ძვირფასი სამკაულებითა და ბეწვეულით კი არ ეჩხირებოდა თვალებში! პაემანზე ძვირფასებს არ იცვამდა. ამიტომ მათ ლამაზ სიყვარულს ხელს არაფერი უშლიდა.

მოლოდინით არ მინდა დაგღალოთ, დროა. დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა. ბიჭის შეყვარებული ფაბრიკის პატრონის ქალიშვილი აღმოჩნდა. ვაჟმა ეს ამბავი არ იცოდა და უნდა გენახათ, როგორ დაღონდა, როცა შეიტყო! სატრფოს მაშინვე უთხრა: ჩვენ უნდა დავცილდეთ ერთმანეთს, შენ მდიდარი მამის შვილი ხარ, ჩვენი სიყვარული არ იქნებაო! უთხრა და... გაშორდა. მართალი რომ ვთქვა, შემებრალა გოგონა და იმ ბიჭზე გული ძმივიდა: ფულები უწვალებლად უცვივდებოდა ხელში და მეტი რაღა უნდოდა!

არ იფიქროთ, რომ ვამტყუნებდე. შესაძლოა მართალიც იყო, სიმპათია და პატივისცემაც კი ვიგრძენი იმ ადამიანისადმი, ვინც გაჭირვებაშიც უანგარო დარჩა. ასეთი საქციელის ადამიანს აზრებიც წმინდა ექნება. მართალს არ ვამბობ?

აი, ასე იყო საქმე... ვაჟი იმაზე გახელდა, მილიონერის ქალმა ჩემი, ლატაკის, შეყვარება როგორ გაბედაო. დაქორწინებაზე ხომ სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა, მასთან ვერც ღმერთი გახლებოდა რამეს და ვერც ეშმაკი. ცხადია, გოგონა ძალიან იტანჯებოდა. გული მეთუთქებოდა იმის შემხედვარეს. ასეთი ნორჩი, სიმპათიური, ჩიტივით უზრუნველი გოგონა, ვისაც ორმოცი წყვილი ახალი ფეხსაცმელი ჰქონდა, შიმშილით სამარის კარზე მისული ვიღაცა ვაჟის გულისათვის კვდებოდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, მამა მაინც მამაა! ასე არ არის? მოხუცმა ყველაფერი შეიტყო და ბიჭის დაყოლიებას შეეცადა. ვაჟმა ააგდო ქვა და თავი შეუშვირა: ჩემით მსურს ცხოვრებაში რაღაცას მივაღწიო, თქვენი წყალობა არა მჭირდება, თქვენ რომ დაგყვეთ, დამცირებულად და ფულზე გაყიდულად ვიგრძნობ თავს, შიმშილით მოვკვდე ის მირჩევნიაო.

ამ ეპიზოდის დასასრულმა კინაღამ ჭკუაზე შემშალა. მოხუცი მარცხის შესატყობინებლად ბრუნდება ქალიშვილთან. აი, ის ქალიშვილის ოთახში შედის, გოგონა ფეხზე დგება და ეგებება მამას. მის სახეს ფართო პლანით ვხედავთ ეკრანზე: პასუხის მოლოდინში თვალები უბრწყინავს, სუნთქვა ეკვრის. კადრი იცვლება, ეკრანზე ისევ მოხუცია. დამწუხრებული აქნევს თავს და ამბობს: „უარი მტკიცა“.

იცით, რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს კაცს. ასეთ ამბებს გულგრილად რომ უყუროს. პირადად მე ძალიან მშველის საღეჭი რეზინი და კინოში ყოველთვის დამაქვს კიდეც თან. გრძნობის დაფარვას მხოლოდ რეზინის ღეჭვით ვახერხებ. აი, ასეთი იყო საქმის ვითარება. ერთი სიტყვით, გულახდილად მოგახსენებთ: ცხოვრება დიდი სისულელეა! ფულები კი უარესად აფუჭებს მას! გაქვს თუ არა გაქვს ფული, ცხოვრება მაინც საძაგელი რამ არის. თუმცა, მოითმინეთ! მალე ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ჩვენს გმირს გონება გაუნათდა და რაღაცის გამოგონება დაიწყო. ქალაქის ცენტრში, სადაც სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა, სიღარიბის

მიუხედავად მას ვეებერთელა ბინა ჰქონდა, მისი ფანჯრები ქუ-ჩაზე გადიოდა. გაქირავება რომ მოეფიქრებინა, სიღატაკეს სამუ-დამოდ დააღწევდა თავს, მაგრამ ასე როდი მოიქცა: ვაჟს ეს, ალ-ბათ, აზრადაც არ მოსვლია. თუმცა, რა ვიცი, იქნება ვერაფერი გა-მოიგონოს კაცმა, თუ ასეთი შესანიშნავი ბინა არა გაქვს? ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: ვიდრე ღატაკი გამოგონებას შეუდგებოდა, ში-მშილით სული სძვრებოდა, — ეგრე არ იყო? უნდა გენახათ, ქა-ღალდის დასტას შუაღამისას ციფრებით როგორ აკრელებდა და ცრემლმორეულ თვალებს დროგამოშვებით როგორ მიაპყრობდა ხოლმე კედელს, სადაც ქალიშვილის პორტრეტი ეკიდა. მაგრამ ჯერ სადა ხართ, ფილმი ჯერ ხომ არ გათავებულა! კინოში კი ჰკვიან კაცს ტყუილუბრალოდ არ ადენენ ცრემლებს. ერთხელ ფაბრიკას ვაუჭირდა, რაღაც გატყდა და ამან მუშაობის შეწყვეტა გამოიწ-ვია. გაჩერდა უზარმაზარი მექანიზმი. მუშები მისჩერებოდნენ ამ დანადგარს და სინანულით აქნევდნენ თავს. ბოლოს ძალზე აღელ-ვებული მოხუცი გამოჩნდა და განაცხადა: წარმოების გაჩერება საბოლოო კრახამდე მიმიყვანსო. აი, ასეთი მდგომარეობა შეიქმნა. მაგრამ საქმეში ჭაბუკი ჩაერია და ყველა დააშოშმინა: „დამშვიდ-დით, რაღაცას ვიღონებო". შეუდგა მუშაობას. სულ ერთთავად თვლიდა და ანგარიშობდა. ეს ადგილი, ნამდვილად ყველაზე „და-ძაბული იყო. როგორ დასცხო მუსიკამ! საათი როგორ ითვლიდა დროს — „ტიკ-ტაკ"! მიჰქროდნენ დღეები. ჭაბუკი ოფლში იწუ-რებოდა; შიმშილი, წყურვილი და უძილობა ტანჯავდა, მაგრამ უქ-მად ერთ წუთსაც არ აცდენდა. ბოლოს დაღლილობისაგან განაწა-მები წყლის დასალევად შებრუნდა, ჭიქას დაუწყო ძებნა და უცებ — ბახ! გოგონამ ცივი ლიმონათი არ მიაწოდა! გამოგიტყდე-ბით, მარტო მე კი არა, ცოტა არ იყოს, იმ ვაჟსაც გაუკვირდა, აქ საიდან გაჩნდა ქალიო. ნუთუ ამ უარყოფილ სატრფოს შემოქმე-დების სამჭედლოში, თანაც დიდი გამოგონების წუთებში მოსვ-ლისა არ შერცხვა? მიუხედავად ამისა, ბიჭმა არაფერი უთხრა, გაუ-ღიმა და მუშაობა განაგრძო. იქნება ეს სიზმარი იყო მხოლოდ და მეტი არაფერი? აჰა, როგორც იქნა, ეშველა დეტალის დამზადებას, რომლის გაანგარიშება ალბათ ახალგაზრდა კაცის იმ ნაჯღაბნებში იყო გაბნეული. დეტალი უზარმაზარ მექანიზმს მოარგეს და, კრახს გადარჩენილი მოხუცის გულის გასახარად, ფაბრიკა აამუშავეს.

წარმოიდგინეთ, როგორ მოილხინა ყველამ. გაიმართა ერთი ხვევნა-კოცნა. აგერ, ფორმის ქუდიანი მუშა უზარმაზარ ჩარხს მისჩერებია სიყვარულით, მერე ცოლს ბავშვი ჩამოართვა და ჩაკოცნა. ჭაბუკი ცას ეწია სიხარულისგან! წინ კიდევ ზღვა სიხარული ელოდა. იმ წუთების გახსენებაზე მეც კი მიფართხალებს გული.

დადგა ამბის ბედნიერი დასასრული. ახალგაზრდა ვაჟი ახალთ-ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი მოგვევლინა. ერთ მხარეს გოგონა ედგა, მეორე მხარეს — მოხუცი. მოხუცს ხელში ნახევარ-მილიონიანი ჩეკი ეჭირა. ჩეკი ვაჟისთვის უნდა მიეცა, მან ხომ ჭკუის. მონდომებისა და აგრეთვე ლიმონათის წყალობით თავისას მიაღწია. მაგრამ გოგოც ხომ ეწია საწადელს. აი, ფილმიც ასეთი უნდა! რა სჯობია ასეთ ფილმს! განა ასე არ არის? რა კარგი იქნებოდა, ქორწილზე დარჩენა და ქეიფში მოლხენაც რომ ყოფილიყო შესაძლებელი! ნეტა ეკრანში გადაძვრომა მაინც შეიძლებოდეს! ვინ იცის. იქნება პირდაპირ იმ ხალხში ამომეყო თავი. აი, ეს კი იქნებოდა სეირი!

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყველაფერს დასასრული აქვს; იძულებული ხარ, კინოდან გამოხვიდე და ხეიბარ კონტროლიორს შეეფეთო. წურბელა! ეგ კაცი ვისაც გინდა, იმას აიძულებს ბილეთის აღებას. მერე კი ათასი უსიამოვნება გელის ქუჩაში.

მაგრამ გახსოვთ, წეღან რა ვთქვი? ნანახი ფილმი დიდხანს მიტრიალებს-მეთქი თავში. იმ ღამის შემდეგ თითქოს რაღაც გადატრიალება მოხდა ჩემში. აი, სწორედ ამის გამო უნდა ვაგო პასუხი პოლიციის ლეიტენანტის წინაშე. იმ ლეიტენანტის წინაშე, ვისაც თაბაშირისაგან დამზადებული ინდიელის ფული დღემდე მართებს ჩემი. მაგრამ საქმეს დავუბრუნდეთ. როგორც უკვე მოგახსენეთ, საცოლე მყავს, სახელად ლილა ჰქვია. თვალები სულ იმ ფილმის გმირ ქალიშვილს მიუგავს. ხდება ხოლმე ასეთი რამეები ცხოვრებაში! ტანით კი იმასთან ვერ მოვა: ლილა ხომ ღარიბი გოგონაა და ამასთან კალისტო გარსიაში ოპერაცია გადაიტანა. თვალებით კი ნამდვილად ჰგავს. ლილას მამას ვუმალავდით ერთმანეთის სიყვარულს. ლილამ მითხრა, თუ შეგვიტყო, მაშინვე სამუშაოდან გაგაგდებსო. ჰოდა, ჩვენც ვცდილობდით ისე შევხვედროდით ერთმანეთს, რომ მოხუცს ხელში არ ჩავცვივნოდით. ზოგჯერ სასეირნოდაც გავდიოდით და ვიტრინებში ვიჭყი-

ტებოდით. ლილა ყველაფერს ჩამამწარებდა ხოლმე, მეუბნებოდა: „აი, ნახე, რა უნდა შევიძინოთ ქორწილისთვისო“. მაგრამ ჩვენი უთანხმოება ორივეს მალე გვავიწყდებოდა. ზოგჯერ მხოლოდ თვალიც რომ მომეკრა, ან სამზარეულოდან მისი სიმღერა გამეგო, მაინც ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ვიყავით ასე ჭაბანწყვეტაში. არ ვიცი, ხალხნო, იმ დაწყევლილი დღის შემდეგ უკანასკნელად რომ ვიყავი კინოში, რა ეშმაკი შემიჩნდა. მტკიცედ გადავწყვიტე, სუფთა კოსტიუმი კვირა დღეს მაინც ჩამეცვა და მოხუცს განვუცხადე, კვირა დღეობით აღარ ვივაჭრებ-მეთქი! ცხადია, მოხუცს ეს არაფრად ეჭაშნიკა, მაგრამ რაკი შემოსავლის მეათედს მინაწილებდა და განსაზღვრულ თანხაზე არ ვიყავი მორიგებული, იძულებული გახდა, დამთანხმებოდა. თუმცა კი მერე ყველაფერი ჩაფლავდა, იმიტომ რომ ახალი წლისთვის იმდენი თოვლის ბაბუა დაამზადა, მეორედ მოსვლამდე ეყოფოდა დაბას. ყველაზე საწყენი ის იყო, რომ ეს წვეროსანი ბერიკაცები მე დამაწვა ტვირთად. სწორედ იმათ გამო ატყდა ჩხუბი. მოხუცმა მომთხოვა, კვირაობითაც იმუშავეო. მე უარი ვუთხარი და ამაზე წავლაპარაკდით. არ ვიცი, იქნება მე და ლილას რამე შეგვატყო, ყოველ შემთხვევაში, იმ დღემდე ასე არასოდეს უყვირია ჩემთვის და მუშტიც არ მოუღერებია. რასაკვირველია, იმ ადამიანს, ვინც მამად შემეფერებოდა და თანაც თვალში სინათლე აკლდა, გავუჩუმდი. მაგრამ, ვაი რომ ზოგჯერ ერთ წუთში შეიძლება იმდენი რამ მოხდეს, რაც სხვა დროს ერთ წელში არ შეგემთხვევა. მეც ასე მომივიდა. „დაეხსენ ჩემს ქალს, გაიძვერავ, წვირიანების შვილო!“ — დამიყვირა მოხუცმა და ორი ახლად შეღებილი თოვლის ბაბუა არ მესროლა სუფთა ხალათზე!

სულ არ მინდოდა ამ ამბის გახსენება. ახლა კარგად ვიცი, რა მრავალგვარი გრძნობა ბობოქრობდა მაშინ ჩემს გულში: ძალიან მინდოდა, მეც სუფთად მევლო და ცხოვრებაში რაღაცისთვის მიმეღწია. თანაც იმაზე ფიქრიც არ მასვენებდა, ალბათ შეგვატყო მოხუცმა, ჩემსა და ლილას შორის რაღაც რომ არის-მეთქი... ანგარიში ვეღარ მივეცი ჩემს თავს, სისხლი მომაწვა და უმალ ვეცი მოხუცს.

ახლაც თვალწინ მიდგას, მოხუცი როგორ დაბრუნდა შინ. თა-

ვ- შეხვეული ჰქონდა. უკან პოლიციელი მოსდევდა. საწყალი, როგორ მეცოდება!

სარკმლიდან ისევ ქუჩაში გავიხედე და, რას ვხედავ! დალახვროს ეშმაკმა! იქ, ჩვენ პირდაპირ „ბედის ჩარხს“ არ უჩვენებენ!

საინტერესოა, რომელ ნაწილს ვნახავთ ახლა: ფაბრიკის პატრონი ვაჟის საძებნელად რომ მიდის, თუ ნახევარ მილიონს რომ აძლევს სიძეს?

ძალაუფლების მოყვარული ბუ

კუბელ ბავშვებს.

დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ პაპა ღმერთმა სულ რჩეული საჩუქრები გამოუგზავნა დედამიწის ბინადართ. იმ დროს კუბაზეც ყველაფერი ახალთახალი იყო. ჯერ კიდევ თბილ სიერა მაესტრას ორთქლი ასდიოდა. ვალე დე ვინიალესზე პირველი ნაკადულები აჩუხჩუხდნენ, ხოლო პლაია დე ვარადეროს სანაპიროები ტალღების მუსიკამ გაახმიანა.

დიახ. ყველაფერი. აგუტებიც, ზღვის კუც. ომახიანი ფრინველი სინსონტეც. თვით ღრუბლები და პალმებიც კი, ყველაფერი ახალთახალი იყო და ერთი უმთავრესი რამეღა აკლდა მხოლოდ — მზე! არადა ვის რად უნდა ლამაზი სახლი, თუ სინათლით არ იქნება გაჩახჩახებული?

ირგვლივ თვალშეუვალი წყვდიადი სუფევდა, ჩიტების ჰაერში ფრენაზე ლაპარაკიც ხომ არ შეიძლებოდა. აი, ასე ცხოვრობდნენ. ყველა თავისი საქმით იყო გართული.

მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად, ერთ მშვენიერ ღამეს, იმიტომ, რომ მაშინ არ იცოდნენ რა იყო დღე, ცხვირაპეკუა ბუმ, რომელსაც თავი ყველასაგან განზე ეჭირა, ცხოველებს მიმართა:

— ძმანო აგუტებო, დანო სინსონტეებო და ძაღლებო, ტყის ყველა ბინადარნო... მე ერთი ისეთი რამ ვიცი, რომ, თუ მოვისურვე, ყველაფერს ხილულს გავხდი.

წარმოგიდგენიათ, როგორ ააღელვებდა ეს სიტყვები კუნძულის ბინადართ!

— დეიდა ბუს ერთი ისეთი ნამალი ჰქონია, რომ ფრენას შე-

გვაძლებინებს თურმე! — აყაყანდნენ წითელ ქილეტებში და მწვანე კოსტიუმებში გამოწყობილი თუთიყუშები.

— დეიდა ბუს ერთი ისეთი წამალი ჰქონია, რომ სირბილს შეგვაძლებინებს თურმე! — სიხარულით აყეფდნენ ძაღლები.

— როგორ გავქუსლავთ! — ძაღლებს ჭიხვინით აჰყვნენ ცხენები.

— დეიდა ბუს ერთი ისეთი წამალი ჰქონია, რომ ხტუნვაში დაგვეხმარება თურმე! — მხიარული ყიყინი მორთეს ბაყაყებმა.

ცხოველების ჯარი სასწრაფოდ დაიძრა ბუსკენ. სიბნელეში გზას ძლივს მიიკვლევდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ და გული მოსდიოდათ, რომ ამ კუპრივით ბნელ ღამეში თანამგზავრების ცნობაც კი არ შეეძლოთ.

ცხოველებმა თავი რომ მოიყარეს, ბუმ მიმართა:

— მე ერთი ისეთი რამ ვიცი, რომ შემიძლია თვალის ჩინი გაგიჩინოთ.

— გვასწავლე, რა წამალია, და ახლავე დავლევთ!

— ეს წამალი არაა!

— მაშ, აღთქმა იქნება რამე, გვითხარ და შევასრულებთ.

— არც აღთქმაა.

— გვითხარი, გვითხარი, მაინც რა იცი ისეთი, ქალბატონო ბუ!

ბუ გაჩუმდა, დინჯად გადახედა მხეცებს და მორცხვ მტრედს დაადგა თვალი.

— მტრედო, მომიახლოვდი. შენ პირველი იქნები!

მტრედი მონუსხულივით ნელა მივიდა ბუსთან და თავი დახარა.

— აი, ეს ფურცლები გამომართვი, თვალებზე აიფარე და რასაც დაინახავ, გვითხარი.

— ღმერთო დიდებულო, რა ლამაზი ყოფილა კუბა! — შესძახა აღფრთოვანებულმა მტრედმა. — ო, რა თვალწარმტაცი ჰალმები, ცა და ღრუბლის თეთრი ქულებია! — და მაშინვე ცაში აიჭრა. დანარჩენი ცხოველები ვერა ხედავდნენ, მტრედი ცაში როგორ დაფრინავდა; მისი ფრთების შუილი ესმოდათ მხოლოდ. ცხადია,

ბუს თავისთვისაც ჰქონდა ფურცლები, მიიფარა მანაც და რეპორტაჟი დაიწყო რადიოკომენტატორივით.

— აი, მტრედმა ჩაგვიქროლა... ზევით მიიწევს!.. სულ უფრო სწრაფად მიფრინავს!.. საოცარი სურათია! წარმოუდგენელი სანახაობაა!.. ყველაფერი ეს მხოლოდ იმ ორი ფურცლის წყალობით შეძლო... აი, გვიახლოვდება ეს ცის პატარძალი! ბატონებო, მტრედი უკვე თქვენ წინაშეა!

მტრედი ისე მოაჯადოვა ცაში ფრენამ, რომ აღელვებულმა იმ ორი ღერი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა, რომლის მოსმენაც ასე სწყუროდათ ცხოველებს. მაშინ ბუმ, მუდამ თავის თავზე რომ ფიქრობდა, იკითხა:

— თქვენა... თქვენ აღარ გინდათ, თვალის ახელა?

— გვინდა, გვინდა! — ერთხმად შესძახეს ცხოველებმა.

— თუ ასეა, — უთხრა ბუმ, — დედოფლადა მცანით და ყველას გიწყალობებთ ასეთ ფურცლებს.

ირგვლივ უკუნი სიბნელე სუფევდა და ცხოველებმა ვერ შეძლეს ბუს თვალებში ამოეკითხათ, რას ნიშნავდა დედოფლად გახდომა. ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ ვერც ასე შეიტყვეს რამე.

— გეტყვით. რასაც ნიშნავს დედოფლობა. დედოფლისთვის სხვებმა უნდა იმუშაონ: მატლი რომ მატლია, იმანაც მიწის თხილი უნდა უზიდოს, ცხენმა უნდა ასეირნოს, აბრეშუმის ჭიამ უნდა შემოსოს, ფუტკარმა თაფლით მოამარაგოს, თევზები კი ზღვის ფსკერზე უნდა ჩაეშვნენ და მარგალიტები ამოუტანონ.

— ო, რა დიდებული და ხელსაყრელი ყოფილა დედოფლობა! — ამოიოხრა კიბომ და მარწუხში გაჩრილი სიგარა გააბოლა. — მაშასადამე, დედოფლობა იმას ნიშნავს, რომ ყველა ერთს მოგემსახუროს!

— დიახ, ყველა! — მბრძანებლურად და ამპარტავნულად დაუდასტურა დეიდა ბუმ და დასძინა:

— მაგრამ თუ არ გინდათ ეს ფურცლები, თქვით...

— გვინდა! გვინდა! — აყვირდნენ ცხოველები, იმიტომ რომ სინათლისა და ქვეყნის ხილვის ნატრულები იყვნენ.

მაშინ ბუმ ნამდვილი მჭევრმეტყველებით გაშალა ფრთები და ჩაახველა:

— ჰმ, ჰმ!... რაკი ასეა, გაგიმხელთ! ეს ფურცლები წმინდა ხის ფურცლებია, რიგში ჩადექით, ყველას დაგირიგებთ.

ნეტა გენახათ, რა სიხარულმა აიტანა ცხოველები, როცა იგრძნეს მალე დავინახავთო. ამქვეყნად თვალის ჩინზე დიდი ბედნიერება ხომ არ არსებობს! ბედნიერები იყვნენ ახალთახალი კუბის ბინადარნი. მაგრამ ეს რაღა ბედნიერება იყო... მართალია, ცხენი სირბილისას აღარ ბორძიკობდა, მაგრამ, როცა კი მისი აღმატებულება ბუ გასეირნებას ინებებდა, უსიტყვოდ უნდა აღესრულებინა მისი სურვილი. საცოდავი აბრეშუმის ჭია დღედაღამ თავაუღებლად შრომობდა, რომ ორმოცი უძვირფასესი კაბა მოექსოვა დედოფალ ბუსათვის. მატლები მიწაში დაძვრებოდნენ და დედოფლისათვის მიწის თხილს დაეძებდნენ, ერთი წუთით მოცლა აღარა ჰქონდათ, რომ წმინდა ხის ფურცლებში გაეხედათ და ქვეყნის ხილვით დამტკბარიყვნენ. ბუ კი ამასობაში გასუქდა, გაფაშფაშდა და ნარ-ეკლით მემოღობა ახლომახლო ველ-მინდვრები.

მაინც რა იქნა, სად გაქრა მზე; რატომ არ ანათებდა ქვეყანას? თურმე პაპა ღმერთს მზის კუბისაკენ შემობრუნება შემთხვევით დავიწყებოდა. წმინდა პეტრემ შენიშნა ეს ამბავი და უფლის საბლისაკენ გაემართა. ღმერთს კი ის-ის იყო სადილი დაემთავრებინა და გამოსაძინებლად მიწოლილიყო.

— პაპა ღმერთო, — მიმართა წმინდა პეტრემ.

ღმერთმა სხივმოსილი თვალები აახილა, ჰამაკში წამოჯდა და იკითხა:

— რა მოხდა, ნათლიმამ?

— კუბაში სინათლე არა აქვთ. საცოდავი ცხოველები ვინიალესიდან მაესტრამდე ერთმანეთს აწყდებიან. მთლად დალურჯებულნი და დალილავებულნი დადიან.

— რას მეუბნებით, ნათლიმამ! მერე და აქამდე რატომ არ აანთეთ მზე?

— თქვენი ხელმოწერილი ნებართვის გარეშე ეს შეუძლებელია, ბატონო, — მოკრძალებით მიუგო წმინდა პეტრემ.

ღმერთი ჰამაკიდან წამოდგა და შესძახა:

— ელპიდიო, დამასო, ხოაკინ, აქ მოფრინდით ჩქარა!

სამმა პატარა ანგელოზმა ღმერთთან მიირბინა. მათ თავზე პალმის ფოთლებისგან დაწნული სომბრეროები ეხურათ.

— გაიქეცით მზისკენ და სხივები ქვევით დაუშვით, სინათლე არა ჰქონიათ კუბაზე!

— დიდად გმადლობთ, ბატონო! — მადლი მოახსენა წმინდა პეტრემ.

— მადლობის ღირსი შენა ხარ პეტრე, — მიუგო ღმერთმა. — ჩვენ ზეციურ საქმეებზე ზრუნვის გარდა მიწიერ ამბებზე ფიქრიც გვმართებს.

და აი, მზემ თავისი სხივები მოჰფინა ქვეყანას. დიდებული სურათი გადაიშალა თვალწინ!.. ენით უთქმელი მშვენიერება!.. კუბის პირველი განთიადი!.. როგორ შეჰხაროდნენ ამ განთიადს ბანანის ხის ფოთლები და ტბათა ჩქერალები! რა აღტაცებით შეეგება მზის სინათლეს ზღვა და როგორ გაბრწყინდა მისი ზედაპირი! შუქი ჯერ ოდნავ აკიაფდა, ოდნავ გაანათა ცა, მერე სხვადასხვა ფერის ჩანჩქერად გადმოიქცა, ფოთლები მწვანედ შეაფერადა. მანგოს ხეს რბილი ტონები მოჰფინა. წითლად და ყვითლად აციაგებული მარანიონის[1] ქოლგისებური ყვავილები ნელა ირხეოდა. მწარე ესკობმა თეთრი ვარსკვლავებივით გადაშალა კოკრები. თავბრუდახვეული პეპელა ჰაერში დაფარფატებდა და მზეზე ცისარტყელას ფერებად ბრწყინავდა.

ო, რა საუცხოო რამ არის კუბა! თუნდაც, თოვლივით ქათქათა, ზანტი ნისლი რად ღირს, წიწვის, ახლად მოჭრილ შაქრის ლერწმის და თაფლის სუნი რომ უდის!

დიახ, თვალწარმტაცი შეიქმნა კუბა! მაგრამ ეს რა ხდება? ცხოველებს ბურუსში, კვამლში გახვეულივით რატომ ეჩვენებათ ქვეყანა?

— კარამბა, ძმაო ციცინათელა, თვალებზე თითქოს ბისტი მაქვს გადაკრული, — დაიყიყინა შეშფოთებულმა ბაყაყმა.

— მე კი, დაიკო ბაყაყო, უფარნოდ ნაბიჯის გადადგმაც ველარ ბომიხერხებია. რისი ბრალია?

— ვიკარია, ვიკარია, ვიკარიის ნახარში გიშველით, ის დაგიბრუნებთ თვალის ჩინს! — გაიძახოდა ბუ და ცდილობდა, ცხოველთა სიბეცის ნამდვილი მიზეზის დაფარვას. ცხოველები კი ისევ ბორძიკობდნენ და მანძილის განსაზღვრა უჭირდათ. საბრალო კო-

---

[1] მარანიონი ხეხილია. მსხალივით ნაყოფს ისხამს.

დალას ასეთი მარცხიც კი მოუვიდა: ჩანისკარტება დაუპირა პალმას, მაგრამ მანძილი კარგად ვერ გამოზომა და ნ-სკარტი მოიტეხა.

— ვიკარია, ვიკარია! ვიკარია საბოლოოდ განგკურნავთ! — მანამდე გაჰკიოდა ბუ, სანამ კიბო არ მივიდა და არ გამოაჯავრა:

— არც ვიკარია და არც წყაროს წყალი, თქვენო უდიდებულესობავ; თვალთაგან ფოთლები უნდა მოვიშოროთ!

— რას ბოდავ, უბადრუკო ბრიყვო! სიბრმავე ხომ არ მოგენატრა ისევ?

კიბომ ყური არ ათხოვა. წამოიმართა და ვეებერთელა მარწუხით მოიხმო შიშისაგან მობუზული მტრედი.

— მტრედო, აბა, აქ მოდი!

მუდამ მორიდებული და უწყინარი მტრედი ნელა მიუახლოვდა.

— თვალებიდან ფურცლები მოიცალე და რასაც დაინახავ, მითხარი!

— ო, ძმობილო კიბო, ახლა კი მივხვდი, რას ნიშნავს ნამდვილი თვალის სინათლე! — წამოიძახა მტრედმა, ყელი მოიღერა და პალმის კენწეროს შეხედა. — უყურეთ, როგორი მოხდენილი სამოსელი ჰქონია პალმას!

— მე და შენ კი არაფერი ვიცოდით! მეც დღეს შევამჩნიე პირველად.

— ვიკარია, ვიკარია! — ლაპარაკში ჩარევა მოინდომა ბუმ, მაგრამ ძმობილმა კიბომ გააწყვეტინა:

— იცი, რა გითხრა, დეიდა ბუ, დროა, ყვითელი ფოთლების საშუალებით კი არა, საკუთარი თვალებით შევხედოთ ქვეყანას!

ბუ განრისხდა და ალესილი, ჩიტების ხოცვას ნაჩვევი ბრჭყალები გამოაჩინა.

— მე დედოფალი ვარ და იმის ნებას არასოდეს არ მოგცემთ, რომ თვალებიდან ფურცლები მოიცილოთ! ვიკარია, ვიკარია, ვიკარია!

მაგრამ ბუს არც მთაში და არც ბარში ყურადღებას აღარავინ აქცევდა, იმიტომ, რომ შემოტყუებული ფურცლებით და ღმერთის მიერ მონიჭებული თვალებით ყურებას შორის დიდი განსხვავებაა.

იმ დღიდან მოკიდებული კუბის ბინადარნი თავისუფლები ღა-
ბედნიერები არიან. ცხენები იმდენს დარბიან, რამდენიც სურთ.
აბრეშუმის ჭიამ ცისფრად დაწინწკლული ქუდი მოიქსოვა. მატლ-
მა მხრებიდან უკანასკნელი მიწისთხილი ჩამოაგდო. გაჭირვებით
რომ მიათრევდა ბუსთვის.

მხოლოდ ბუ, ბნელში ცხოვრებისათვის განწირული. მოუქნე-
ლი და უბედური დეიდა ბუ, გაჰკიოდა ცალფად:

— ვიკარია, ვიკარია!

ამ დღეში კი იმიტომ ჩავარდა, რომ ძალაუფლების მოყვა-
რულმა თვალებიდან მოოქროვილი ფურცლების მოცილება ან-
ინება.

მთხრობელი

ალარ მახსოვს, მანტუაში თუ სიბანიკუში ცხოვრობდა ერთი კაცი. სახელად ხუან კანდელა ერქვა, ამ კაცმა ამბის ისეთი მოყოლა იცოდა, რომ ბადალი არ მოეპოვებოდა.

სანამ ლერწმის შაქრის წარმოებას შეამცირებდნენ. კუნძულის მთელი გლეხობა პლანტაციებში მუშაობდა მხარდამხარ. იმათგან ხუანი დამამახსოვრდა ყველაზე კარგად: ახოვანი კაცი იყო, ჯიღა წარბების ქვეშიდან ღრმად ჩამჯდარი, შავი. ცოცხალი თვალები მოუჩანდა, დიდი, სწორი შუბლი და შავი თმა ჰქონდა. ენა საოცრად უჭრიდა და მთისა და ბარის, ათასი ჯურის ტყუილი და მართალი ამბით ჰქონდა გამოტენილი თავი.

საღამოობით დიდ ბარაკში, ფარნის გარშემო მოვიყრიდით ხოლმე თავს და დავსხდებოდით. მოვიდოდნენ სორიანა, მიგელი, მარსელინო და სხვები, — ყველას სახელი ალარ მახსოვს. როგორც კი ხუანი პირს დააღებდა ამბის მოსაყოლად, ყველა გავინაბებოდით. გეგონებოდა, ტყის ყველა ფრინველის ხმას და გიტარის ყველა ბგერას სულ იმის ყელში მოუყრია თავიო. ჩვენ ჩუმად ვიზელდით დაბუჟებულ ფეხებს, ვსწორდებოდით, მწერებს ვიგერიებდით და შიგ პირში მივჩერებოდით ამ კაცს. თვალს ვერ ვწყვეტდით. ისიც თავისი გმირების წაბაძვით გვიყვებოდა ამბებს. მათი ხმით ლაპარაკობდა და თხრობაში მთელ ტანს იშველიებდა. როგორ მოგწონთ: მთელ დღეს თაკარა მზეში მუშაობით ქანცგამოცლილებს ფულის მაგიერ ფარდულის ტალონს რომ გვაძლევდნენ, ეს ხუან კანდელაც რომ მოდგებოდა და ათასნაირი ნამდვილი და არანამდვილი სასწაულით გვიტენიდა თავს?

მე შენ გეტყვი, ვინმე შეედავებოდა თუ? მოიგონებდა ტყუილს, გვიამბობდა და თან ისე შთამაგონებლად გადმოგვხედავდა, რომ ეპვის გამოსათქმელი სიტყვა პირზე შეგვაშრებოდა ხოლმე.

არ შეიძლება ამ კაცის სულში ჩაბუდებული რაღაცა გაუგებარი ძალის წინაშე ფარ-ხმალი არ დაგეყარა. თავისი სიტყვის საგანძურიდან ზუსტ, სხარტ, ერთადერთ სწორ სიტყვას ამოირჩევდა. სახის გამომეტყველებით ან ხელის მოძრაობით თითქოს ჰაერში გასტყორცნიდა და თვალის დახამხამებაში გვატყვევებდა, გვხიბლავდა.

აი, როგორი სიტყვებით იცოდა ასეთი ამბის მოყოლა: „მდინარე ლახასში — საჯირითო მინდორს იქით რომ ჩაუდის, — უზღვავი თევზია. ერთ მშვენიერ დღეს მდინარე ნაადრევად ადიდდა და კალაპოტიდან გადმოსულმა წყალმა სან-მიგელი და შემოგარენი დატბორა, ცა მოიქუფრა, გორაკის თავზე ღრუბელთა ქარავანი მ-ცურავდა. უეცრად საიდანღაც ქვეყნის მტვერი დატრიალდა. სუსხიანი ქარი მიწაზე აწვენდა კურდღლისცოცხასა და გუაიავებს. მერე კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. იმ ხანებში ვაჭრობის საქმე კარგად მიმდიოდა. მაშინ ერთი ზორბა, ჯანიანი ჯორი მყავდა. როგორც კი წყალმა დაიკლო და ტალახიც ცოტა შეშრა. სოფლისკენ გავუდექი გზას. მივდივარ და ვფიქრობ. მდინარეზე როგორ გადავიდე-მეთქი, — მოგეხსენებათ, უნაგირით რწევამ ფიქრის საღერღელის აშლა იცის. მდინარე ოდნავღა იქნება ადიდებული. რაც იქნება, იქნება — ვცდი! უარესი წყლები გადამლახავს. მადლობა ღმერთს, ეს ადგილები ხუთი თითივით ვიცი, ჯორს სადავეს მივუშვებ და მივენდობი, თვითონ გამიყვანს-მეთქი. ჭანჭრობიან დაბლობს დავადექი და საღამო ხანს მდინარესთან გავედი. ვხედავ, წყალი შოკოლადისფრადაა ამღვრეული, მაგრამ ნაპირიდან სულ რაღაც ნახევარ მეტრზეა გადმოსული. ჯორი მდინარეში შევაგდე და ფონს გასვლა დავიწყე. საქმე ჩინებულად მიდიოდა: ყრუდ მესმოდა, ფლოქვები როგორ ხვდებოდა წყალქვეშა ლოდებს... იმ ჩემი ცოდვით სავსე პირუტყვს ერთბაშად შუა მდინარეში ფეხი არ დაუსხლტა ქვაზე! გაოჩნდა და ფეხის მოცვლა აღარ ინება ადგილიდან. ვხედავ, საქონელი მიოხრდება. დასველებული პუდრი და ძაფები აბა ვის რა ჭირად უნდა. დიდხანს არ მიფიქრია, ავიღე და ჯორს მთელი ძალით ვატაკე დეზი. პირუტყვმა ამჯერადაც არ მიმტყუნა და მიხსნა გაჭირვებისაგან, შეტოკდა, შეშინებულმა ყურები ააპარტყუნა და ჯიქურ გატოპა კისრამდე მომდგარი მდინარე, ნაპირზე რომ ამოვედი, ვგრძნობ, სიმძიმისაგან ლამის

არის ფეხები დამაწყდეს. ვფიქრობ, ეს რაღა ოხრობაა-მეთქი? დავიხედე და რას ხედავს ჩემი თვალები! — ორივე დეზზე ლოქოები არ წამომვებია! თითო თითო ფუნტი მაინც გამოვიდოდა. მივუბრუნდი მდინარეს და მივაძახე: შე დალოცვილო, ამდენი თევზი სად გაგონილა-მეთქი!"

ხუანმა თითები წყალში გაფართხალებული თევზივით შეათამაშა. მერე ალესილი დანის პირივით მოელვარე თვალები ამაყად მოგვავლო.

ერთხელ გარეული ძაღლის ამბავი გვიამბო. ლეკვი ეპოვა. ვითონ გაეზარდა და ძალიან შეყვარებოდა. ეს ძაღლი, რომელსაც „პეპელას" ეძახდა, ჭეშმარიტად გადასარევი რაღაც ყოფილა. სხვათა შორის, ირემზე ნადირობაშიც კი გაუწაფია კანდელას. ძაღლს ერთი უბედურება სჭირდა თურმე — უცნაური ფეხები ჰქონია. „ირემს დადევნებულ „პეპელას" ფეხებს თვალს ვერ ჰკიდებდი, ქარივით მიქროდნენო", — ამბობდა ხუანი. აი, სწორედ ამ ფეხებს დაუღუპავს კიდეც. ერთ საღამოს ძაღლი მთაში გაპარულა, ნიავი თურმე ხან ერთი მხრიდან მოიტანდა მისი ყეფის ხმას, ხან — მეორე მხრიდან. „ნამდვილად ნადირის კვალს მიაგნებდა", — უფიქრია ჰამაკში მონებივრე ხუანს, ამ ფიქრებში დასძინებია და სიზმრად „პეპელა" უნახავს: ძაღლი, ვითომ, დამფრთხალ ირემს ისე მისდევდა კვალში, კაცი იტყოდა, ქარი ჩასდგომიაო. მეორე დღეს, კანდელა საქმეში გართულა და ძაღლი აღარ გახსენებია. ნაშუადღევს ლერწმიანში უცებ ყურისწამღები ლაწალუწი ამტყდარა. გაუხედავს და რა დაუნახავს: ირემს რქები გაუწყვია მხარზე და პირდაპირ პლანტაციისკენ მოქრის! უნდა გენახათ, რა თვალებით იყურებოდა საბრალო პირუტყვი! კანდელას ახლაღა გახსენებია ძაღლი. ხუანს ამ დროს მაჩეტე[1] ულესია. ფიქრის დრო აღარ ყოფილა. ჯანდაბას ეს ირემი! საცოდავმა „პეპელამ" ალბათ მთელი ღამე სდია და დაოსებული იქნებაო. ხუანს მაჩეტე ტარით ჩაუსვია მიწაში, ძაღლი წამოედება და დავიჭერო, უფიქრია. მაგრამ ამჯერად ვარაუდი არ გამართლებია, სასტიკად მოსცარვია ხელი — ზოგჯერ ასეც ემართებოდა ხოლმე! ირემს ჩაუქროლია, ხუანს ფაციფუცში ძაღლისკენ უქნია მაჩეტეს პირი... „პეპელა" კი

---

1 მაჩეტე — დიდი დანაა, წალდის მაგიერ ხმარობენ კუბაში.

ტყვიასავით მოქროდა თურმე. ხუანს თვალის დახამხამებაც ვერ მოუსწრია, რომ ძაღლი მაჩეტეს დატაკებია და მის ალესილ პირს შუაზე გაუჭრია.

— თუ ძაღლი სწრაფია და ირმის კვალში ჩადგომა ეხერხება, დიახაც რომ კარგია, — დააბთავრა ხუანმა, — მაგრამ სწორედ ამ ნიჭმა იმსხვერპლა ჩემი საბრალო „პეპელა"!

ასეთ საღამოებზე ზოგჯერ მარსელინო, მიგელი ან სორიანოც მოიგონებდნენ ხოლმე რამეს, მაგრამ კანდელას შემდეგ იმათი მოსმენა როგორ იქნებოდა! აბა მათ სად შეეძლოთ ხეანივით სიტყვის შერჩევა, ანდა ნაამბობის მოქმედებით დასურათება.

ლაპარაკით გულს რომ ვიჯერებდით, მერე ჰამაკში ჩავწვებოდით და ღამის სიჩუმეში მხოლოდ და მხოლოდ ჭრიჭინობელას ჭრიჭინი და მამლების ყივილიღა გვესმოდა.

ერთ დილას პლანტაციაში ვიყავით გასული. მოულოდნელად მარსელინო მეკითხება:

— ვითომ მართლა იმდენი თევზი იყო?

სად-მეთქი, მინდოდა მეკითხა, მაგრამ თვალი შევასწარ, რომ ხუან კანდელას უყურებდა. კანდელა შორიახლო სარეველას მარგლიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მიგელის და სორიანოს საუბარს მოვკარი ყური. ისინი მაჩეტეს ლესავდნენ, ერთმა თქვა:

— მე არა ვდაობ. ცხადია, დანას თუ გაქანებული დაეჯახა რამე, გაჭრის.

— მაგალითად, კარაქს, არა?! — ჩაეურთე მე. სორიანომ და მიგელმა გადაიხარხარეს. სორიანო გაჩუმდა, ცოტა ხნის მერე კი მაჩეტე ყუით ქვას დაჰკრა და წამოიძახა:

— მაინც არა მჯერა, ტყუილს ამბობს!

— რა თქმა უნდა, ტყუილს ამბობს, — ჩაიბუზღუნა მიგელმა, — ხუთი თითივით ვიცი, რომ ტყუის.

სამივემ შეთქმულივით გადავხედეთ ერთმანეთს. ახლა საქმე ის იყო, ვინ გაბედავდა და ხუანის სულში ჩაბუდებულ ჯადოსნურ ძალას, თვალებიდან ციცხლად რომ აფრქვევდა, ვინ შეებმებოდა.

— რაც იქნება, იქნება! ავდგები და ერთ საღამოს პირში მივახლი... — განაცხადა სორიანომ და დანა უფრო ძალუმად დაჰკრა ქვას.

— აბა რა! როდემდე უნდა გვატყუოს! — დაასკვნა მიგელმ და ყველამ თავის საქმეს მიხედა.

პირველად მაშინ გადავწყვიტეთ, რომ ხუანი ჩიხში მოგვეწყვდია. ტყუილი შეიძლება ერთხელ აპატიო კაცს, მეორედ ზრდილობის გულისთვის მოუთმინო, მაგრამ მესამედაც რომ არაფერი უთხრა, ეს იმას ნიშნავს, სილა გაგაწნან და ხმა არ ამოიღო.

იმავე საღამოს დიდშუბლა ხუანი ისევ მოვიდა ფარანთან, ახლად მოკრეფილი თამბაქო გაახვია და ომის დროინდელ ამბებს მოჰყვა:

— მაშინ ბავშვი ვიყავი. ყველგან შიმშილი მძვინვარებდა, ბიძაჩემი, დედაჩემის ძმა — აუ, როგორ ჰქონდა გაწაფული თვალი საქონლის გამოცნობაში! — რომ არა გვყოლოდა, შიმშილით ამოგვხდებოდა სული. აჯანყებულებმა ისე გადათელეს ყანები, ერთი ძირი სიმინდი და გოგრის ერთი ღერო არ დაუტოვებიათ. ბიძაჩემი თავის თაფლისფერ ფაშატს შეკაზმავდა და რამდენიმე დღით სადღაც გაქრებოდა ხოლმე. მერე იმისთანა სანოვაგით დატვირთული დაბრუნდებოდა, ჩემს დღეში მსგავსი არაფერი მეჭამა. კარებს წიხლისკვრით შემოაღებდა, ცხენიდან ჩამოხსნილ საპალნეს შემოგვიგდებდა, გადაიხარხარებდა და მოგვაძახებდა:

— აჰა, ჭამეთ, ორ კვირას მაინც გეყოფათ!

გოგრა, ბანანი, პამიდორი მოგორავდნენ იატაკზე. წითელი, მწვანე, წინდისფერი ერთმანეთში აირეოდა ხოლმე და თვალებს გვიპრელებდა. რა ფერის ხილს იტყვით, რომ იქ არ ყოფილიყო. დედა ჯერ კალთაში იყრიდა, კალთა რომ გაევსებოდა ტომარას მომატანინებდა ხოლმე. აკი გითხარით, მაშინ დიდი შიმშილობა იყო და გოგრის თესლსაც კი წამლად ვერ იშოვიდა კაცი. მიკვირდა, სად შოულობს ბიძაჩემი ამ უგემრიელეს ხილსა და ბოსტნეულს-მეთქი?

ხუანის კითხვა პაპიროსის კვამლით დაბურულ ჰაერში გამოეკიდა. მე თვალი გადავავლე მსმენელებს. მარსელინო მოჯადოებულივით უყურებდა მთხრობელს. საფეთქელზე ქინქლი რომ დაფრენოდა და სისხლს სწოვდა, ამასაც ვეღარ გრძნობდა. სორიანო, მიგელი და სხვებიც პირდაღებულები მისჩერებოდნენ ხუანს, ყველანი ობობას ქსელში გაბმულ ბუზებსა ჰგავდნენ.

— ჰოდა. როცა ბიძაჩემის აღსასრულის საათი დადგა, — გა-

ნაგრძო ხუანმა, — ოთახიდან ყველა დაითხოვა და მხოლოდ მე მა-ნიშნა, დარჩიო. გასაშლელ საწოლზე წამოჯდა, ცივი თვალები მო-მაპყრო და მითხრა: „ყური დამიგდე, ხუან, კაცი ყველაფერში ვერ გაენდობა სხვას. ადამიანები თავიანთი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავენ; როგორც კი ცოტა უცნაური რამეს იტყვი, სიცილს და-გაყრიან — ტყუილების გუდა ხარო, გიკიჟინებენ. შენ კი სხვა-ნაირი ბიჭი ხარ, ამიტომ ჩემს საიდუმლოს, თან რომ არ ჩავიტანო სამარეში, შენ გეტყვი. ჰოდა, ყური მათხოვე! საპატას ნახევარკუნ-ძულზე, ზედ რიო-ნეგროს სათავესთან, ბუჩქნარსა და ჭაობებზე ერთი დახვეული ბილიკი გადის. იმ ბილიკს დაადექი დილაადრიან და ექვსი დღე-ღამე შეუსვენებლივ აჭენე ცხენი მანამ, სანამ ვულ-კანს არ მიადგები. იმ ბილიკსა და ვულკანს შორის ერთი ქალაქია. შენ ნუ შეხვალ ქალაქში, გეზი მინდვრებისაკენ აიღე. ჭირნახუ-ლით უხვ მხარეში მოხვდები. ინდიელები კეთილი ხალხია".

— ეგ რომელი ქალაქია, ბიძია? — ვკითხე მე.

— მეხიკოს ეძახიან, ბიძიკო, მეხიკოს! აბა, სხვაგან სად ვ-შოვიდი ამდენ ჭირნახულს?! — ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი სათქმელი და სული განუტევა ბიძაჩემმა. ხუანი წუთით გაჩუმდა. არავინ განძრეულა. მთხრობელმა თავი აიღო, მსმენელებს გა-მარჯვებული სახით გადმოგვხედა და დასძინა: ამ დღეებში მართ-ლა ვაპირებ იქ წასვლას. თუ გინდათ, ნიძლავს ჩავოვალ, ჩემ გარ-და კაცმა არ იცის მეხიკოსკენ მიმავალი გზა.

უცბად სორიანო ფეხზე წამოხტა, მხრები შეათამაშა, დინჯი შემოიყარა... მაგრამ, ხუანის გამოხედვამ ცივი წყალი გადაასხა, სორიანოს ენა მუცელში ჩაუვარდა, ნერწყვი გადაყლაპა და მორჩი-ლად დაჯდა თავის ადგილზე.

მეორე დღეს, როცა ხუანმა ჯამი აიღო და საბზარეულოში წავიდა, სორიანომ ორად დაკეცილი, ჭუჭყიანი ქაღალდის ნაგლეჯი მაჩვენა. ზედ სამგზავრო გემი ეხატა. ნახატი გაბუნებული იყო. გემს თავზე ეწერა, მეხიკომდე იქით და აქეთ მგზავრობა ამდენი და ამდენი პესო ღირსო.

— წუხელ რაღამ დაგაფრთხო? — ვკითხე სორიანოს.

— მეც არ ვიცი, თითქოს ყელში რაღაც გამეჩხირაო, — მიპა-სუხა დარცხვენით.

სარეველამოდებულ შაქრის ლერწმის ნაკვეთებში წავედ-წა-

მოვედით. იმ დილას სორიანოს ხმა არ ამოუღია. მიგელმა თამბაქოს მღილზე და მასთან ბრძოლის ხერხებზე ჩამოაგდო სიტყვა. სორიანო ამ ძველ დავაში, რომელსაც ხშირად ვუბრუნდებოდით, არ ჩარეულა. საღამოს, როცა მზე საწყობის სახურავზე გადაიწვერა, ჩვენ ბარაკის კართან ვიდექით და თამბაქოს ვაბოლებდით, სორიანომ მოულოდნელად იფეთქა, ქათმის საკენკით სავსე გობს ფეხი ამოჰკრა და დაიძახა:

— შერცხვენილი ვიყო, თუ დღეს, რაც გულში მაქვს, ყველაფერი არ ამოვალაგო! აი, ნახავთ!

მაგრამ ასტეში სწორედ იმ საღამოს გაუჩნდა ცეცხლი ლერწმიანს. დონ კარლოსმა ცხენი მოაჭენა და მეზობლების დასახმარებლად გაგვგზავნა. მთელი ღამე და დილა მოვანდომეთ ხანძრის ჩაქრობას. დაღლილებს დღისით გამოძინების ნება მოგვცეს და ჩვენც, დავბრუნდით თუ არა, ჰამაკებში ესევე ჭუჭყიანები ჩავემხეთ დასაძინებლად. სწორედ მაშინ გაცივდა მაგრად ხუანი. როგორც კი ცოტა რამეს შეუამდა, მაშინვე ჰამაკს მიაშურებდა, დაწვებოდა და მთელი საათობით ხველებით იგუღებოდა. თანდათან გადაგვავიწყდა ტყუილებში მხილებას რომ ვუპირებღით. უწინდებურად შევიყრებოდით ფარანთან და ვსაუბრობღით, მაგრამ ხუან კანდელას გარეშე ჩვენი საღამოები მოსაწყენი და უფერული გახდა. ამბის მოყოლას რომ დაამთავრებდა ვინმე, იმ ცარიელ ყუთს შევხედავდით ხოლმე, რომელზეც ხუან კანდელას უყვარდა ჩამოჯდომა. კანდელას მხილებას რომ ვუპირებდით, ამის გახსენება აღარავის უნდოდა. ვისხედით და ყურებჩამოყრილები ვმსჯელობდით, თუ რა საშუალებებით სპობენ მავნებლებს, განსაკუთრებით კი თამბაქოს მღილს.

როგორც იქნა, გვეშველა და ხუან კანდელა მომჯობინდა. მართალია ხველა თავს არ ანებებდა, მაგრამ ამან უფრო საინტერესო გახადა მისი თხრობა. მანამ იკავებდა ხველებას, სანამ ყველაზე საინტერესო ადგილზე არ მივიდოდა: შეგვეკითხებოდა რაღაცას და აღარ გაათავებდა ხველებას, პასუხს აჭიანურებდა.

და აი, ერთხელაც თავისებურს მოყვა. თხრობამ ისე გაიტაცა, რომ ფეხზეც კი წამოხტა და ისე დაიწყო ხელების ქნევა, გეგონება თითოეულ სიტყვას ბეჭდავსო:

— აი, გველი, ის იყო თუ იყო! ჯვარი აქაურობას! არა მგო-

ნია, ქვეყანაზე მეორე ისეთი უხსენებელი მოიძებნებოდეს. ზურგი მუქად ჰქონდა დაწინწკლული... დამაცადეთ, რაკი ეგრეა, ბარემ თავიდან გიამბობთ... მზისა და ვარსკვლავების მეტს ვერაფერს ვხედავდი, იქ რომ დავიწყე მუშაობა. სიერა-მაესტრას ძირას შემემთხვა ეს ამბავი. ერთ მიყრუებულ ადგილას ისეთი ულრანი ტყე იყო, მზის სხივები გვენატრებოდა. მივდექით და ჩეხვა დავუწყეთ ამ ტყეს. ერთი ბებერი აკანა შემხვდა, სამი კაცი ხელს ვერ შემოუწვდენდა, ისეთი იყო. ავიღე ცული, შემოვკარი და შემოვკარი, უცებ ვიგრძენი, — ჩვენი ავადმხსენებლის ოჯახში იყოს, — რაღაცა ცივი და მსივილი მკერდს არ მიხუთავს!.. ე, მეგობრებო, ორმოცი წლის კაცს ცოტა შიში როდი აქვს ნაჭამი, მით უმეტეს თუ მთელი სიცოცხლე სიღარიბეში გაატარა. მრავალი საშინელება მქონდა გადატანილი, მაგრამ მხოლოდ იმ დღეს გავიგე, რა ყოფილა ნამდვილი შიში... რაღაც ურჩხული ყელზე მეხვეოდა და სუნთქვას მიკრავდა, თვალები ამოცვენაზე მქონდა. წავეტანები ამ საშინელ მარწუხს, ის კი ხელიდან მისხლტება. ვერაფერი ვერ გავიგე. რა ჯანდაბა მეხვეოდა. ვიხრჩობოდი, ბედზე გამახსენდა, რომ ქამარში დანა მქონდა, გარჭობილი... არ ვიცი, რანაირად მივაგენი დანას, ხელი ისეთი გახევებული, ისეთი დამძიმებული მქონდა, თითქოს ტყვია ჩაესხათ. როგორც იქნა, დანა თავს ზევით მოვიქნიე და მოწყვეტით დავემხე პირქვე. უხსენებელის ცივი სისხლის შხეფები მაინც მომხვდა... ეს თავმოკვეთილი საშინელება რომ დავინახე, კინაღამ სული განვუტევე. სისხლი ისე სცემდა შადრევანივით, გეგონებოდა, წყალსადენი მილი გამსკდარაო. ვერ წარმოიდგენთ, რა ამაზრზენი რამე იყო! მართლა ზორბა იყო ის ოხერი! მიწაზე რომ გავშალეთ, ზუსტად ორმოცი ვარა[1] გამოვიდა.

ხუანმა გრძელი, გამხდარი მკლავები გაშალა და დადუმდა. სორიანო წამოხტა და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. ხუანი შეუპოვრად მიაჩერდა თვალებში. ცოებ-ცხელებამ ძვალტყავად აქცია ეს კაცი, თვალები კი მაინც უწინდებურად უბრწყინავდა. მართალია, სორიანო წამოხტა და, ვიფიქრეთ, აი ახლა კი მიახლის სათქმელსო, მაგრამ კრინტიც ვერ დაძრა. უცებ ერთი აზრი მოშივიდა თავში და მეც წამოვდექი:

---

[1] ვარა — სიგრძის საზომია, 83,5 სანტიმეტრს უდრის.

— იქნება ზომაში შეცდი, ხუან? — ვკითხე მე.

სორიანოს რომ უყურებდა, მეც ისეთი თვალებით შემომხედა. ჯილა წარბები რისხვით შეყარა, თვალებით ცეცხლი დაკვესა. მე გავუძელი მის შემოხედვას, თვალიც არ დამიხამხამებია. მაშინ მან ისევ სორიანოს დაადგა თვალი და ჩაილაპარაკა:

— რა ვიცი, იქნებ მართლაც ეგრე იყო.

— დიდი-დიდი ოცდაათი ვარა გამოსულიყო! — იყვირა სორიანომ და კანდელას ახლა თვითონ მიაჩერდა გამომწვევად.

— მაგდენიც არ იქნებოდა, — სიცილით ჩაურთო მიგელმა და ყველამ ერთბამად გადაიხარხარა.

ხუანმა თავი ასწია, გულხელი დაიკრიფა, სათითაოდ მოგვავლო თვალი და სრულიად მშვიდად გვითხრა:

— რა ვიცი, გულდასმით რომ გაგვეზომა, იქნება ოცდაათზე მეტი. მართლაც, არ გამოსულიყო.

— მიდი, მიდი, დაიძვრინე თავი! კარგად გაიხსენე, იქნება სულ რაღაც ექვსი ვარა იყო, — სორიანო იერიშზე გადავიდა.

უცებ მოულოდნელი რამ მოხდა. ხუანმა მაჩეტეს სტაცა ხელი და დასარტყმელად შემართა:

— ვინც იტყვის ნახევარი ვარით მაინც ნაკლები იყოო, მოვკლავ.

გავშრით. კანდელას სისხლი მოაწვა თვალებში, მაჩეტეს ტარს ისე უჭერდა თითებს, ხელი გაუთეთრდა, ხმის ამოღებას ვერა ვბედავდით. ახლა მარტო კანდელას თვალებში კი არა, ხელშიც ფოლადი კრთოდა. ეს კი სახუმარო აღარ იყო! ბოლოს ხუანმა ნელა დაუშვა დანა და თქვა:

— პირუტყვები ხართ, უმადური პირუტყვები და მეტი არაფერი.

ზურგი შეგვაქცია და ბნელ ბარაკში გაუჩინარდა.

შაქრის ლერწამი სულ უფრო იყრიდა ტანს, არც სარეველა უდებდა ტოლს, ლერწამსა და სარეველას შორის გამართული ბრძოლის წყალობით სანამ მოსავლის აღება — „მკვდარი სეზონი“ — დაიწყებოდა, ასე იყო თუ ისე, გაგვქონდა თავი. ფულს უწინდებურად ძალიან ცოტას გვიხდიდნენ და ფარდულიდან სურსათის აღებაც უწინდებურად ნისიად გვიხდებოდა.

საღამოობით ზოგჯერ ჩვენი უფროსის საბლიდან გიტარის ხმა აღწევდა და გულს ამას ვაყოლებდით. ხუანი აღარ გვეკარებოდა. ცეებ-ცხელების დროსაც ასე იქცეოდა — ჰამაკიდან აღარ გადმოდიოდა. ვისხედით კართან, ვიხსენებდით უმნიშვნელო ამბებს ჩვენი ცხოვრებიდან და თან ჭურდულად ვუცქეროდით ხუან კანდელას ცარიელ ადგილს.

ერთ ჩახუთულ საღამოს დონ კარლოსი გვეწვია და რაღაცა ბრძნული გვითხრა ვარსკვლავებისა და მთვარის შესახებ. ნათქვამი ასე დაამთავრა:

— დედამიწა მრგვალი არის!

— მაგიდასავით ბრტყელი კი გეჩვენება, არა? — გაიცინა მიგელმა.

დონ კარლოსმა პაპიროსის კვამლი რგოლებად გამოუშვა, წასასვლელად მოემზადა და უპასუხა:

— ამქვეყნად ცოტა რამ გვეჩვენება იმად, რაც სინამდვილეშია.

იმ საღამოს მეტი არაფერი თქმულა, მე კი რატომღაც სული ამემღვრა. მომეჩვენა, რომ ხუანის მიერ მონაყოლ ამბებსაც რაღაც კავშირი ჰქონდა დონ კარლოსის ვარსკვლავებთან. სინამდვილის იმ იდუმალ სამყაროსთან, რაც ჩვენ რომ გვგონია, ის არ არის და ჩვენი წუხილისა და ბარაკის მიღმა სხვა სიცოცხლით ფეთქავს. მგონი, ჩემი ამხანაგებიც დაახლოებით ამასვე გრძნობდნენ. ყოველ შემთხვევაში, მახსოვს, როცა ვიშლებოდით, მიგელმა ისე, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— კაცმა, ალბათ, რაღაც ლამაზი, თუნდაც არარსებული უნდა იწამოს.

იმ ღამეს არ დამეძინა. გრილოდა, სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული, შორიდან ხანგამოშვებით თუ მოაღწევდა მამლების ყივილი. საათი საათს მიაღწევდა, ჩემს თვალებს კი ძილი არ ეკარებოდა. გათენებისას სორიანოს ჩურჩული შემომესმა. ის კანდელას ჰამაკთან მიპარულიყო და ეკვედრებოდა:

— შენი ჭირიმე, ხუან, ამ საღამოს კიდევ გვიამბე რამე!

— ურწმუნონი და სულმოკლენი ხართ ყველანი, — სორიანონისავით ჩურჩულით კი არ უთქვამს ხუანს, ხმამაღლა მიახალა. სორიანო მაინც არ მოეშვა:

— კარგი, ჰო! ჩვენ გვიგდებ ყურს? ჭურში ესხედვართ. ქვეყნისა არაფერი გაგვეგება. ახლალა მივხვდით, სულ სიმართლეს რომ ყვებოდი.

— ახლა? რაღა მაინცდამაინც ახლა გაიგეთ?

— რა ვიცი. მაგას რა მნიშვნელობა აქვს... როგორ გითხრა, გუშინ დონ კარლოსი დედამიწისა და იმის შესახებ გველაპარაკა, რაც არსებობს, მაგრამ ჩვენ ვერ ვამჩნევთ.

მერე და მე რა შუაში ვარ?

— განა მე კი ვიცი, ხუან. მაგრამ რაღაც კავშირი მაინც არსებობს თქვენ შორის. მე ბოლომდე ამას, სულ ერთია, მაინც ვერ გავიგებ.

გავიტრუნე, ყური მივუგდე. ვუცდიდი, რა მოხდებოდა, დათანხმდებოდა თუ არა ხუანი? უნდა დათანხმდეს: ტყუილად კი არა ჰქვია ხუან კანდელა, ტყუილად კი არ მოაჯადოვა ჩვენი სული და ჩვენთან ერთად ტყუილად კი არ დადიოდა ბარაკის მიწურ იატაკზე. თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, დედამიწის ყოველ კუთხეში, პარკეტის იატაკიან მდიდრულ სახლებშიც კი, არა ნაკლებ ჯადოსნური ძალით ამეტყველდებოდა ხუან კანდელას სიტყვა.

მენახშირეები

ჩვენს რანჩოში ყველამ იცოდა, ფიდენსიოს რაც სჭირდა: ციებამ დარია ხელი. სხვაფრივ არც შეიძლებოდა. ადრე თუ გვიან ეს სენი უნდა შეჰყროდა. ადვილი როდია ჭაობის გატოპვა, მით უმეტეს თუ ზურგზე მორი გაქვს მოკიდებული! საბედნიეროდ აიკიდებ საპალნეს. ტვირთზე გამობმულ თოკის ბოლოს ქვევით ეწევი და ჭაპანწყვეტით მიდიხარ... ასეთი ჯაფა უკვალოდ არ ჩაუვლის კაცს. ცალკე კოღოები დაგესევიან და საშინელი ციება ლოგინად ჩაგაგდებს.

ფიდენსიოსაც ასე დაემართა. ასე დაგვემართა ჩვენც. დავლევდით ქინაქინას და ხელახლა ვიკიდებდით მორებს, ხელახლა ვკაფავდით ბილიკებს წითელი მანგლეს[1] გაუვალ ტევრში.

სხვები ერეოდნენ ავადმყოფობას და კვლავ ფეხზე დგებოდნენ. ფიდენსიო კი დრომ მოტეხა. ის დიდხანს მუშაობდა ნახშირის გამოწვაზე და ამ საქმეში დაბერდა. ხშირი წაბლისფერი თმა შეუთხელდა და პირწმინდად გაუთეთრდა. წყეული ციება კი ამ ორი წლის განმავლობაში მეათედ მაინც შეუბრუნდა. ფიდენსიოს გამოჯანმრთელებას ამჯერად კარგი პირი არ უჩანდა.

— ახლა უკეთესადა ვარ, — წამდაუწუმ იმეორებდა ფიდენსიო.

მაგრამ ჩვენ რას გამოგვაპარებდა; კანკალი რომ აიტანდა, მისი ფიცრის საწოლიც კი აჭრიალდებოდა ხოლმე.

— მალე მოიკეთებ და ისევ საქმეს დაუბრუნდები, — გულს უკეთებდა ისლენიო.

ქინქლებისგან თავის დასაცავად დოლბანდები გვქონდა გადაფარებული და ისე ვლაპარაკობდით. თავს შავი ბოდუქი დაგვტრიალებდა ბზუილით.

---

1 მანგლე სამი-ოთხი მეტრის სიმაღლის მსხვილტოტებიანი ბუჩქნარია.

ფიდენსიოს ციება თავს არ ანებებდა და, როცა მარტინესს ქინაქინის აბები გამოელია, ავადმყოფს მხარზე დაადო ხელი და უთხრა:

— გუდანაბადი უნდა აიკრა და...

ფიდენსიოს თაფლისფერ თვალებში წყენის ნაპერწკალმა გაიელვა.

— რა გინდათ, ჩივილით თავს ხომ არ გაბეზრებთ!

მარტინესმა გაღიმება სცადა.

— კარგი, ბმობილო, როცა გაგიჭირდება, გვითხარი.

ერთმანეთს თვალებში შეხედეს. მე ცეცხლის მეორე მხარეს ვიჯექი და ძირს გართხმულ კვამლში ვხედავდი მათ.

შორიდან ანდრესის ფოტუტოს[1] ხმა მოისმა — საუზმეზე გვიწვევდა. ხმელი ხმიადი და შემწვარი ლორის ნაჭერი გველოდა. შუაში კონსერვის დიდი ქილა ჩავიდგით, ქილაში მარილიანი წყალი იდგა. დილის ცხრა საათი იქნებოდა — საათივით ზუსტი იყო ანდერსი. საუზმე მალე დავამთავრეთ და გზას გავუდექით. წინ მარტინესი მიდიოდა, მას ისლენიო მისდევდა, შემდეგ ფიდენსიო მილასლასებდა, ბოლოს მე მივდიოდი. ჭაობში მივაბიჯებდით, გვიჭირდა წებოსავით ტალახში ჩაფლული ფეხის ამოძრობა.

რისაც შეშინოდა, სწორედ ის მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ არაყი თან არავის წამოუღია, ფიდენსიო მაინც მთვრალივით ბარბაცებდა. იმ დილით მტკიცედ გადავწყვიტეთ, კოცონისათვის იანები[2] შეგვეგულებინა; მისი ნახშირი მთლიანად ჩვენ, მხოლოდ ხუთ კაცს უნდა დაგვრჩენოდა. და აი, ასეთ დროს ფიდენსიო უცებ პირქვე დაეცა. მე სწრაფად მივვარდი მას, მარტინესიც იქ გაჩნდა. ფიდენსიოს სახე ერთიანად ლაფში ჰქონდა ამოსვრილი. წვერი გავუწმინდეთ, თვალები ამოვბანეთ. ფიდენსიო მძიმედ ხრიალებდა, კვნესით კი ერთხელაც არ დაუკვნესია.

ქოხში რომ გადავიყვანეთ და შეტევამ გაუარა, მარტინესმა გადაჭრით უთხრა:

— ხვალ ანტონიო წაგიყვანს.

ფიდენსიოს კრინტი არ დაუძრავს. გვერდზე გადაბრუნდა, გადააფურთხა და მანგლეს ტევრს ზევით, სადღაც შორს სივრცეს

---

[1] ფოტუტოს ხის ბუკს ეძახიან.

[2] იანი — დაგვალული ეკლიანი ხე.

მიაჩერდა. გულახდილად რომ გითხრათ, ფიდენსიოს ეჯავრებოდა კიდეც ეს ტევრი, მაგრამ მას ხომ სამი შვილიშვილი ჰყავდა და მათ რჩენა უნდოდათ. ფიდენსიო საკაცით გადავიყვანეთ ტივზე. ზევით უნდა ავყოლოდით არხს. ფიდენსიომაც და ჩვენც ხუთი თითივით ვიცოდით არხი. ნახევარ კილომეტრზე ყველგან ოთხი კვარტის სიღრმე და ერთ-ნახევარი ვარის სიგანე ჰქონდა. არხს ისე ზედმიწევნით ვიცნობდით, იტყოდით, საკუთარი ხელით გაუყვანიაო.

ტივს ჭოლოკით მივაცურებდი და დროდადრო ფიდენსიოს ვანუგეშებდი:

— მარტინესი წილს არ დაგიკარგავს.

— ჩემს ნაცვლად სხვას აიყვანენ.

— თუნდაც აიყვანონ, წილის ნახევარზე მეტს არ მივცემთ.

ფიდენსიომ გამიღიმა. საოცარი სანახავი იყო მის სანთელივით გაყვითლებულ სახეზე ღიმილი. ძაგძაგმა აიტანა ერთიანად. ჯოჯოხეთური სიცხე იდგა. ჰაერში ქინქლები აირივნენ. ორი საათის განმავლობაში ჭოლოკი ხელიდან არ გამიშვია. ოფლი ღვარად ჩამომდიოდა, ჭვარტლი ჩამოჰქონდა სახიდან და მკერდზე და მუცელზე წურწურით ჩადიოდა. როგორც იქნა ზღვაში გავედით, მისადგომი მოვძებნეთ და ნაპირს მივადექით. პირველი ერნესტო გამოგვეგება, მერე მისი ცოლი გამოჩნდა. ერნესტო დაბალი და სქელი კაცია, ცოლი კი ხმელ-ხმელი და მაღალი ჰყავს.

— დაშავდა? — მკითხა ერნესტომ.

— აციებს.

— წამოიყვანეთ, ლიმონი მაქვს, — გვითხრა ერნესტოს ცოლმა და სამივემ პატარა სარდაფში გადავიყვანეთ ავადმყოფი.

ორი საათისათვის ზღვაზე „ამალიას“ მოეკარი თვალი. „ამალია“ ერთი ადამისდროინდელი, იალქნიანი მცირე ხომალდი იყო. ქარის ყოველ შემობერვაზე გაუსაპნავი ურემივით ჭრიალებდა. „ამალია“ ამ მხარის მფლობელის საკუთრებას და პორტთან ურთიერთობის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. მძიმედ დაჭრილი მეგობარი რომ ჩამოგვეყვანა აქ და „ამალიასთვის“ ვერ ჩამოგვესწრო, თუ მეგობრისათვის კარგი გინდოდა, ტყვია უნდა გეკრა შუბლში და გაგეთავებინა.

„ამალია“ რის ვაი-ვაგლახით მოადგა ნაპირს. ლოცმანი გვე-

რდზე გავიხმე. არ მინდოდა ფიდენსიოს ჩემი ნათქვამი გაეგონა.

— შემდეგ გზობაზე ერთი ახალგაზრდა კაცი ჩამოგვიყვანე. მან თავი დამიქნია.

— თან ისეთი ვინმე ნახე. შემოსავლის ნახევარს რომ დაყაპულდეს.

— კარგი.

— ჯანიანიც იყოს.

გავიფიქრე: ეჰ, ის ფიდენსიო, ვინც ორმოცდაათი წელი იმუშავა კაიოზე, ალარ ვარგა ამ საქმისთვის-მეთქი.

სევდიანი ფიქრებით შეპყრობილი დავბრუნდი ტივზე. ისევ პოლოკი ავიღე და ტივი არხში შევაცურე.

ივლისის დამდეგი იყო. ესე იგი წინ სამი თვის ტანჯვა გვედო. მალე ტაბანო გაჩნდებოდა, ერთი ციცქნა ბუზანკლების ჯარი. ისინი ნამეტნავად ყურებს ეტანებიან. ბარდებში იცავენ ჩაბუდებას და როგორც კი ტოტს გაეკარება კაცი, აფრინდებიან, ყურებზე დაესხვიან და ისე დაუსუსსავენ, რომ მერე სულ წითლად დაუარჯლდება. კორასები ხომ უარეს დღეს გვაყრიდნენ. დასაკეც საწოლზე ორმაგ სატომრე ქსოვილს ვიფარებდით და თავს ისე ვიცავდით მათგან. ხანჯლებივით იცავენ კანში გრძელი ნესტრის ჩასობა. ოცი. ორმოცი კორასი ერთად დაგესევა მხრებზე და თუ ხელის დაკვრა ვერ მოასწარი. მხარს ისე დაგისისხლიანებენ, იტყვი, დანით დაუსერიათო. ისეთ დღეში ჩაგაგდებენ, ღრიალი მოგინდება. ინატრებ, ნეტა ვინმე გამოჩნდებოდეს და რამეს შემომკრავდეს — სულ ერთია, ხელი იქნება თუ ცული — ოღონდ კი ამ ტკივილს დამავიწყებდესო. გაბოროტებულს მერე შუბლსა და კისერზე გაუთავებლად რომ გესრისა ეს მწერები, მაინც ვერ მოისვენებდი. ზოგჯერ შეუძლებელი ხდებოდა მათი გაძლება. ერთხელ ორმოცდაათი შეკვრისაგან აბრიალებული კოცონი მივატოვეთ, ყელამდე წყალში შევცვივდით და იქიდან ვიყურებოდით, როგორ იფერფლებოდა მთელი თვის ჯაფით მონაპოვარი შეშა. ფეხები შლამში ჩაგვეფლო, წყალი ნიკაპამდე შემოგვადგა, თავზე კი კორასების შავი, მკვრივი, ისეთი მკვრივი ღრუბელი დაგვტრიალებდა, რომ დანითაც კი შეიძლებოდა მისი გაჭრა. გული გვტკიოდა, როცა ვხედავდით აუტანელი ტანჯვით მონაგარს ცეცხლი რომ ნთქავდა, თუმცა მაშინ ახალბედები ვიყავით ნახშირის გამოწვაში და

წრთობა გვაკლდა. ახლა სულ სხვანაირები ვართ. ექვსი თვის მანძილზე თვითეულ ჩვენგანს სულ ცოტა, ცხრაჯერ მაინც შეხვდა ციება.

იმ წელს, ახლა რომ გიყვებით, ნახშირი ბლომად გამოვწვით, და მერე რა ხისაგან! ნაჯახის შემოკვრაზე ისეთ ხმას გამოსცემდა, იფიქრებდი, ხე კი არა, ვერცხლის ზარიაო, თან ისეთი კრიალი გაჰქონდა, შაქარყინული გეგონებოდა! მიუხედავად ამისა, ჩვენი საქმე მთლად კარგად მაინც ვერ იყო.

თავკაცად ისა გვყავდა, ვის უპირატესობასაც ყველა აღიარებდა; აღიარება ჩვენი ნებით, ჩვენივე სურვილით ხდებოდა. თავკაცი ყველაზე ღონიერი და მარჯვე უნდა ეოფილიყო, საფლობში ფეხი არ უნდა დასცდენოდა, მორში სხვებზე ღრმად უნდა ჩაესო ნაჯახი. მოულოდნელად გაჩენილ ცეცხლს ყველაზე ადრე უნდა მივარდნოდა ჩასაქრობად. აი, ასეთი უნდა ყოფილიყო ჩვენი თავკაცი. სწორედ ასეთი იყო მუშტივით შეკრული და ჯანიანი მარტინესი. იმის დაკვირვებულ, ჭკვიან თვალებს, არწივისებურ ცხვირსა და ხშირ, შავ წვერს ჩემს დღეში ვერ დავივიწყებ.

როცა ტივი რანჩოს მივაყენე, მარტინესის ხმა შემომესმა, ამხანაგებს მეასედ მაინც უყვებოდა, როგორ მოელაპარაკა უფროსს:

— ასე ვუთხარი: დონ ბრუნო, თოქმის ოცი წელია, რაც თქვენს ტყეში ვმუშაობ. დროა, საკუთრივ ჩვენთვის ერთი კოცონი მაინც გამოგვაწვევინო იანის ხისგან. უფროსმა ამხედ-დამხედა და სიგარის ნამწვი გამოაფურთხა:

— ძვირფასო, თუ იცი, რა ღირს იანის ერთი კოცონი?

— იკითხეთ კაიოზე და იქ გეტყვიან, ვიცი თუ არა.

— მარტინეს, ერთი ასეთი კოცონით შენ ჩემზე მეტ ფულს ჩაიჯიბავ. — მითხრა უფროსმა და მომიახლოვდა.

— ათას შეკვრას ერთად დავდგამდი და ხლაპრულ კოცონს ავაბრიალებდი.

— ძმობილო, გაკოტრებას მიპირებ, თუ რა არის!

მარტინესი გაჩუმდა. არყის მათარა მოიყუდა და წყაროს წყალივით გადაჰკრა. მერე მათარა ხუკაროს ხის ტოტზე ჩამოჰკიდა და განაგრძო:

— ეს რომ მითხრა, ავიღე ქუდი, კარისკენ გავიხედე და ვუთხარი: „კარგი, რაკი არ გინდათ, თქვენი ტყიდან სხვაგან გადავალ“.

ცხადია, მოხუცმა დაუთმო მარტინესს — ჩვენისთანა მენახშირეების შოვნა ადვილი საქმე კი არ იყო! აი, ამიტომ დავბრუნდით კაიოზე.

— დროს ტყუილად ნუ დავკარგავთ, დავიწყოთ იანების ძებნა, — შენიშნა ისლენიომ.

— ამბობენ, კაიოზე იანი რამდენიც გინდა, იმდენიაო, — გაეპასუხა ანდრესი, — არ ვიცი, რაღას ვუცდით?

მეორე დღეს იარაღი ამოვალაგეთ და მუშაობას შევუდექით. ნაჯახები ღრმად ესობოდნენ ხეებში, ყოველი ნაჯახის შემოკვრაზე ხეები ცახცახებდნენ. გაყვითლებული ფოთლები მიწას ეფინებოდა და მოჭრილი ხეები ყრუ კვნესით წვებოდნენ ძირს. უამრავ ხეთა წვენით შეიფერა ჩვენი ნაჯახები. აქ რომ მიყუჩდებოდა ერთის ცული, მეორისა იქ ახმიანდებოდა ყრუდ და უწყალოდ. მერე ისევ სიჩუმე ისადგურებდა ტყეში. ძირს წამოსული ფოთლების შრიალი ისე წყდებოდა, თითქოს კოკისპირულმა წვიმამ უცბად გადაიღოო. ყველაფერი — მიწა, ჰაერი, ჭიქაში ჩასხმული არაყი — ახლად მოჭრილი ხის მკვეთრი სუნით იყო გაჟღენთილი. ხუთივენი მხოლოდ ერთი ფიქრითღა ვიყავით შეპყრობილნი — საკუთარი კოცონი უნდა მოგვემზადებინა!

რამდენი ანდრესს შევხვდებოდი, — მე რომ მოჭრილი იანის მოსატანად მივდიოდი, ის უკვე მოდიოდა, — იმდენი მესმოდა:

— უყურე ერთი, ქვეყნის იანია!

— ნეტა კი ეს საქმე კეთილად დამთავრდებოდეს... — ვუპასუხებდი მე.

სულმოუთქმელად ვმუშაობდით. ღამის თორმეტ საათზე ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა, საქმეს ვაცანავებდით. იწყებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაო, რაც მენახშირისგან ოსტატობასა და ძალ-ღონეს მოითხოვს: მორები ერთი მეორეზე უნდა შემოგვედო, ზედ მესამე მორი დაგვედო და ახლად მოჭრილი ხისაგან ასე აგვეყვანა მაღალი და მტკიცე მთა. თუმცა მთის აყვანამდე ჯერ კიდევ ბევრი რამ გველოდა. უკვე რამდენიმე ასეული იანის ხე გვქონდა დამზადებული ბოლო კოცონისათვის, როცა ანდრესმა გვითხრა:

— დღეს სამშაბათია.

— ხვალ „ამალიას“ მოსვლის დღეა, — დააზუსტა ისლენიომ.

მარტინესი მაჩეტეს ლესვით იყო გართული, მან თავაუღებლად გვითხრა:

— ხვალ ანტონიო წავა.

მე არხს გავხედე, ტივის შეთვალიერება მინდოდა, მაგრამ მხოლოდ ჭოლოკის ბოლოლა დავინახე.

— ჰო, ხვალ წავალ, — მივუგე მარტინესს და კოლოსაგან თავის დასაცავად მოწყობილ ბადეში შევძვერი.

განთიადზე ისევ არხში მივაცურებდი ტივს. თავზე ყურყუმელები დამტრიალებდნენ ჩხავილით. ძირს წყალი სარკესავით კრიალებდა. არხის ორივე ნაპირი კი მანგლეს გაუვალი ბარდებით იყო დაფარული, მის მსხვილ ფესვებს ხან აქ და ხან იქ სისხლივით წითელი, პატარა კიბოები აფარებდნენ თავს.

ჩემი ვარაუდით, სამიკიტნოში შუადღისას უნდა ვყოფილიყავი. ზღვიდან ძლიერმა ქარმა დაუბერა. მზე აუტანლად აცხუნებდა. სამიკიტნოში ერნესტო და მისი ხმელ-ხმელი ცოლი დამხვდნენ. ერთი ჭიქა არაყი გადავკარი, ნაპირზე ჩამოვკიდე და „ამალიას“ მოლოდინში ზღვას დავუწყე ყურება. ორ საათზე ისიც გამოჩნდა. ზურგის ქარი უბერავდა. ძველი. დაკონკილი იალქნები ქარს დაებერა. ხომალდის ცხვირი ტალღებს მოაპობდა.

ხომალდი ნახევარი საათის შემდეგ მოადგა ნაპირს. გემბანზე უცნობ ახალგაზრდას მოვკარი თვალი. მას ნაადრევად დავაეკაცებული ბიჭის იერი ჰქონდა. ქერა, ახლაღულვაშაყრილი ყმაწვილი იყო. მის ზურგს უკან ხომალდის ეფროსი გამოჩნდა და მომაძახა:

— ეი, უსაქმურო, გამოიცნობ მოინდომე ნასადილევს?

— როდი მაწყენდა. შენი ნაფოტა ხომალდის ლოდინი კაცს მოთმინებიდან გამოიყვანს.

— მე კი არ გამოვყავარ მოთმინებიდან და! — მომიგო სიცილით და ნაპირზე გადმოხტა.

ულვაშებიანი ჭაბუკიც ჩამოჰყვა. ახლოდან კარგად ავხედ-დავხედე. სიმაღლით ყველა ჰვენგანზე მაღალი იქნებოდა. ერთი შეხედვით ასე ოცდათხ-ოცდაექვს წელს თუ ბისცემდი. ღონიერი ჩანდა. დაკუნთული კისერი, ცოცხალი თვალები და რძესავით თეთრი კანი ჰქონდა. არ მიყვარს ასეთი ადამიანები.

ხომალდის პატრონმა ხელი ჩამოვართვა.

— ჰა, ავაზაკო, ღიპს იყენებ?

— ო, შე... — მოვინდომე პასუხის გაცემა. მაგრამ სიტყვა გამაწყვეტინა.

— ეს ახალგაზრდა მოგიყვანეთ.

— ესა?

— ჰო, დონ ბრუნომ გამოგიგზავნათ.

— ეს ღლაპი?! — ვეღარ დავმალე უკმაყოფილება.

ჭაბუკმა მშვიდად შემომხედა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და ხომალდის პატრონს მიაჩერდა.

— ეს არის ღლაპი?

— ჰო, ეგა!

— ჯერ გამოსცადე და მერე თქვი.

— გამოუცდელად ვატყობ, რა შვილიცაა.

ახალგაზრდას მივუბრუნდი.

— ფიდენსიოს მაგივრობა გინდა გასწიო?

— ჰო.

— ნამდვილი ტყე თუ გინახავს? ნახშირის გამოწვა შეგიძლია?

— არა, მაგრამ, ვნახავ და ვისწავლი.

კინაღამ სიცილი ამიტყდა, სიამოვნებით მივტყეპავდი გემოზე... გაიგონეთ, რა თქვა! ვნახავ და ვისწავლიო! ასეთი აზიზი სიფათის პატრონი აცხადებს ამას! მარტო ნახშირის გამოწვა გამოუყვანს წირვას, — ჩვენი ხელობა ფაფის ჭამა ხომ არა ჰგონია!

— როგორ არა, ისწავლი, თუ მანამ ქინქლებმა არ შეგჭამეს...

ჭაბუკმა არაფერი მიპასუხა, მხოლოდ ჯიბეში მოაფათურა ხელი, სიგარეტს ეძებდა. ორივე გავჩუმდით. წარმოვიდგინე, როგორ დაელრიჯება სახე ისლენიოს, ამ ყმაწვილს რომ დაინახავს, სახე რომელია, ნახე, აყალმაყალი თუ არ ატეხოს, თუმცა საქმეს, ჩვეულებისამებრ, მარტინესი გადაწყვეტს.

ყველაფერი ვივარაუდე და ხომალდის პატრონს ვთხოვე:

— ნუ წახვალ ერთი ორი დღე, ალბათ ამ ტვირთის უკან წაღება მოგვიხდება. აბა, გამომყევი.

წყალში შევედი და ტივისკენ გავტოპე. უცებ ადგილზე გავქვავდი: დალახვროს ეშმაკმა, როგორ დამავიწყდა?

— გერმან... გერმან! ფიდენსიო როგორ არის?

ქარმა ჩემი სიტყვები სხვა მხარეს გაიტაცა და ხომალდის უფროსს ვერაფერი გავაგონე.

— ისევ ისეა, — ჩაილაპარაკა ჭაბუკმა.

მე ისე დავიჭირე თავი, ვითომ ვერ გავიგონე მისი ნათქვამი.

ჩვენებთან ღამით მივედი. ორი დღის წინ მარტინესმა პირველი კოცონი დაანთო. კოცონი ნხუკაროს ხისა იყო და უხმოდ იწვოდა. რუბი კვამლი კლაკვნით მიიწევდა ზევით. ცოტა მოშორებით პატარა ცეცხლი ენთო. მარტინესსა და ისლენიოს ჯერ არ ეძინათ. ამ დროს ყავას ვსვამდით ხოლმე და ვსაუბრობდით.

როგორც კი ტივი ნაპირს მივაყენე, ჩვენებს გავეხმიანე. მაშინვე მიპასუხეს.

— ესენი არიან, — ავუხსენი ჩემს თანამგზავრს.

— რამდენნი არიან? — მკითხა მან.

— ოთხნი, მაგრამ ოცის საქმეს აკეთებენ.

მეტი არაფერი გვითქვამს.

ცეცხლთან რომ მივედით, ისლენიო წამოდგა. სიბნელეში მისი ბრიალა თვალებისა და თუნუქის ტოლჩის მეტი არაფერი ჩანდა. დაძაბული ვიყავი, რაღაცას მოველოდი. ჯერ ჭაბუკს შევხედე, მერე მზერა მარტინესს მივაპყარი. მარტინესი წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ჩვენკენ და ახალგაზრდას ჰკითხა:

— ნახშირის გამოწვაზე გიმუშავია?

— ჯერ არა.

რასაც მოველოდი, ის მოხდა.

ისლენიომ ტოლჩა დააგდო და ახალბედას მიუახლოვდა.

— ერთი ამას დამიხედეთ! კაცის გამოგზავნა ვთხოვე და ბალღი გამოუგზავნიათ.

ხმა არავის ამოუღია. ახალგაზრდაც დუმდა. სახეს მკრთალი შუქი უნათებდა. მომეჩვენა, რომ წამოენთო, სისხლი მოაწვა, თუ ცეცხლის შუქმა გაუნათა, დანამდვილებით ვერ ვიტყვი.

მარტინესმა განაგრძო:

— თუ ჯერ არ გიმუშავნია, მაშინ დაიკარგე აქედან.

ეს კი ვეღარ მოითმინა ჭაბუკმა:

— რათა, ცოტაოდენი რაღაც მეც შემიძლია.

— კი, ალბათ თეფშების მოსუფთავება გემარჯვება, არა? — დაიყვირა ისლენიომ.

ჭაბუკმა წინადადების ხეირიანად დამთავრება აღარ დააცადა, მუშტი სთხლიშა სახეში. ისლენიო დაბარბაცდა და იქვე დაწყობილ მორებზე გადავარდა. მარტინესი, ანდრესი და მე მათთან მივიჭერით. მარტინესმა დამასწრო. მართალია ჭაბუკზე დაბალი იყო, მაგრამ წელზე ხელი რომ მოსდო, ნაფოტივით მოისროლა მორებისაკენ. ისლენიომ მაჩეტი დააძრო. მარტინესმა დაულრიალა:

— გაჩერდით, თორემ ერთ-ერთი ხელში შემომაკვდებით!

მარტინესმა სიმშვიდე შეინარჩუნა. ისლენიომ მაჩეტე შეინახა და სახიდან სისხლი მოიწმინდა. არც ჭაბუკი გადარჩენილა იაფად. მორებზე დაცემისას ხის ტოტმა ხალათი გაუხია და ღრმად ზეესო სხეულში, ჭრილობიდან სისხლი ჟონავდა. დაცემისას მორზე ლავი დაეკრა და გონება ნელ-ნელა უბრუნდებოდა. ზეზე წამოვაყენეთ. ანდრესი საველე აფთიაქის მოსატანად გაიქცა. მარტინესი იჯდა და სერიოზული სახით გვიყურებდა. აი, ასე უყურებდა ხოლმე კოლოების გუნდს და დანთებულ კოცონს.

ჭაბუკი მალე მოეგო გონს. სისხლი გამოაფურთხა და თქვა:

— ყველაფერს კი ეერ მოგითმენთ კაცი!

— ხვალვე უნდა წახვიდე აქედან, — ცალყბად უთხრა მარტინესმა.

— კეთილი, მაგრამ მანამდე დონ ბრუნოს წერილი უნდა გადმოგცეთ, — მიუგო მან და ჯიბიდან ფურცელი ამოიღო. მარტინესმა ფარანი მიანათა და უხმოდ წაიკითხა, მერე მე გამომიწოდა. აი, რა ეწერა წერილში:

„ამ პარათის მომტანი ჩემი ნათესავია. ფიდენსიოს მაგიერ გაგზავნით. ყოჩაღი ახალგაზრდაა. მისთვის მიჩუქებია იანას ხის კოცონი. გთხოვთ კარგად მიიღოთ ჩემი ნათესავი!“

— მეც არა ვთქვი, ასეთი ხელგაშლილობა რატომ გამოიჩინა-მეთქი! თავისი ნათესავის შემოამხანაგება სჯობია გულში, — ვთქვი მე.

მარტინესმა ჩემს სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. კარგა ხანს ჩუმად იჯდა და მიწას დასჩერებოდა, ბოლოს ჩაილაპარაკა.

— კარგი, ეგრე იყოს!

ამ ბიჭისა ყველაზე მეტად კანი არ მოგვეწონა. მისი ქალისე-

ბური თეთრი კანი თითქოს წვეტიანი ტოტების და კოლოების საკბილოდ იყო გაჩენილი. ამან სამუშაოს როგორ უნდა გაუძღოს! მაინც დარჩა კაიოზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ისლენიოს ხმას არ სცემდა.

ტყეში სულ უფრო ღრმად ვიჭრებოდით. მწერებს არ ვაქცევ-ღით ყურადღებას, ცხადია, ეს ძვირად გვიჯდებოდა. იმ ხანებში კორასები საოცრად მომრავლდნენ და ფანტასტიკურ გუნდად დაქ-როდნენ ჰაერში, გეგონებოდათ, დიდი, რუხი ხეწარი გადაუფარე-ბიათ ბუჩქებზეო. ეს გუნდი მანამ აწყდებოდა აქეთ-იქით, სანამ მსხვერპლს არ მიაგნებდა. ცხოველი თუ კაცი იმათთვის სულ ერ-თი იყო — მთავარია სისხლი და ხორცი ჰქონოდათ საკბილოდ, რომ რაღაცას დასწაფებოდნენ და გატიკნულიყვნენ. ურიცხვი კორასი დაესეოდა ხოლმე საცოდავ მსხვერპლს, მწარედ დაკბენდა და და-უწითლებდა კანს. მოფხანის შემდეგ კი ჩირქოვან მუწუკებად დაა-ყრიდა. ჩვენ თავს ვეღარ ვიკავებდით ქავილისაგან და მთელ სხე-ულზე ასობით პატარა ღუდუდი გვიჩნდებოდა.

აგვისტოს შუა რიცხვებში უკვე სამი კოცონი გვქონდა დადგ-მული და ბოლოს და ბოლოს საკუთარ კოცონზეც უნდა გვეფიქრა.

ჭაბუკს საქმის ვითარება ავუხსენით.

— ეს კოცონი ჩვენია, აქედან ფიდენსიოს თავისი უნდა მივ-ცეთ. შენ არაფერი გერგება.

ჭაბუკმა ამაზე არც „ჰო“ თქვა, არც „არა“ და ისევ ისე მუ-შაობდა, თითქოს მასაც ედო წილი.

ის ღამე, როცა ჩვენი კოცონი აღვმართეთ და ირგვლივ მიწა და ბალახიანი ბელტები შემოვუწყვეთ, მიუხედავად კაიოზე გადა-ტანილი ტანჯვისა, მაინც ყველაზე საუკეთესო ღამე იყო ჩვენთვის. მარტინესი მაღალი კოცონის თავზე ავიდა ცეცხლის გასაჩაღებლად. ჩვენ დაბლიდან ვუყურებდით, როგორ გულმოდგინედ მუშაობდა მარტინესი ამ ხისგან დადგმული მთის მწვერვალზე. ის ქვევიდან ისე მაღლა მოჩანდა, იფიქრებდით, ხელი რომ აღმართოს ვარსკვ-ლავებს შესწვდებაო. კოცონი მართლა კარგი გამოგვივიდა. ირგვ-ლივ ყველაფერი გავკაფეთ. ჩირაღდნები მოვამარჯვეთ და გზა გა-ნვაგრძეთ.

მესამე დღეს ისლენიო მუცლის ტკივილმა შეაწუხა. მერე

გულს რევა დაეწყო და მეტი რა გზა იყო, რანჩოში უნდა დარჩენილიყო. ჩვენ ძალზე ცოტას ვლაპარაკობდით.

— ანტონიო. აი. აქ დამფხანე. — მეუბნებოდა მარტინესი. ახალგაზრდა დუმდა და თვალს გვარიდებდა. ისლენიოს ისევ აღებინებდა.

თუ ზომიერი ქარი უბერავს, გამოცდილ მენახშირეს სამი დღე შეუძლია გაძლოს უძილოდ. ხოლო თუ ქინქლები დაესივნენ, წმინდანიც რომ იყოს, სულ ღმერთს და გაჩენის დღეს აწყევლინებენ. შავი მანგლეს ხის კვამლიც ვერ იხსნის იმათგან.

როცა შეღამდა, კოცონზე თვალის დასაჭერად მარტო ჭაბუკი დავტოვეთ. მარტინესმა ასე ბრძანა და, რაღა დაგიმალოთ, გულში ყველას გვესიამოვნა ეს გადაწყვეტილება.

ღმერთო, როგორ დავიძინე! მოცელილივით დავეცი და თვალი ველარ გავახილე, თითქოს მთელი ქვეყნის სიმძიმე ქუთუთოებზე დამაწვაო. სულ ბოლოს ისლენიოს ხველება ჩამესმა და მეტი არაფერი მახსოვს.

არ ვიცი, ვინ ატეხა ყვირილი და რა დრო იყო. დაფეთებული გამოვვარდი რანჩოდან. მარტინესი და ანდრესი უკვე გარბოდნენ იქით. ხეებს შორის ცეცხლის სუნთქვა ვიგრძენი. ტოტებს და ფოთლებს წითლად გაჰქონდათ ლაპლაპი, მათი ანარეკლი წყალში ირწეოდა. იანას ხისგან დანთებული კოცონი ანათებდა იქაურობას. ცეცხლის ენები ლოკავდნენ მწყობრად დაწყობილი ხეების თავს. მაშინვე ჭაბუკს დავუწყეთ ძებნა. მალე შორიახლო ჭაობთან მივაგენით, პირქვე დამბობილიყო და ქვითინებდა. ანდრესმა შეაგინა და ჯოხი მოუქნია. მარტინესმა გააჩერა: მე თავი გადავუწიე ჭაბუკს. მთელი სახე და ხელები საშინლად ჰქონდა დამწვარი. მე ამხანაგებს გადავხედე და ჯერ ანდრესის შეშინებული თვალები, მერე კი მარტინესის მშვიდი, შეუვალი სახე დავინახე.

იმ წელს ბევრი ნახშირი გამოვწვეთ. მაგრამ საშველი მაინც არ იყო. უდიდესი ნაწილი ტყის პატრონმა წაიღო, ჩვენ კი ძალიან ცოტა დაგვიტოვა. მას შემდეგ, რაც ჭაბუკი ხომალდზე დავაბინავეთ და საიდანაც მოვიდა, იქით გავგზავნეთ, ჩვენი მონაგარის ფლანგვას მივყავით ხელი და ქალებსა და ღვინოში გავატიალეთ. ერთხელ მთვრალებს ვიღაცამ ფიდენსიოს სიკვდილი შეგვატყობინა.

ბოლმა-ვარამი ცოტა რომ გავიქარვეთ და სიცივემაც შეგვა-წუხა, სახლებს დავუბრუნდით.

როცა პატარა ნავსაყუდში გამოვედი, მარტინესის დედას მოვ-კარი თვალი. ჩვენი წასვლის დღესაც ასე იდგა კარის ზღურბლზე. ქალს ნაადრევად დასერიოზულებული სამი ბავშვი ეკვროდა კა-ბის კალთაზე, მათ ახალი ფეხსაცმელები ეცვათ.

— ვისები არიან? — ვკითხე მარტინესს.

— ფიდენსიოს შვილიშვილები არიან, — მითხრა მან და კაი-ოსკენ შებრუნდა. ჰორიზონტზე ბუნდოვნად მოჩანდა რუხი წერ-ტილი.

ლეონელა

დიდი უკნაური ვინმე იყო მოხუცი ბალთასარი, რა დიდებულად იცოდა სხვადასხვა ამბის მოყოლა! ახლანდელ დროზე კი არა, დიდი ხნის ამბებზე მოგახსენებთ. იმიტომ, რომ ახლა ჩემს სოფელში ვინმე რამეს რომ იტყვის, მერე მოდგებიან და სულ ერთსა და იგივეს იმეორებენ. აი, იმდროინდელი ერთი ამბავი უნდა გიამბოთ. თუმცა, ჩვენს სოფელს მას შემდეგ ალკალდი არ გამოუცვლია; მას სულ ხელახლა ირჩევდნენ და ისიც თავის პოსტს შეაბერდა მაშინ, როცა სხვა ადგილებში იმის ხნის ალკალდებმა ახალგაზრდებს დაუთმეს ადგილი და თვითონ, უკვე მოხუცებულები, თანდათან უახლოვდებოდნენ სამარის კარს.

ჰო, ბალთასარ დე ლოს პინოსზე მოგახსენებდით — ახოვანი მოხუცი იყო, თორმეტი წლის ხუკაროს ხის ტოტებივით ჭაღარა წვერი თანაბრად ჰქონდა შეკრეჭილი და თვითონაც რაღაცით ხეს, უფრო მეტიც, მიწას მიაგავდა. თუმცა მას სულელი კაცის სახელი დაუგდეს მთელ სოფელში, მაგრამ სინამდვილეში ყველაზე კაცური კაცი ის იყო, მისი სიტყვები ხშირად ხალხს ისარივით ხვდებოდა გულში.

ეს ამბავი იმ ხანებში მოხდა, როცა ჩვენი სოფლის მდინარეზე უკვე სამი ხიდი იყო გადებული. ეს ხიდები ერთმანეთის შემცვლელმა სამმა ალკალდმა ააგო. პირველად მაშინ გავიგონე ბალთასარის ბრძნული აზრი: „ყოველ ადამიანში ანგელოზი და ველური ძაღლი ზის, საქმე ის არის რომელი რომელს დაჯაბნის — ანგელოზი შეძლებს ავი ძაღლის მოთოკვას, თუ, როცა ადამიანს რომელიმე ძლიერი ცთუნება მოერევა, ძაღლი შესანსლავს ანგელოზს“.

ლეონელას რომ უბედურება შეემთხვა, ეს აზრი მაშინ გამოთქვა. თუმცა ჯერ იმაზე უნდა გიამბოთ, საღამო ხანს როგორ მოიტანეს ლეონელა სასამართლოში, შაქრის ქარხნის მანქანა როგორ

ჩამოდგა სადგურზე და სოფლის ჟანდარმებმა გინებითა და ხმლის ქნევით როგორ გარეკეს სეირის მოყვარული უსაქმურები. ღრიანცელში ზარივით რეკდა ბალთასარის ხმა:

— დაიწიეთ უკან, რა თვალებს აცეცებთ? ვერა ხედავთ, უბედური თითქმის შიშველია, დაიწიეთ უკან!

ბალთასარი ჟანდარმებს მიეხმარა, თან თვალს არიდებდა ამქვეყნიდან უკვე სამუდამოდ წასულ ლეონელას. ლეონელას თვალები ნახევრად ღია და... მომიტევოს ღმერთმა, ამას რომ ვამბობ! — ტუჩები საკოცნელად გამოწვდილი დარჩენოდა.

მერე ბალთასარმა გვამს თავისი ხელით წააფარა ზეწარი, რომელიც ერთმა ღვთისნიერმა ადამიანმა გაიმეტა. ამის შემდეგ ლეონელა მოსამართლის და ექიმის ხელში საკვლევ საგნად იქცა. გაცხარებული ბალთასარი სოფლისკენ გაემართა, რომ ლეონელას შეუბღალავი სახელის ლაფში ამოსვრა არავისთვის დაენებებინა. მათ, ვისაც უკვე დაეწყო ქალის გამტყუნება. ღვთის რისხვად დაატყდა:

— ნამდვილი ღორები ხართ, ის გოგონა ხომ გულში დაჭრილი უწყინარი მტრედი იყო. სოფელში ორმოცამდე სახელგატეხილი ქალი იქნება, მაგრამ სამარის კარამდე რომ შეინარჩუნონ თავიანთი პატიოსნება, ჩემს თვალში მაინც ლეონელა დარჩება უცოდველ მტრედად. მიუხედავად იმისა, რომ მას ქმარი ჰყავდა და სხვა კი უყვარდა.

საქმე იმაში იყო, რომ მოხუცი ძალზე კარგად იცნობდა ლეონელას. ერთ საღამოს, იმ უბედურ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, ქალი მოხუცთან მივიდა სახლში და სასოწარკვეთილმა რჩევა ჰკითხა:

— ბალთასარ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე? არ მიყვარს ქმარი. ხულიანო დაბრუნდა.

ხალხში ხმები დადიოდა, უსირცხვილო ბალთასარმა უზნეო რჩევა მისცა გოგონას, როგორც მამაკაცს ისე ელაპარაკა და ჭკუა ამნაირად დაარიგა:

— გასცილდი ქმარს, ამქვეყანაზე მეორედ ხომ არ მოხვალ!

მაგრამ თანასოფლელები ისევ ტყუოდნენ. ეს იმიტომ, რომ მოხუცის არც ერთი სიტყვა ჭკუაში არ უჯდებოდათ. ყველაფერი მონაჭორი იყო. სინამდვილეში, აი, როგორ მოხდა: ბალთასარმა ჯერ კეთილად გაუღიმა ქალს და მერე უთხრა:

— ეჰ, ჩემო მტრედო, შენი ხასიათის პატრონისაგან კი ძოველოდი ამას. ხულიანოს დაბრუნება მე უკვე გავიგე.

სხვა არაფერი უთქვამს, ლეონელა მაყვალივით შავი. ნათელი ოვალებით მოსჩერებოდა მოხუცს და ელოდა, რაღაცას მაინც მირჩევსო. ბალთასარი კი გაბრუნდა, ნაკვეთში გავიდა და მალე იუკის ბუჩქებში გაუჩინარდა.

მერე კი გაშმაგებით გაჰყვიროდა:

— გასაგებია, ახლა ყველას მოგინდათ ენის ტარტარი. ადრე სად იყავით? რატომ მაშინ არაფერი თქვით, სიცოცხლით სავსე ლეონელას მოხუც კაცს რომ აძლევდნენ ცოლად? შაქრის ლერწმისა და საქონლის პატრონმა ბებერმა თავისი ქონების წყალობით ჩაიგდო ხელში ის გოგო. იმ ჩაჩანაკს დიდი ხანია ჩემსავით ჩამქრალი აქვს თვალები. ნუთუ არასდროს უფიქრია იმაზე, რომ ახალგაზრდა ქალი სახლის ირგვლივ მხოლოდ მაშინ რგავს შროშანებს, როცა გულში ნორჩი სიყვარული უღვივის.

ყველაფერი კი იმის ბრალი იყო, რომ ბებერი, მაგრამ მდიდარი კაცის გამოჩენა ლეონელას რანჩოში მაცოცხლებელ ნიავს ჰგავდა. პაპანაქება სიცხეში რომ დაუბერავს ხოლმე. მაგრამ ამ მაცოცხლებელმა ნიავმა ქალიშვილისათვის კი არ დაუბერა. არამედ მისი შინაურებისათვის — ყომარბაზი ძმებისა და ხანშიშესული მამისათვის. ლეონელას მამა ცხოვრებაში ხელმოცარული კაცი იყო, ასე თვითონვე ამბობდა ხოლმე თავის თავზე, თუმცა ბედზე ჩივილი იმის პირიდან არავის გაუგონია. მაგრამ როგორც გინდათ თქვით, ოჯახის უფროსი იყო და ბევრი რამ ჰქონდა ცხოვრებაში ნანახი. ამიტომ, როცა ლოს პარალესელი მოხუცი თავისი გათქვირებული ცხენით რამდენჯერმე ეწვია, ლეონელას მამამ მაშინვე იაზრა: კაცს სხვის სახლში ქალი თუ არ იზიდავს, ექვჯერ ზედიზედ ტყუილად არ ესტუმრებაო. იმ სახლში კი ერთადერთი ქალი ლეონელა იყო. აი, მაშინ იგრძნეს მაცოცხლებელი ნიავის ქროლვა. ლეონელა კი ვერაფერს ხვდებოდა. გოგონას გული ხულიანოსთვის უძგერდა. ხეივნის ბოლოს ყოველ საღამოს გამოჩნდებოდა ხოლმე სარემონტო ბრიგადის მანქანა; მანქანაში ხულიანო იჯდა. ლეონელა ფეხის წვერებზე დგებოდა, ბუჩქნარიდან უთვალთვალებდა და ნახვამდისო ეძახდა ბრიგადის წევრებს, თუმცა გულში მხოლოდ ხულიანოს ემშვიდობებოდა.

და, აი, ერთხელ, როცა სარემონტო ბრიგადა ხეივნის გადალმა-გზის შეკეთებაზე მუშაობდა, გაბვითქული, შუბლზე შავთმებმიწებებული ხულიანო მიადგა მათ სახლს:

— გოგონა, ცოტა წყალს ვერ გამომიტანთ?

ლეონელამ არაფერი უპასუხა, მღელვარებისაგან ხელები გაეყინა მხოლოდ. როცა სურიდან წყალს უსხამდა, ბიჭი კვლავ გამოელაპარაკა ლეონელას:

— თქვენ გვეძახით, ნახვამდისო, როცა აქეთ ჩავივლით ხოლმე?

გოგონამ გაუღიმა:

— ჰო, ამ გზაზე იშვიათად თუ გამოჩნდება ვინმე; გეხმიანებით, სალამს არ გადავეჩვიო-მეთქი.

მათ სახეში შეხედეს ერთმანეთს და ვაჟი მიხვდა, რომ გოგონა ბანქანაში მსხდომთ მართლა გადაჩვევის შიშით კი არ ეძახდა ნახვამდისო, მხოლოდ მასთან დამშვიდობება უნდოდა და მეტი არაფერი.

ამის შემდეგ ყველაფერი ისე აეწყო, როგორც წესი და რიგი იყო. ბიჭი იაფფასიან საჩუქრებს ყიდულობდა ქარხნის ფარდულში და გოგონასთან მიჰქონდა. ერთხელ იაფფასიანი მინის ბროშიც მიუტანა წარწერით — „ლეონელა". გოგონა სიხარულით ცას ეწია. ბიჭმა ჰკითხა:

— შეყვარებული ხომ არა გყავს, ლეონელა?

— არა.

— რაკი ეგრეა, მე მიყვარხარ.

ის ძალიან მორიდებულად წარმოთქვა, თითქოს თავისივე სიტყვებისა რცხვენიაო; მერე კარგა ხანს უყურეს ერთმანეთს. ვაჟმა მოლიმარ. წამოფაკლულ სახეზე წაიკითხა გოგონას პასუხი.

აი, ასეთი ვითარება იყო, როცა ლეონელას მამის სახლში ლოს პარალასელმა მოხუცმა დაიწყო სიარული. იმ ხანებში შეყვარებულები დროებით დაშორდნენ ერთმანეთს. შაქრის ქარხანამ სარემონტო ბრიგადა ახალ უბანზე გადაიყვანა. ხულიანომ გოგონასთან მიირბინა ამბის შესატყობინებლად.

— ლეონელა, სარემონტო სამუშაოს ამბავი ხომ იცი. სულ აქეთ-იქით გვიხდება წანწალი. ერთ ადგილზე რომ მოვათავებთ საქმეს, მერე სხვაგან უნდა გადავიდეთ. ახლა ქარხანა ზღვის სანაპი-

რო გზის შეკეთებას აპირებს, რამდენიმე თვეს მაინც მომიწევს იქ დარჩენა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ვეღარ გნახავ.

— ხომ დაბრუნდებით, ხულიანო?

— იმისთვის არ მივდივარ, რომ დავბრუნდე?! შენ მომიცადე; როცა ჩამოვალ, ცოტაოდენ ფულს ჩამოვიტან, იქ, აბა, რაში უნდა დაშეხარჯოს. დავბრუნდები და მოველაპარაკები მამაშენს, — და ღიმილით დაუმატა: — მერე კი ვნახოთ, ერთი წლის შემდეგ როგორ იქნება ჩვენი საქმე. ალბათ, პატარა კარმიდამო მექნება, მეყოლება ცოლი და...

აი ასეთი იმედები და მინის ბროში დაუტოვა იმ დღეს ბიჭმა ლეონელას. მაგრამ მალე საიდანღაც ლოს პარალესელი საქმრო გამოტყვრა და ყველაფერი აირ-დაირია.

— ყველა ადამიანს უნათებს თავისი ბედის ვარსკვლავი, — გადაკრული სიტყვებით ცდილობდა საქმის დაჩქარებას მამა, — რას იხამ, მე უბედურ ვარსკვლავზე ვიყავი გაჩენილი, ვნახოთ, იქნება. ჩემს შვილებს მაინც გაუღიმოს ბედმა.

ლეონელა ვერა ხვდებოდა მამის სიტყვების აზრს. მოხუცი კი ყოველთვის იმეორებდა ამ სიტყვებს, როცა ლოს პარალესელი სასიძოს თაფლა ცხენის ფლოქვებით აყენებულ მტვერს გაჰყურებდა.

გოგონა ვერაფერს ხვდებოდა მანამ, სანამ ლოს პარალესელი მოხუცი ერთხელ კარებში არ შეეფეთა მოულოდნელად. მან გზა გადაუღობა და ხრინწიანი ხმით უთხრა:

— ძალიან მომწონხარ, გოგონი, ცოლად უნდა წაგიყვანო.

საბრალოს თავზარი დაეცა. დღემდე ამ მოხუცს პატივსაცემ და ღირსეულ ადამიანად თვლიდა. ახლა კი ამ კაცის ნამდვილი საბე დაინახა, მისი თვალები ურცხვად ჭამდნენ გოგონას. გაოგნებული შევარდა ოთახში და ქვითინი აუტყდა. ახლაღა აეხილა თვალები, აი, თურმე რას ნიშნავდა ყველაფერი: ახლად გამომცხვარმა საქმრომ ჯერ ცისფერი ვაზა მიართვა საჩუქრად, მერე უფროსი ძმის ყომარბაზობას არ მიხედა და სამუშაო მისცა ლოს პარალესში. ეს მაინც არ იყო ყველაზე დიდი უბედურება. უფრო საშინელს ბალთასარი ჰყვებოდა, გადარეულივით რომ დარბოდა სოფელში:

„იმ საბრალო მტრედს ყველა უყვარდა, უღირსნიც კი ებრა-

ლებოდა. ეცოდებოდა ისეთი მამა, ქალიშვილის დაყოლიების მიზნით თავი რომ მოიმკვდარუნა, და ცრემლად იღვრებოდა, ებრალებოდა ძმებიც, სისხლი რომ გაუშრეს, სანამ არ დაიყოლიეს".

აი. ასეთნაირად მოხდა ყველაფერი! ორი თვე ჩუმი ბრძოლა იყო გამართული სახლში. გაუთავებელი ჩიჩინით, რჩევით ცდილობდნენ ქალის გატეხას:

— საკუთარი შვილი არ მიჯერებს, სიკეთე რომ მინდა მისთვის! სიცოცხლეს მიმწარებს და სამარეს მითხრის!

— ერთი გამაგებინე, ეგ შენი ხულიანო რითგორ დაგვიხსნის დაგირავებულ ქონებას?

— ვინ მიგდია ბოლოს და ბოლოს? ერთი ღარიბ-ღატაკი, სარემონტო ბრიგადის მუშაა და მეტი არაფერი!

— რა ხეირს ვნახავთ? ჩემი და მუშას გაპყვება ცოლად. მამაჩემს კი სამოწყალოდ გაუხდება საქმე.

ლეონელა მაინც არ თანხმდებოდა. ცრემლებს უმალავდა თავისიანებს. ეშინოდა, არ მიმიხვდნენ, ძალა რომ მეცლებაო. ასეთმა ყოფამ მანამდე გასტანა, სანამ ბალთასარის თქმით, მამამ თვალთმაქცობა არ დაიწყო:

„თავი მოიავადმყოფა. ვკვდებიო, იძახდა, იმ წყეულმა იცოდა, გოგონას გული ამას ვეღარ გაუძლებდა".

იმდენი ითვალთმაქცა, ბოლოს მართლა გახდა ავად. თითქმის შთელი თვე მკურნალობდნენ ექიმი და მკითხავი. ძმებსაც ეს უნდოდათ. მისდგნენ ლეონელას:

— ილოცე, რომ მამა გადარჩეს: შენა ხარ ყველაფერში დამნაშავე. შენგანა გვჭირს, რაცა გვჭირს.

და ოჯახის მძიმე ჯაფით მოქანცულმა, დარდითა და ვარამით განაწამებმა, სატრფოზე სევდით დაღლილმა ლეონელამ, ყველაფრის გამოტირების და ყველაფრისგან განთავისუფლების სურვილიდა რომ დარჩენოდა, სასოწარკვეთილების წუთებში თანხმობა განაცხადა.

— ვისაც გინდათ, იმას მიმეცით! ყველაფერზე თანახმა ვარ!

ამის შემდეგ ყველაფერი უცბად მოგვარდა: სახელდახელოდ პატარა ქორწილი გადაიხადეს და ლეონელა ლოს პარალესის შაქრის ქარხნის ტერიტორიაზე, კედარისა და წითელი ხისგან გამართულ სახლში გადაიყვანეს.

— არ ვიცი, ახალ ბინაზე რა დღეში იყო ლეონელა. თუმცა ამის ცოდნას რა მნიშვნელობა აქვს. მარტო ის ნაოჭიც ბევრის მოქმელია, ქორწილიდან სამი დღის შემდეგ შუბლზე რომ გაუჩნდა. ეს ნაოჭი სიკვდილმაც ვეღარ წაშალა. მგონი, ყველა ღამეთა-ხვება, რომ იმისთანა ნათელი და სუფთა შუბლის ქალი მეორე არ დადიოდა სოფელში.

მართლაც ასე იყო. ყველაფერი, რასაც ბალთასარი ლეონელას წარსულზე, აწმყოზე თუ მომავალზე ამბობდა, ყველაფერი სიმართლე იყო. მომავალიც სწორად ივარაუდა ბალთასარმა.

— დაიცადეთ, დაბრუნდება ხულიანო და ნახავთ რა მოხდება, იმასაცა ჰყავს თავისი ძაღლი და ანგელოზი.

ქორწილის შემდეგ ორი თვე გავიდა. ერთხელ ღამით, როცა ქმარი სახლში იჯდა და ფულებს ითვლიდა, ლეონელას უცებ სარემონტო ბრიგადის მანქანის ხმა შემოესმა. ხმაური თანდათან ახლოვდებოდა და მალე მანქანის მოტორმა ჭრიჭინობელას ჭრიჭინი დაფარა.

ლეონელამ თავი ასწია. სმენად გადაიქცა. ესმოდა, თანდათან როგორ ძლიერდებოდა მოტორის გუგუნი. და აი, მანქანა შაქრის ქარხნის ეზოში შემოგრიალდა. მეტი არაფერი მომხდარა. ქმარი ისევ ფულს ითვლიდა. ლეონელამ თავი დახარა.

— განა არ ვიცი, რომ ლეონელა თავს ებრძოდა, — ამბობდა ბალთასარი, — ჩემ თვალწინ არ გაიზარდა! საკუთარი შვილივით ვუყურებდი! ამ ხნის განმავლობაში სამჯერ მოვიდა ჩემთან.

— ბალთასარ, რა გზას დავადგე? ხულიანოს დაუბარებია, შეიტყვე, რომ ძალით გაგათხოვესო, — შესჩივლა ქალმა.

— ეგრე ჯობია ლეონელა.

— არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე! ჩემი სახლის პირდაპირ გაჰყავთ გზა. დღე და ღამე მუშაობენ. ღამით სხვების სიმღერას ისიც აჰყვება ხოლმე. ჩემს გასაგონად მღერის, თორემ რა ემღერება.

— შენიანებმა გაგაუბედურეს, ლეონელა. არ ვიცი, რა გირჩიო.

მუშებს გზის მშენებლობა შაქრის ლერწმის აღებამდე უნდა დაემთავრებინათ. ბრიგადის წევრები და ისინიც, ვისაც სიყვარულის არაფერი გაეგებოდა, ხულიანოს დასცინოდნენ, რადგან რამდენჯერაც დაჰკრავდა ხოლმე ჰაბუკი წერაქვს, იმდენი სახლს გაჰ-

ხედავდა. ამ დაცინვას მერე გესლიანი ჭორები და მიოქმა-მოთქმა მოჰყვა.

და აი, დადგა ის ღამე, როცა მათ პირველად და უკანასკნელად აკოცეს ერთმანეთს. ხულიანო მოურიდებლად გადაევლო ღობეს და ჯიქურ გაემართა სახლისკენ. ლეონელამ როგორც კი ყური მოჰკრა ფეხის ხმას, უმალ მიხვდა, ვინც მიდიოდა. სოფლის ხეივნის სურნელება და ის საღამოები გაახსენდა, „ნახვამდისო" რომ ეძახდა ხულიანოს. თავბრუ დაესხა წამოდგა, სამზარეულოში გავიდა. ყარი გააღო და ისინი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. კოცნამ შეაერთა ქალ-ვაჟი და თოფიც გავარდა. ხულიანომ ხელი შეაშველა ლეონელას. ქალმა ამის თქმაღა მოასწრო:

— ვაიმე, ხულიანო!

ლოს პარალესელი მოხუცი თოფით გამოვარდა ეზოში. მეზობლებმა ვერ გაუბედეს წინ გადადგომა და მკვლელმა თავს უშველა. სიმწრისაგან გონდაკარგულმა ხულიანომ ლეონელა საკუთარი ხელით მიიტანა ქარხანაში. რადგან ქარხანა უფრო ახლოს იყო, ვიდრე სოფელი.

ხოლო რაც შემდეგ მოხდა, ჩვენს სოფელში თითქმის ყველას ახსოვს. ახსოვთ, ღილით ლეონელა როგორ მოიტანეს შაქრის ქარხნის მანქანით, როგორ დაეხვია ცნობისმოყვარეთა ჯგრო და როგორ ეველდრებოდა მოხუცი ბალთასარი ჟანდარმებს, მიცვალებულს ნუ დახედავთო. ან მე რა დამავიწყებს. ლეონელას ღიად დარჩენილ თვალებსა და... ღმერთო მომიტევე! — საკოცნელად გამოწვდილ ტუჩებს!

ჩემი და ვისია

რაღაცაზე ვიყავი ჩაფიქრებული და თვალებგაშტერებული მივჩერებოდი მაგიდის კუთხეს. როცა მზერა დაკლაკნილი გზის წითელ ზოლზე გადავიტანე, უხმაუროდ მოახლოებულ მახქანასა და მტვრის მეშამელ ბუქს მოვკარი თვალი.

... მამაჩემი ამბობდა, ვისია წვიმიან საღამოს გაიპარა სახლიდანო, დედაჩემი კი ირწმუნებოდა, სულ სხვანაირად მოხდა ყველაფერი: როცა ავტომობილის თუხთუხი გავიგონე, ვისია საკენკს უყრიდა ქათმებს, მერე იმის მწვანე კაბასღა მოვკარი თვალი. ასე იყო თუ ისე, ვისია ერთ საღამოს თვალსა და ხელს შუა გაქრა და იმისი ასავალ-დასავალი ვეღარ შევიტყვეთ.

მართალია ვისია ჩვენი ოჯახიდან გაიქცა, მაგრამ მისი ხსოვნა ბუდამ ცოცხლობდა ჩვენს გულებში და ჩვენი წარმოდგენით ყველას გვჯობდა, განსაკუთრებით დედა იგონებდა კარგად. სარეცხის რეცხვას რომ დავიწყებდი, დედა თავზე დამადგებოდა და მეტყოდა ხოლმე:

„ვისია ჯერ კარგად დააკერებდა და მერე გარეცხდა“.

რაღაცა შინაგანი ცეცხლი სწვავდა ვისიას და აკი წავიდა კიდეც ამ ცეცხლის გასანელებლად.

ვერ შეატყობდით, რა მოსწონდა და რა — არა, უთქმელი იყო და მთელ დღეს შრომაში ატარებდა.

ხანდახან, საღამოობით, მამაჩემი ჩამავალი მზის სხივებით ოქროსფრად დაფერილ გორაკებს მიაჩერდებოდა და გვეუბნებოდა: ამ დროს ვისიას კურდღლისცოცხას ბუჩქნარით დაფარულ ნყაროს პ-რზე წასვლა უყვარდა და ვიდრე ჰორიზონტზე ქალაქის ნათურები არ აკიაფდებოდა, იქიდან ფეხს არ მოიცვლიდა; იდგა და გაჰყურებდა ამ ყვითლად მოციმციმე ციცინათელებს, ვისიამ კარგად იცოდა, რომ ეს ციცინათელები ქალაქის სინათლეები იყოო.

იმ ხანებში მე, ალბათ, იატაკზე დავხოხავდი, ან იქნება ესეც არ შემეძლო... ვისია კი სახლში ტრიალებდა და ყველაფერი მისი ახალგაზრდული სიცოცხლით იყო აღვსილი. კედელზე ბუზები-

საგან დასვრილი ღვთისმშობელი რომაა, ისიც ვისიამ ჩამოჰკიდა... აკი ვთქვი, ვისია ერთ მშვენიერ საღამოს სახლიდან გაქცეულა-მეთქი, ჩემი ძმა პედრო ცხენდაცხენ გამოსდგომია ავტომობილს; პირუტყვს კინაღამ სული ამოხადა თურმე ჭენებით, მაგრამ შინ ატირებული და ალეწილი სახით დაბრუნებულა. ხშირად მეუბნებიან, ვისიას ჩამოგავხარ, იმასავით გიშრისფერი თმა გაქვსო, მეც სარკის წინ ვტრიალებ ხშირად და, რა ვიცი, ვგონებ, მართლა კარგი თმა უნდა მქონდეს.

ერთხელ ვისიას წერილი მივიღეთ, ორიოდ სიტყვა წაეჯღაბნა; კონვერტს რომ ვხსნიდით, ვისიას სურათი გადმოვარდა. მზეთუნახავივით სახე და მარწყვივით ტუჩები ჰქონდა. არ მახსოვს, ვისია უწინ როგორი იყო, ახლა კი, მგონი, ყველას გვჯობდა. დედამ თქვა, ჩემს შვილს ასეთი ამოღამებული თვალები და ასეთი გამოხედვა არასოდეს ჰქონიაო, სურათი ხელიდან გაუვარდა და ატირდა. იატაკიდან სურათი ავიღე და დიდხანს ვათვალიერებდი: ფეხსაცმლის მაღალი ქუსლები ქვიშაში ჩაფლობოდა, უკან აქოჩრილი ზღვა მოჩანდა. შავ კულულებს ქარი უწეწავდა... სურათში ვიღაც მოკლეშარვლიანი კაცებიც იყვნენ გადაღებულნი. ერთი ვისიას ზურგს უკან იდგა და ზედ მის თავთან ეჭირა გამოცლილი პოთლი. ცსუქანი კაცი იყო. იცინოდა. მზემოკიდებული ყვრიმალები და მელოტი თავი მზეზე უპრიალებდა. მამამ გვითხრა, ვისიას სახეს ნუ დამანახვებთო, მაგრამ მერე პედროს მისი სახე ამოაჭრევინა სურათიდან და თავისი საათის სახურავქვეშ ჩაღო. მე ვერ მივხვდი, რა ამბავი იყო ვისიას თავს. ნამდვილ ქალს რომ შეეფერება, ისეთი იყო სურათზე, თან არც იყო ისეთი. გულში მე მაინც მიყვარდა ვისია და ერთხელ, როცა ოთხი დღის განმავლობაში ქარიშხალი მქვინვარებდა, ვფიქრობდი, ის რომ აქ იყოს, ტაროსსაც კი დაიურვებს და დაამშვიდებს-მეთქი. ერთხელ კიდევ ასეთი რამ დამემართა: „ღმერთი“ უნდა მეხსენებინა და „ვისია“ კი წამომცდა!

ხანდახან, როცა ბიძაჩემი გვესტუმრებოდა ხოლმე, სიტყვას ჩამოაგდებდა ვისიაზე და იტყოდა, ყველაფერი აგუატეს[1] ნაყე-

---

1 გადმოცემის თანახმად, ვინც აგუატეს ხის ფოთლებისაგან დაყენებულ სასმელს დალევს, სიყვარული დაეუფლება.

ნის პრალიაო და თან მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდა დედა-ჩემს. ბიძას გაკრიალებული ჩექმები ეცვა, დიდძალი მიწისა და შაქრის ლერწმის პატრონი იყო. ვისიაზე კარგი არასდროს წამოსცდებოდა. ერთხელ მამაჩემმა უთხრა კიდეც, სულ არ მაინტერესებს, რას ფიქრობ ჩემს შვილზე, ერთხელ და საბოლოოდ შეუშვი მაგ ყურში და თავი ნუ მომაბეზრე ყბედობითო. საქმე იქამდე მივიდა, რომ, ბოლოს, მამამ სახლიდან გააგდო ბიძაჩემი. იმ ღამეს იმათ აურზაურზე გამომეღვიძა, დედა ჩემთან მოვიდა და დამამშვიდა: „არაფერია, დაიძინე, ბოლო კეთილიაო“. მე ვერ გავიგე, რას ნიშნავდა „კეთილი ბოლო“, ის კია, ბიძაჩემს იმ დღიდან ჩვენს სახლში ფეხი აღარ დაუდგამს. ზოგჯერ მაჩეტეროები[1] ჩამოიცლიდნენ ხოლმე ჩვენს სოფელზე. დედა გზაზე გადიოდა და ეკითხებოდა: ქვეყანა ფეხითა გაქვთ შემოვლილი, სადმე მხიარული, შავთმება გოგონა ხომ არ შეგხვედრიათ, მსუქანი, მელოტი ქმარი ჰყავსო. იმის მნახველი კაცი არ ჩანდა; დედაჩემს უპასუხებდნენ, ჩვენ სოფლის ხალხი ვართ, სოფელ-სოფელ დავიარებით, თქვენი ვისია კი ქმართან ერთად, ალბათ, სადმე ქალაქ ადგილას ცხოვრობსო. ერთხელ ვიღაც მაჩეტერომ რაღაცა გაიხსენა და დედას გამოკითხვა დაუწყო. დედა თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა. მაშინ იმ კაცმა უთხრა:

— ასეთი ქალი კი ვნახე, მაგრამ ის უქმრო იყო!

ალბათ დედაჩემის სახის გამომეტყველებამ შეაშფოთა ეს კაცი, თვალი მოარიდა, ნიკაპი მოიფხანა და დასძინა:

— რა ვიცი, სენიორა, როცა მე ვნახე, იქნებ მაშინ ქმარი სხვაგან იყო წასული!

დედა უხმოდ შემობრუნდა სახლში. იმ დღიდან არავინ გაუჩერებია გზაზე.

მას შემდეგ წლები გავიდა, მე წამოვიზარდე და სულ იმას ვნატრობდი, ნეტა ვისიას დავემსგავსო-მეთქი. სადილობის შემდეგ მამაჩემი როგორც კი დაიძინებდა, ჯიბეში შეუმჩნევლად ჩა-

---

[1] მაჩეტერო — შაქრის პლანტაციაში სამუშაოდ დაქირავებული უმიწო გლეხები (სიტყვა ნაწარმოებია სიტყვა „მაჩეტე“-დან — „დანა“).

ვუყოფდი ხელს, საათს ამოვაცოცებდი, ვისიას სურათს ვუცქეროდი და ჩემს თავს ვადარებდი.

კარგა ხანმა განვლო მას შემდეგ. ლერწმის მოსავალი ათჯერ მაინც ავიღეთ[1]. სიერაში პედროს თავისი საკუთარი პატარა ნაკვეთი ჰქონდა უკვე და ორი ბიჭუნაც ჰყავდა; შვილები მინდოოკი ფეხდაფეხ ღასდევდნენ მამას და ხარებს ერეკებოდნენ...

ერთხელ მაგიდას ვუჯექი და უცებ, გზისკენ რომ გავიხედე, ზლაყუნით მომავალი მანქანა და მეწამული მტვრის ბუღი დავინახე.

გულმა მიგრძნო, რომ ის უნდა ყოფილიყო. თალხებში ჩაცმული ვისია შორიდანვე ვიცანი. გაჭირვებით გადმოვიდა მანქანიდან და მაღლოლს რაღაც გაუწოდა. მანქანა გაბრუნდა. ვისია ღობეს მიეყრდნო, იდგა ასე და სახლს მოსჩერებოდა.

— ვისია! დედა, ვისია დაგვიბრუნდა! — ეიკივლე მე.

დედა სარეცხს ფენდა, სველი ზეწარი ხელიდან გაუვარდა. სახლიდან მამის ათრთოლებული ხმა მოისმა:

— ვისიას აქ რა უნდა!

ვისიას შესაგებებლად გავიქეცი და თან გზადაგზა ვანვალიერებდი მის სახეს. ღრმად ჩაცვენილი თვალები და გადაღენებული თმა ჰქონდა. ღაწვებზე ცრემლი სდიოდა. გაჭირვებით გამიღიმა, გულში ჩამიკრა, თითები თმაში შემიცურა და ღაღლილი ხმით მკითხა:

— რა დაგარქვეს?

— როსა, — გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, საკუთარი ხმა ვერც კი გავიგე.

დედაჩემმა რომ მოირბინა, მაშინღა შევატყვეთ, რომ ვისია ფეხზე ძლივსღა იდგა. მხრებში შეეუდექით და ისე შევიყვანეთ შინ. მამა ოთახიდან გამოსვლას არ აპირებდა, მაგრამ როცა დედამ შეატყობინა, ვისია ცუდ ღღეშია. გამოვიდა და წარბებქვეშიდან მიაჩერდა შვილს. შევამჩნიე, ვისიას ფერხთით მოკეცილმა დედამ როგორი მუდარით შეხედა ქმარს. მამამ ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— რას იზამ, ეტყობა, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი.

---

[1] კუბაში შაქრის ლერწმის მოსავალს წელიწადში ორჯერ იღებენ.

მეტი კელარ ავიტანე. სირბილით გამოვიჭერი სახლიდან და ბალახში პირქვე ჩავემხე, რომ არავის დაენახა ჩემი ცრემლები...

მალე სააღდგომო ზარების რეკვა ატყდება. დედაჩემი წელში მოიხარა და სახე ნაოჭებმა დაუღარა. პედრო ჩვენი ნაკვეთის გაყიდვას აპირებს, გვეუბნება, ჩემთან გადაგიყვანთო. მამა ჯერ-ჯერობით უარსეა: არც სამაგისოდა ვარ დაჩაჩანაკებულიო. კარების თავზე ვისიას ბავშვობის დიდი სურათი ჰკიდია, სურათის ქვეშ თიხის ქოთანი დგას და, როგორც ყოველთვის, თეთრი ყვავილებითაა სავსე.

მე კი სულაც აღარ მინდა, რომ ვინმეს ვგავდე.

ასთაკვეებზე მონადირე

ჩვენი იახტა კუბის სანაპიროდან ხუთ-ექვს მილზე იდგა. ანკესი წყალში მქონდა ჩაშვებული, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თვალი ტივტივასათვის მედევნებინა, ჩვენგან სამიოდე კორდელზე[1] დაშორებულ ნავს ვუყურებდი: ნავში ვიღაც კაცი იჯდა და ნელა უსვამდა ნიჩბებს.

ზოგჯერ გაგიმტერდება თვალი, ერთ წერტილს მიაჩერდები და იყურები უაზროდ, ვერაფერს ხედავ. მეც სწორედ ასე უაზროდ მივჩერებოდი ნავში მჯდომ კაცს, მაგრამ ვერ ვამჩნევდი. მერე გამოვერკვიე და მენავეს მართლა დავაკვირდი. ჩვენ კარგა მანძილზე ვიყავით ერთმანეთისაგან დაშორებულნი, მაგრამ მაინც გავარჩიე: ის ჩია ტანის, წელში მოხრილი კაცი იყო. ნიჩბები მოკლე ხელებში ჩაებღუჯა და თავი ჩაქინდრა. პალმისაგან დაწნული ფარფლიანი ქუდის ცხავისებური ჩრდილი ეფინა სახეზე. ვერ მივხვდი, დაბადებიდან იყო კუზიანი თუ დღედაღამ ნიჩბებთან ჯდომამ მოხარა წელში. ასე იყო თუ ისე, ამ კაცს საბრალო შესახედაობა ჰქონდა. კაცი კი არა, ლანდი გეგონებოდათ. თუმცა, რა ვიცი, იქნება სხვანაირი თვალით შევხედე და მე მომეჩვენა ასეთი. ამ ფიქრებში რომ ვიყავი გართული, ერთი ამას წინათ შემოამხანაგებული მეთევზის ხმა შემომესმა უკანიდან.

— მაგ ტიპმა ერთხელ, ზღვიდან რომ ვბრუნდებოდით, ასეთი რამე გვითხრა: „ჯობია, უცოლოები გემზე დარჩეთ, აბა ნაპირზე რა დაგრჩენიათო!“ მერე უდარდელი სტვენით გაემართა სახლისაკენ, მივიდა შინ და რას ხედავს: ცოლი სხვას არ გაჰყოლია!

მეთევზემ გულიანად გადაიხარხარა. სხვებმაც გაიცინეს. როცა ზღვა დაწყნარებულია, სიტყვები კარგა მანძილზე ისმის. უხე-

---

[1] კორდელი — სიგრძის საზომი ერთეული, დაახლოებით 20,5 მეტრს უდრის.

რხულად ვიგრძენი თავი, დანარჩენებსაც ვუთხარი, არ გაიგოს-მეთქი და შეშფოთებულმა მენავეს გავხედე: ის ისევ წელში მოხრილი იჯდა და ნელა უსვამდა ნიჩბებს.

მალე ზღვაურმა დაუბერა. ღუზა ამოვიღეთ და ნაპირისაკენ გავცურეთ.

მეთევზის ნათქვამი ყველას გულზე მოგვხვდა, ღალატის შემთხვევებს მოვყევით და ვთქვით, მოტყუებულმა ქმარმა ან ანდერძი უნდა აუგოს ცოლს, ანდა იმ კაცივით მოიქცეს, ცოლს რომ წაასწრო: მან კუროს ერთი პესო გამოართვა და, მიუხედავად ათი წლის ცოლქმრობისა, სახლიდან წავიდა — დაე, იცოდეს ქალმა, ვინც ქმარს ღალატობს, ამაზე მეტი არა ღირს! იახტის პატრონმა ლაპარაკის თემა შეცვალა და სიტყვა ზღვის ძროხებზე ჩამოაგდო. ზღვის ძროხას გემრიელი ხორცი აქვს, მაგრამ მასზე ნადირობა აკრძალულია, თანაც, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სრულიად უმწეოა, მოკვლა ძნელიაო.

ნაპირზე რომ გამოვედით, უკვე ბნელოდა. მე ბარში წავედი. ჩის შენობა ტალღებზე ირწეოდა და მეშტარი იალქნიანი ნავებით მიდიოდა ხოლმე იქ. ვიჯექი მაგიდასთან და თოლიებს, გემებსა და წყლის ზედაპირზე მოსრიალე ზღვის ობობებს ვუყურებდი. უცებ დილანდელი ნავი და ნიჩბებს ჩაფრენილი მენავის სილუეტი დავინახე. ისევ დილანდელი მანძილი გვაშორებდა ერთმანეთს. მაგრამ ახლა მისი სახისა და თვალების გამომეტყველების კარგად გარჩევა მოვინდომე. ანაზდად მენავემ ნიჩბებს ხელი გაუშვა და გაირინდა. ვიფიქრე, ნავის მისაყენებელ ადგილს ეძებსმეთქი, მაგრამ შევცდი: თურმე ბარში მუსიკას რომ უკრავდნენ, იმას უგდებდა ყურს. საღამოს სიწყნარეში შორს ისმოდა სიმღერა:

მეზღვაურო, ცოლს ნუ იტყოვ,
ზღვის შვილს ცოლი არას გარგებს,
შენ რომ ზღვაში დაგიგულებს,
სხვებს მონახავს უფრო კარგებს.

ფირფიტის გამოცვლა დავაპირე, მაგრამ სანამ ამას მოვახერხებდი, მეთევზემ ისევ მოუსვა ნიჩბებს, ნავი გააბრუნა და იქაურობას გაშორდა.

ჩვენ დაბაში დავბრუნდით. საღამოს, მაგიდას რომ ვუსხედით, იახტის პატრონი ჩემ გვერდით იჯდა. მან სკამი ახლოს მოაცურა და ხმადაბლა მკითხა:

— ის ამბავი არ მოგეწონა, არა?

შემატყო, უცებ ვერ მივხვდი, რომელ ამბავზე მეკითხებოდა და მიშახვედრა:

— იმ მეთევზეზე გეუბნები, ცოლი რომ გაექცა.

— არ ვიცნობ.

იახტის პატრონი ცოტა ხანს დაფიქრდა და მერე განაგრძო:

— ამ კაცის თავგადასავლის მოსმენისას ყოველთვის გულზე სევდა შემომაწვება ხოლმე. ცხოვრება მეტად რთული რამ არის, ამიტომ ადამიანები მასზე ლაპარაკით მხოლოდ ენას იქავებენ, ჩვენ ძლიერებზე ლაპარაკს ვერ ვბედავთ, სუსტებს კი არ ვინდობთ.

ვერ გავიგე ამას რაზე ამბობდა. მაშინ პატრონმა უფრო გარკვევით მითხრა:

— იცით, ჩვენში ბევრი მეთევზე იჭერს ასთაკვს. მათ ზოგჯერ თვეობით უსდებათ ზღვაში დარჩენა და იალქნიან ნავზე ცხოვრება. ნავზე კაიუტის მაგივრობას შიშველი გემბანი უწევთ და ღამით სახურავის მაგივრობას — ცაზე გადაჭიმული ღრუბლები. მზის ამოსვლისას მძიმე ღამის შემდეგ კაცს ყველაფერი ლამაზად ეჩვენება, მაგრამ ამით მეთევზის დუხჭირი ცხოვრება არ იცვლება. ერთი ნავით ორი კაცი თევზაობს: ერთი ნიჩბებს უსვამს, მეორე კიჩოზეა გადაკიდებული და ბადით ასთაკვებს იჭერს, ასე მეორდება ყოველდღე: აბობოქრებული იქნება ზღვა თუ წყნარი, დარი იქნება თუ ავდარი, მაინც გადიან ზღვაში. ასეთ ყოფაში გადის მთელი სიცოცხლე და არავინ იცის, როდის მოეღება ბოლო ამ წვალებას. გამიგეთ?

— ვაგიგეთ.

— როცა იალქნიანი ნავი ნავსადგურში ბრუნდება, მეთევზეები ტრიუმში ჩადიან. წელამდე და ზოგჯერ მკერდამდე დგებიან ასთაკვებით გატენილ წყალში და ზევითა ჰყრიან ნადავლს. ფეხებზე შემოხვეული ჯვალოს ნაჭრებიც ვერ იცავენ ასთაკვების მარწუხებისაგან. რისთვის ეწამება ასე ადამიანი? ტანჯვით ნაშოვნი ფულის გარდა რა რჩება? — არაფერი! ასთაკვები კარგადა ფასობს,

მაგრამ მეთევზე მეორე დღეს კვლავ ზღვაში უნდა გავიდეს, იმისი დროც აღარ რჩება, რომ ჰავანაში ჩავიდეს და თავის გემოზე წაიქეიფოს, გული გაახაროს. ისღა დარჩენია, საღამოს ბარში წავიდეს მუსიკის მოსასმენად, ერთი ბოთლის დასალევად და ქალებთან გასართობად. ასე გრძელდება მთელი მისი სიცოცხლე. გამიგეთ?

— გაგიგეთ, უფროსო.

— ყველა მეთევზე ასე ცხოვრობს, მაგრამ ახლა უფრო ის მეთევზე მყავს მხედველობაში, დღეს იმ საცოდავ მენავეს რომ დასცინოდა. გახსოვს, არა? ის ვერ იტყოდა, მენავე ცუდადა ცხოვრობსო, რადგან სხვანაირ ცხოვრებაზე თვითონაც არა აქვს წარმოდგენა. მაგრამ ხანდისხან ბოღმა რომ შემოაწვება ხოლმე, არ იცის, ვისზე მოიოხოს გული. მან დღესაც იმ უბედური კაცის დაცინვით გაიქარვა ნაღველი, ცოლი რომ გაექცა...

იახტის პატრონმა სიგარა გამომართვა და რაკი შემატყო, რომ ლაპარაკს არ ეპირებდი, მცირე ხნის დუმილის შემდეგ განაგრძო:

— მე ვიცნობ იმ კაცს, ცოლი რომ გაექცა. ასეთი შემთხვევები ხშირია ჩვენში. ის სხვა მეთევზეებისაგან არ განსხვავდება, ეგ არის მხოლოდ, რომ კურდღლის ტუჩი აქვს და ტანმორჩილია. ასეთი კაცი თავის ტუჩსაცა და გულსაც უპალავს ადამიანებს... გაიგეთ?

— ჰო, ალბათ, დიდი ვარამი უტრიალებს გულში.

— ვარამი უტრიალებს თუ არა, ის მაინც ადამიანია და ცხოვრებაში ლამაზი დღეები იმასაც ექნებოდა. თუნდაც ის დღეები, როცა შეყვარებული იყო. ვისაც ასეთი სახე აქვს და თანაც კარჩაკეტილი ცხოვრობს, ჩუმი სიყვარული იცის. სხვები გრძნობებს არ მალავენ, მათ ცხოვრებაში რაღაც კარგი და საიმედო აქვთ და ცხოვრობენ ამ იმედით, სანამ ეცხოვრებათ. ზოგს ესეც არ გააჩნია. ჩვენი მეთევზე ერთი იმათგანია. ასეთები ფიქრობენ, რაც არ უნდა გამოვცადოთ ცხოვრებაში, თანაგრძნობით მაინც არავინ მოგვეკიდება და ნამდვილი სიყვარულით არავინ შეგვიყვარებსო. გამიგეთ? მაგრამ ერთხელ ამ მეთევზეს სავანებში მოუხდა წასვლა და იქიდან კარგ ხასიათზე დაბრუნდა. ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე იყო იქ და ყოველთვის კმაყოფილი ბრუნდებოდა. ერთ საღამოს კი ვიღაცა ქალი ჩამოიყვანა თან. მეთევზე წინ მიდიო-

და და ისე აცეცებდა თვალებს, თითქოს სხვისი საცოლე მოეტაცოს. ფეხშიშველი, ჩამომხმარი, შეუხედავი, მკერდდაშრეტილი ქალი მისდევდა უკან. იმისთანა მამაკაცი უკეთეს ქალს ვერ იშოვიდა. სავანებში სიღატაკეში ცხოვრობენ. იქაური ხალხი ქანცგამოცლილი და დაგვალულია, მაგრამ როგორც კი ვინმე გადმოსახლდება ზღვის ნაპირზე, საოცრად მოიკეთებს ხოლმე. ეს ქალიც თანდათანობით დამშვენდა, აღარც ფეხშიშველი დადიოდა. ნაპირზე დაბრუნებული მეთევზე, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ფეხები გადაყვლეფილი ჰქონდა ფეხსაცმელებისგან, რომელსაც მხოლოდ დღესასწაულებზე იცვამდა, პირდაპირ ცოლის საჩუქრებისათვის გარბოდა, ერთი სული ჰქონდა, მალე ეყიდა რამე და ცოლი გაეხარებინა. გამიგეთ? ეს კაცი მხოლოდ იმ ქალისთვის ცოცხლობდა. გავიდა დრო და ცოლი ფეხმძიმედ შეიქმნა. მეთევზე გადარეულივით დადიოდა, ეშინოდა, ბავშვს კურდღლის ტუჩი არ დაჰყვესო. მძიმე დღეები გადაიტანა მაშინ. რამდენჯერ ხელცარიელი დაბრუნებულა ზღვიდან, იმიტომ, რომ ფიქრში გართულს ნიჩბების მოსმა ავიწყდებოდა და დინებას ნავი კარგი სათევზაო ადგილებიდან შორს მიჰქონდა. ამაში უცნაური არაფერია, ადამიანი ყელამდე საქმეში რომ იყოს ჩაფლული და მთელი დღე ნიჩბებს უსვამდეს, ფიქრებს მაინც ვერ დააღწევს თავს. ბოლოს მის ცოლს ერთი კარგი, ჯანმრთელი ბიჭი შეეძინა. მამა კინაღამ გადაირია სიხარულისგან, შვილს რომ კურდღლის ტუჩი არ დაჰყვა.

პატრონი დადუმდა, სიგარას ქაღალდის რგოლი მოაცილა და მერე განაგრძო:

— ქალი, უბრალოდ, მადლიერი მაინც უნდა ყოფილიყო ქმრისა, მართალს არ ვამბობ? თან შვილიც ჰყავდა. სხვა რაღა უნდოდა? თქვენ როგორა გგონიათ?

არ ვიცი, რა უნდა მეპასუხა, ალბათ, თავისი სათქმელი ჩემთვის უნდა ეთქმევინებინა. მე რომ არაფერი ვუთხარი, ისევ თვითონ განაგრძო:

— კურდღლის ტუჩი დაგავიწყდათ? შეიძლება ქალი ქმარს შეეთვისოს მადლიერების გამო, მაგრამ ქვეყანაზე უამრავი მამაკაცია. დადგება დღე და ქალს სხვა მამაკაცისაკენ გაუწევს გული. ჰოდა, მეგობარო, იმ ქალსაც დაუდგა ეს დღე და სხვა კაცი გაიჩინა. ჭაბუკი ჩრდილო სანაპიროდან იყო. სისხლი უდუღდა და

ნავსადგურში ყველასგან გამოირჩეოდა სილამაზით. გასაგებია? ახალგაზრდამ ბინა მათი სახლის პირდაპირ იქირავა. არ უკირდა, სხვებივით ზღვაზე არ დადიოდა სათევზაოდ, ხოლო ქალს ახლა ყველაფერი ჰქონდა, რაც უწინ აკლდა. ნამდვილი ქალი დადგა, ნამდვილი ქალი, გესმით? აიყვანა ძუძუთა ბავშვი და ჭაბუკს გა-ჰყვა. ეს სწორედ იმ საღამოს მოხდა, როცა კურდღლისტუჩა მე-თევზემ ნაპირზე გამოსვლისას თქვა: ჯობს, უცოლოები გემბან-ზე დარჩეთ.

— ცოლის ღალატი როგორ გადაიტანა?

— როგორ უნდა გადაეტანა. ერთ ხანს ნავსადგურში ფები ამოიკვეთა. მერე მაინც მოვიდა და მთელი ღამე ნავში გაატარა. სხვა რა გზა ჰქონდა? რომ შეძლებოდა, თავის დღეში არ დაგვე-ნახვებოდა თვალით. შიმშილმა მოიყვანა უკან. ერთ საღამოს ბარ-ში ირწმუნებოდა თურმე, ცოტა ფულს ვიშოვი და გადავიკარგები აქედან. თუ ამას ვერ შევძლებ, ღმერთმა იცის, რას ვიზამო.

— როგორა გგონია, მარილა აგროვებს ფულს?

— კი.

— ხომ არ ცრუობს?

— არა. ფულს მე მაბარებს და როცა საშუალება მეძლევა, თითო-ოროლა პესოს მეც ვუმატებ ხოლმე.

სიბრალულის გამო, არა?

— ცხადია. არა.

სიგარის ცისფერ კვამლს თვალი გააყოლა და ხმას დაუწია.

— სიბრალული რა შუაშია, მაგის მდგომარეობაში, ვინ იცის, კაცი რას არ იზამს.

იახტის პატრონმა მთვლემარე ნავსადგურს გახედა, — მხო-ლოდ ბარშიღა მხიარულობდნენ მეთევზეები, — და დაუმატა:

— წარმოგიდგენიათ, როგორ უნდა უმძიმდეს იმათთან მუ-შაობა. ვინც ვამუდმებით უშხამავს სიცოცხლეს?

იმ ღამეს ამით დამთავრდა ჩვენი ლაპარაკი. იახტის პატრონის ნაამბობმა შემაძრწუნა. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ვიღაცამ! გული ამომგლიჯა, თითქოს რაღაც დავკარგე.

ჩემს ოთახთან მივედი. დაწოლას რომ ვაპირებდი, უცებ იმ მეთევზეს მოვკარი თვალი. რომელიც კურდღლისტუჩა კაცს დას-ცინოდა. დავუძახე. ფეხშიშველა იყო, მხარზე აკეცილი ბაგირი

ჰქონდა გადაკიდებული. ბაგირი ძირს დააგდო და, რა გინდაო, მკითხა.

— თუ არ გეჩქარება, სიტყვა მაქვს შენთან.

— არა, არ მეჩქარება.

არ ვიცოდი საიდან დამეწყო. ამ დროს ნაპირიდან ხელახლა შემომესმა სიმღერა:

„მეზღვაურო, ცოლს ნუ ითხოვ,
ზღვის შვილს ცოლი არას გაოგება...“

— გესმით, — მითხრა მეთევზემ, — ისევ ის ფირფიტა დაუდეს! ოცჯერ მაინც დაუკრეს დღეს... ეჰ! თანაც ზღვაზე ასეთი სიწყნარეა... როგორ მოგწონთ, მეგობარო?

— ამას რაზე ამბობ?

— ეჰ! თქვენ არა თქვით, ზღვა თუ არ ღელავს, ხმა შორს ისმისო. როგორ მოგწონთ... უკუნი ღამეა. ირგვლივ ყველაფერი დუმს და ამ ფირფიტას კი უკრავენ... ეჰ! ის ტიპი ალბათ ზის ნავში და ისმენს!

ხმამაღლა გაიცინა. მგონია, ჩემთვისაც აპირებდა იმ ღვარძლის გადმოდებას, რაც ალბათ, ცხოვრებას უადვილებდა. ვუყურებდი ამ კაცს და მისი სიცოცხლისადმი, სავანების ბინადარივით გამოფიტული და უღიმღამო სულისადმი, სიბრალულს ვგრძნობდი.

არ ვიცი, კიდევ დაუდეს თუ არა ის ფირფიტა. ჩვეულებისამებრ, იმ ღამესაც ბალიში წავიფარე თავზე და ისე დავიძინე.

განთიადზე ხმაურმა გამომაღვიძა: ფანჯარა გამოვაღე და გავიხედე. ნავსადგურის უფროსს სამმართველოდან ორი მეზღვაური გამოეგზავნა ბარში. ვახოლინის ფარანი რომ აანთეს, ირგვლივ ყველაფერი განათდა და ისინიც მაშინვე დავინახე. გამოხსნილ კარში ჭერზე ჩამოკიდებული თოკი მოჩანდა. თოკი ვიღაცას გადაეჭრა სასწრაფოდ. მერე პატეფონს და ადამიანის სუსტ სხეულს მოვკარი თვალი. ადამიანს კისერზე თოკის გადანაჭერი შერჩენოდა.

რამდენიმე დღეს პორტში მხოლოდ ამ თვითმკვლელობაზე და კიდევ იმაზე ლაპარაკობდნენ. რომ ეს კაცი ძალიან კარგი მეთევზე იყო. მაგრამ გავიდა დრო და ცხოვრება ისევ თავის კალაპოტში ჩადგა. როცა მეთევზეები თავს მოიყრიდნენ და სხვადა-

სხვა ამბებს ჰყვებოდნენ, ვიღაცა ისევ წამოიწყებდა ხოლმე იმავე სიტყვებით: „ერთმა მეთევზემ, ზღვიდან რომ ბრუნდებოდა, სხვებს უთხრა: ჯობია, აქ დარჩეთო...“ ცხადია, შეუძლებელია, მთელი სიცოცხლე ადამიანის გლოვა. მიცვალებულები ზღვაში გასული მეზღვაურებივით არიან: ყოველ წუთს სულ უფრო და უფრო გვშორდებიან, უფერულდებიან და ბოლოს სულ გვეკარგებიან მხედველობიდან. სხვა ყველაფერი, — ციხიკური სიმღერაც და ის მეთევზეც, განგებ ხმამაღლა რომ ჰყვებოდა ნაღვლიან ამბავს ასთაკვებზე, მონადირეზე, ვისაც გული უკვე სანახევროდ მკვდარი ჰქონდა, — სხვა ყველაფერი, შემთხვევითი წვრილმანებია!

კუბელის გული

...და სანამ სიკვდილი არ დაუხუჭავს
თვალებს, მის გულს შიში არ გაეკარება.
ხ. მარტი

— კარგად დააკვირდი ადამიანს და გარეგნობაზე შეატყობთ, რა საქმის კაციც არის. ცხოვრება ყველას განსაკუთრებულ თარგზე გვჭრის. აი, თუნდაც სანაპიროს ბინადარი მეთევზეები აიღეთ. მათ ფეხები ბრჭყალებიან თაფლებს მიუგავთ. ეს იმიტომ, რომ დღენიადაგ ფეხის მოკიდებას ცდილობენ, ნავის მერყევ ფსკერზე საყრდენს ეძებენ. მეთევზის ფეხი არასდროს არ შეგეშლება სხვა კაცის ფეხში. ერთი სიტყვით, სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანის ხელობა გარეგნობით, ტანით და სხეულის ცალკეული ნაწილითაც კი შეიძლება გამოიცნო.

იმის დასადგენად კი, თუ ვინ იყო გუადალუპე, ასეთი ხერხი არ გამოდგებოდა. ამ ხმელ-ხმელ, ბეჭებვიწრო, დაბალ კაცს სახეზე ისე დაჰკრავდა ზეთისხილის ფერი, რომ წლოვანების განსაზღვრა ძალიან გაგიჭირდებოდათ. მოკლეღ, სხვა გლეხებისაგან არაფრით განსხვავდებოდა. ასეთი ადამიანი დღეში ათჯერაც რომ შემოგხვდეს, ალბათ, ყურადღებას არც მიაქცევ...

დახლზე დაყრდნობილი ახალგაზრდა, ბრგე მულატი უცებ გაჩუმდა, თავსხმა წვიმისაგან თავდასაღწევად შემოფრენილი ბუზი კინაღამ შიგ პირში შეუვარდა.

— თფუ, რამ გადარია, ეს ოხერი! როცა ვაჟკაცობაზე ჩამოვარდება სიტყვა, ბუზის ბზუილიც არ უნდა ისმოდეს.

სიცილმა იფეთქა, თითქოს ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო ხმამაღლა გაიცინებდა. მულატმა განაგრძო:

— მხოლოდ შესახედავად იყო ასეთი, თორემ... ტყუილად კი

არაა ნათქვამი მასეთ კაცზე, გული შიგნითა აქვსო. გატყობთ, ეჭვი გეპარებათ ჩემს სიტყვებში, ალბათ გულში ამბობთ: განა ქვეყნად მოიძებნება თუნდაც ერთი გულადი კაცი, რომ სახეზე არ ეწეროს თავისი გამბედაობაო. მომისმინეთ და თვითონ განსაჯეთ. ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა პოლიციის უფროსად ლეიტენანტი ლოპეს როსა გვყავდა. ერთხელ დონ-ხასინტომ გუადალუპესთან გამგზავნა, ულაყი გამიხედნოსო. მივედი და, თქმა რომ დავაპირე, უცებ, სად იყო და სად არა, როსაც იქ არ გაჩნდა! შემოვიდა ოთახში და ჯიქურ გაემართა მოხუცისაკენ. მე ზედაც არ შემომხედა.

— სახლში სტუმარი მყავს, უფროსო! — უთხრა გუადალუპემ.

— მომიტევე. — ჩაიბუზღუნა პოლიციელმა და ჩემკენმოუხედავად გამომიწოდა ხელი.

მერე ისევ მოხუცს მიმართა, რომელიც ავშარას აკეთებდა.

— ისეთი რამ უნდა გთხოვო, გუადალუპე, რითაც კუბას უფრო გაუწევ სამსახურს, ვიდრე მე.

— ბრძანე, უფროსო.

— საიდუმლო საქმეზე ვარ მოსული, უცხო კაცს ვერ დავისწრებ.

გუადალუპეს თავი არ აუღია, ჩვეულებრივზე მკვახედ უთხრა:

— ამ ბიჭთან ყველაფრის თქმა შეიძლება.

პოლიციელმა სწრაფად შემათვალიერა, ვიფიქრე. აი, ახლავე გაბრუნდება და წავა-მეთქი, მაგრამ, ეტყობოდა, მნიშვნელოვან საქმეზე იყო მოსული, იმიტომ რომ ჯერ მცირე ხანს გაჩერდა და მერე უთხრა:

— გუადალუპე, გაიგე კონგომ როგორ აიშვა თავი?

— გავიგე.

— ჰოდა, ყური დამიგდე. არ მინდა ჩემს ბიჭებს სახელი გავუტეხო, მაგრამ გამოგიტყდები, ისინი კონგოს ვერც ცოცხალსა და ვერც მკვდარს ვერ ჩაიგდებენ ხელში.

ისევ ეს წყეული ბუზი! ყურთან გამიბზუვლა და მულატის მაღალ შუბლს დაეჯახა. იმან ცხვირწინ ხელი აიქნია, მაგრამ ბუზი დაუსხლტა და გაფრინდა. მულატმა თხრობა განაგრძო:

— მოხუცმა დინჯად გადადო ავშარა და კუნაპეტი თვალები მიაპყრო პოლიციელს. მშვიდი, თითქოსდა ნამძინარევის გამოხედვა ჰქონდა.

— ამ საქმესთან მე რა მესაქმება, უფროსო?

— დიდი ხანია გიცნობ, გუადალუპე, კონგოს გაბაწვრას მხოლოდ შენ თუ მოახერხებ, რას იტყვი, გააკეთებ ამ საქმეს? თანახმა ხარ?

— ტყუილად გარჯილხარ, უფროსო.

მოხუცმა როგორღაც მორიდებულად უთხრა ესა და თან მაგიდაზე დადებულ, უკვე დამთავრებულ ავშარას მიაჩერდა. გაოგნებული პოლიციელიც ავშარას მიაშტერდა, თუმცა სახის დაბნეულ გამომეტყველებაზე ემჩნეოდა, რომ ვერაფერს ხედავდა. პოლიციელმა უმალ დაძლია წუთიერი დაბნეულობა და უფრო მკაცრი ტონით ჰკითხა:

— მერე იცი, ტიბისი ალტოში რა მოხდა?

— ვიცი!

— როგორ ფიქრობ, შეიძლება კაცს ორი ადამიანის დასახჩრება და ერთის მოკვლა ეპატიოს?

— არა, არ შეიძლება.

— ჰოდა, ესეც რომ კონგოს ჩადენილია, მთელმა მხარემ იცის. ანდა ემილიანოს ცოლის ამბავი გაიხსენე. საცოდავ ემილიანოს დღესაც ვერ მოუცვლია სოფლიდან ფეხი, შინ დაბრუნებისა ეშინია. კონგოს ტყვიით მოკლული ცოლი ჯერაც ცოცხალი ჰგონია.

— ემილიანო დარდისაგან შეიშალა, უფროსო. აკი თვითონვე გამოტყდა, მე ავუტეხე სროლა და მერე კონგოს ტყვიებს სახლში შევაფარე თავიო. ტყვიამ კი, მოგეხსენებათ, კაცის გარჩევა არ იცის. ჰოდა, ბრმა ტყვია მოხვდა იმ საცოდავს.

— დაფიქრდი, გუადალუპე, მთელი ოლქი შენგან ელის ხსნას.

— მე წყენა არ მახსოვს კონგოსაგან.

— კაცის კვლა, ძარცვა, განა ეს არ კმარა? იქნება ამართლებ კიდეც კონგოსთანებს?!

მგონი, როსას უნებურად მოუვიდა, ხმას რომ აუწია. მოხუცი უცებ გასწორდა წელში და პოლიციელს მწვანე თვალებში პირდაპირ შეხედა.

— გავურბოდი ამის თქმას, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, უნდა გითხრა. ალბათ თქვენზე მეტს იმიტომ ვხედავ, რომ პოლიციელის ფორმა არ მაცვია. ვიცი, რომ ყველა ადამიანს ორი სახე აქვს.

— რომელ ორ სახეზე მელაპარაკები! — ჩაიქნია ხელი ლოპეს როსამ.

ამაზე მოხუცმა ისეთი რამ უპასუხა, რაც არასდროს დამავიწყდება.

— თქვენ ადამიანისაგან მხოლოდ ერთს მოითხოვთ: პირში წყალი ჩაიგუბე, ცხვარივით უწყინარი იყავი, იარაღს შეეშვი, სხვის ქონებას ნუ ხელჰყოფო. გეთანხმები, ეს ძალიან კარგია, მაგრამ მე არანაკლებ მნიშვნელოვანი რამეც ვიცი, — ადამიანი უსამართლობის მსხვერპლია და არც ხელისუფლება. არც კანონი მის მხარეს არ იჭერს.

— ის წყეული უკვე ოთხი წელია ყაჩაღობს.

— ყველაფერი იმ დღიდან დაიწყო, როცა კონგო დარწმუნდა, რომ ოჯახი შიმშილით ამოუწყდებოდა.

— შენ საიდან გაიგე?

— მეც ამ ქვეყანაზე დავდივარ. ქვეყანაზე კი არაფერი რჩება გაუგებარი. აი, რას გეტყვი უფროსო, ვერ ვიტან როცა ჩემი მსგავსი მომაკვდავი მხოლოდ იმიტომ მიპირებს დაჩაგვრას და ცუდ საქმეს მავალებს, რომ მასავით სახელოზე რაღაც ნიშანი არ მაკერია და იმის დაკრულ დუდუკზე არ ვცეკვავ.

თუ გინახავთ რა ემართება ბოთლს, პირზე ხელის გულს რომ მიაფარებთ და გადმოაბრუნებთ? ასე დაემართა პოლიციელსაც; სახე წამოუჭარხლდა სიბრაზისაგან, მაგრამ ამჯერადაც მოერია თავს, თითზე ბეჭედს დაუწყო წვალება და უთხრა:

— მაშ კარგი, გუადალუპე, უსასყიდლოდ თუ არ გინდა დავეხმარო, ფულს გადაგიხდით. ახალგაზრდა აღარა ხარ, მაგრამ ზედმეტი ფული არ გაწყენს.

როსამ ისეთნაირად შემომხედა, თითქოს იმაში დარწმუნება უნდოდა, რომ მე უცებ მართლა დავყრუვდი და დავმუნჯდი.

— რას იტყვი, გუადალუპე, ამ საქმეში ერთი ან ორი ათასი პესო რომ გადაგიხადოთ?

მოხუცმა ისე დაიჭირა თავი, ვითომ კითხვა არც გაუგია. მზერა მაგიდაზე დადებულ პოლიციელის ქუდს მიაპყრო, მერე კარისკენ გაიხედა და წყნარად უთხრა:

— უსიტყვოდ რომ წახვიდოდე ჩემი სახლიდან, ძალიან კარგს

იზამ. მოდი, ისე ვიფიქროთ, ვითომ არც მოსულხარ და არც რამე გითქვამთ. ვითომ არც ამ ჭაბუკს უნახავს და გაუგია რამე.

როსა უხმოდ დაემორჩილა, ქუდი აიღო და კარისკენ წავიდა, მერე შედგა და ასე ზურგშებრუნებულმა, ალბათ სახეს გვარიდებდა, ჩაიბურტყუნა:

— გუადალუპე, ოდესმე თუ დაგჭირდეს ჩემი დახმარება, კაციც რომ შემოგაკვდეს, მაინც ნუ დამერიდები, მოდი.

მოხუცმა არაფერი უპასუხა. მუხლებიდან ტყავის ნაჭრები გადაიბერტყა და თითქოს არაფერი მომხდარაო, სრულიად წყნარად მითხრა:

— ჰო, რაღაცის თქმას აპირებდი. დონ ხასინტოს ულაყის გახედვნა უნდაო, არა? მოვხუცდი, სადღა მაქვს მაგის ძალა, მაგრამ სხვა რა ჩარაა. უთხარი, მოვა-თქო.

ისევ ის საძაგელი ბუზი გამოჩნდა! სადღაც, ზევიდან მოწყდა და ზედ ჭიქის პირს დაეცა. გაგულისებულმა მულატმა ჭიქა დახლს დაჰკრა. ბუზი ხელზე დააფრინდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, იმარჯვა და მოკლა. მულატმა შუბლი შეიკრა, ჭიქა ისევ მოიყუდა; როცა ბოლომდე გამოცალა, ულვაშებიდან ლუდის თეთრი ქაფი მოიწმინდა და განაგრძო:

— სამი დღის შემდეგ გუადალუპემ კონგო მაინც გამოიმწყვდია.

— რას ამბობ?

— გატეხა სიტყვა?

— ვეღარ გაუძლო ფულის ცოუნებას?

ერთმანეთს აღარ ვაცდიდით, მულატს სეტყვასავით ვაყრიდით კითხვებს. ის კი ჭიქაში ლუდს იცხამდა და რაღაც არ ჩქარობდა პასუხის გაცემას.

— არა, მოხუცი ფულზე არ გაყიდულა. კონგო კი შეიპყრო, მაგრამ ეს ფულისათვის არ გაუკეთებია. ღმერთმა იცის, არც ვინმეს დაუტანებია ძალა.

— მაშინ ტყუილს ამბობ.

— რის ტყუილი. ჰკითხეთ იმის ნაღლეს. სულ იმის გულისთვის მოხდა ყველაფერი. ის კაცი ახლაც ცოცხალია და თავის სახლში ცხოვრობს. თუ გინდათ, აამბობინეთ, რაც არ იცი, იმაზე არაფერი არ უნდა თქვა. გუადალუპე არაჩვეულებრივი კაცი იყო

და ასეთ არაჩვეულებრივ ადამიანებს თავს უჩვეულო ამბები გადახდებათ ხოლმე.

მულატი ისე გაჩუმდა, ვითომ მოყოლის სურვილი დამეკარგაო. მაგრამ ჩამოვარდნილმა სიჩუმემ და ჩვენმა დაძაბულმა საუბარმა ხალხი დაუბრუნა და თხრობა განაგრძო:

— პოლიციელთან ლაპარაკიდან სამი დღის შემდეგ გუადალუპესთან მისი ნათლიმამის შორეული ნათესავი მოვარდა გულგახეთქილი, მას მარტო მოხუცისათვის უნდა ეთქვა ის უბედურება, რაც მის ნათლიმამას დასტეხოდა თავს, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა. რადგან თვითონ ყოფილა დამნაშავე, ატირდა და ჩემი თანდასწრებით უთხრა ყველაფერი:

— გვიშველე, გუადალუპე! კონგომ ბიჭი ხელიდან გამომგლიჯა და ცთაში გაიტაცა, რევოლვერი მკერდზე მომაბჯინა და... ბავშვისათვის თავი ვეღარ გავწირე, ძალა არ მეყო.

— იმისთვის ხომ გეყო ძალა, რომ აქ მოსულიყავი. სხვას რას მეტყვი?

— რა უნდა გითხრა? ახლა გამოსასყიდს გეთხოვს. იცდის, ფულს რიდის ავუტან.

გუადალუპეს სახე ეცვალა, მაგრამ არც ამჯერად დაუკარგავს სიმშვიდე. მაგიდასთან მივიდა, უჯრა გამოსწია. ნათლულისათვის უნაგირის საყიდლად გადანახული ფული ამოიღო და გამომიწოდა:

— მიდი პედროსთან და უთხარ: ამ დღეს რომ მოვურიგდი, ის რევოლვერი გამოგატანოს.

ასე სწრაფად ჩემს სიცოცხლეში არც ერთი დავალება არ შემისრულებია. როცა დავბრუნდი, მოხუცს ვთხოვე, თან წამიყვანე-მეთქი. ვიცოდი, სად და რისთვის აპირებდა წასვლას, და თუ სიკვდილი ეწერა, უკანასკნელ წუთებში ბედის ანაბარად არ მინდოდა მიმეტოვებინა. მოხუცმა უარი მითხრა:

— რა ვქნა, ასეთი ჩვეულება მაქვს, საქმეზე ყოველთვის მარტო დავდივარ. მადლობელი ვარ, ჭაბუკო.

აბა რა უნდა მექნა? ისეთს რას ვიტყოდი, რომ სიტყვა არ მოეჭრა? კრინტი აღარ დამიძრავს. ვიდრე თვალს არ მოეფარა, ვუყურებდი. უცებ ისე შემეხუთა სული, ისე ცუდად ვიგრძენი თავი, რომ ანგარიშმიუცემლად მოვახტი ცხენს და მოხუცს დავედევნე. ცხენს ხან თავს ვუჭერდი, ხან დეზს ვკრავდი, ხან გზის პირას

გუაიავის ნაყარში გადავუხვევდი ხოლმე: მეშინოდა, მოხუცმა უკან არ მოიხედოს და შემთხვევით თვალი არ მომკრას-მეთქი. მაგრამ, მგონი, ერთხელაც არ მოუხედავს უკან... რომ არ გამებედა და არ გავყოლოდი, აბა ვინ გიამბობდათ ამ ამბავს... გუშინდელ დღესავით მახსოვს, მოხუცმა ბუჩქებთან როგორ შეაჩერა ცხენი და დაიძახა:

— ყური მათხოვე, კონგო, ვიცი ჯაბანი არა ხარ. მოიყვანე ბავშვი და, უხებლიეთ ტყვია რომ არ მოხვდეს, განზე დააყენე, მე უფულოდა ვარ მოსული.

კლდის ქიმს ვიყავ ამოფარებული და გუადალუპეს მშვიდი ხმა კარგად მესმოდა. მოხუცის პასუხად ნიავმა პალმების ფოთლები ააშრიალა მხოლოდ. მერე ბუჩქებში ჩამალულმა კონგომაც ამოიღო ხმა:

— შენ რა გინდა აქ? გაბრუნდი და ის გამომიგზავნე, ვისთანაც ფულზე მქონდა მოლაპარაკება.

— ის კაცი, ვისგანაც ფულის აღება გინდა. აქ არ მოვა.

— შენ ვიღა ხარ, ასე რომ მელაპარაკები?

— როგორც ხედავ, ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ.

— სიმაღლეში ნახევარი მეტრი მაინც გკლებია, თანასწორივით რომ მელაპარაკო. წადი შენს გზას ეწიე. შენისთანები შიკრიკებად თუ გამოდგებიან.

— მე შიკრიკად არ მოვსულვარ. ბიჭის წასაყვანად ამოვედი და წავიყვან კიდეც.

— ცოტა ძნელი საქმე ხომ არ გიკისრია, მკვდარო?

— თუ რამე გამეგება, ჯერ ცოცხალი ვარ.

— მიზანში მყავხარ ამოღებული. არა გჯერა?

გუადალუპემ არაფერი უპასუხა. თითქოს ადგილზე გახევდა. უკეთურმა აზრმა გამიელვა: „მოხუცმა იცის, რომ კონგო არ დაინდობს, და თავის დაძვრენაზე ფიქრობს“, მაგრამ მაშინვე შემომესმა მისი მშვიდი ხმა. ეჭვი გამეფანტა, სამაგიეროდ, მოხუცის ბედმა უფრო მეტად შემაწუხა.

— ადამიანის მოკვლა ძნელი როდია, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყო, რომ მართალი ხარ. რატომ არ მესვრი. კონგო, რაღას უცდი!

ეს სიტყვები სიჩუმეში უჩვეულოდ გაისმა. ბუჩქები, სადაც

კონგო იყო ჩასაფრებული, ქარმა ააშრიალა. მხოლოდ ღმერთს შეეძლო სცოდნოდა, რა გამოტყვრებოდა იქიდან, ტყვია თუ ადამიანის ხმა.

გუადალუპე დუმილით ელოდა. პასუხმა რომ დააგვიანა, უფრო გულგრილად განაგრძო:

— კონგო, ორი გზა გაქვს. ან ლაჩრულად უნდა მომკლა საფარიდან, ან პირისპირ უნდა შემხვდე და გავსწორდეთ.

— წყეულმც იყავ, რამდენი კაცი გახლავს თან?

— არც ერთი.

— ბავშვი ხომ არ გგონივარ, ვერ გამაბრიყვებ. მომწყდი თავიდან. შენს ცოდვაში ნუ გამრევ!

კონგოს გაფთრებულმა ღრიალმა მეხივით გადაუარა ბუჩქნარს და მთებს შორის გახმიანდა. მოხუცმა აინუნში არ ჩააგდო ეს. ერთ ხანს დუმდა, მერე მოთმინებით და დინჯად ალაპარაკდა.

— გამიგონე, კონგო, იმისათვის არ მოვსულვარ, რომ ხელცარიელი დავბრუნდე. ჯერჯერობით მგონია, რომ ვაჟკაცთან მაქვს საქმე, ამიტომ ჯობს, დამენახვო.

— ბებერო ქოფაკო, როგორ ვერ ხვდები, რომ შენისთანა მიხრწნილი ყბედის სისხლით არ მინდა ხელების დასვრა!

— რაკი ეგრეა, უნდა მომისმინო.

— არაფრის გულისთვის. თუ არ დამეხსნები, გაგათავებ.

— მაშინ დროს ნუღარ კარგავ! ლოდინით დავიღალე, გესმის, კონგო!

გუადალუპეს ადგილას ამაზე მეტს ვერავინ გაბედავდა. გუადალუპეს ხმას სიბრაზე დაეტყო, მაგრამ შიში მაინც არ იგრძნობოდა. უფრო ადრე კონგოს გაუწყდა მოთმინების ძაფი.

ისროლა და თან მუქარით დასჭექა:

— უბრალოდ ვერ ჩამიგდებთ ხელში! ესეც შენ!

თოფის წამლის ბოლი ბორცვზე ავარდა. ტყვია გუადალუპეს ქუდში მოხვდა და თითქოს ვიღაცამ ძლიერად და მოსხლეტით დაარტყაო. თავიდან მოხადა. გუადალუპეს თვალიც არ დაუხამხამებია. ლომის გულიც რომ ჰქონდეს კაცს, მაინც გაძლება არ უნდა! ტყვიას გესვრიან, თხილს ხომ არა! კონგომ დაიყვირა:

— ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ გაჩენილი. ქარმა გადაგარჩინა.

— შენმა სიმხდალემ გადამარჩინა, კონგო. შეგეშინდა.

— რა თქვი?!

— შეგეშინდა-მეთქი.

— სტყუი!

— შენისთანა ჩუბინი მიზანს რომ ააცდენს — შიშისაგან მოუვა. ქარი ახლა არაფერ შუაშია.

უფრო ხანგრძლივი და ავის მომასწავებელი სიჩუმე ჩამოწვა. კონგოს ახლა სროლაზე უფრო მნიშვნელოვანი რაღაც უნდა გაეკეთებინა.

და, აი რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ, რომელიც საუკუნესავით გაგრძელდა, კონგომ მოულოდნელად იკითხა:

—ეს ბიჭი შენი შვილი ხომ არ არის? — ხმაზე ეტყობოდა საგონებელში ჩავარდნილიყო.

— არა, შვილი არ არის. განა უთუოდ შვილი უნდა იყოს. კარგად დამიგდე ყური, კონგო. შენ იმაზე ხარ ასე გაბოროტებული, რომ ოდესღაც ერთი ნატეხი პურის მოპარვისათვის კინაღამ ტყავი გაგაძვრეს, არა?

— თუნდაც ეგრე იყოს, მერე რა, ახლა ეგ რა მოსატანია.

— მოსატანია. თუ მაშინ იმდენი ივაქკაცე, რომ თავი არავის ღააჩაგვრინე, ახლა ტყვიის შიშით ბავშვს არ ამოეფარები, გამიგე, კონგო?

ღმერთია მოწამე, კონგომ გაუგო. ხანგრძლივი, დაძაბული დუმილი გამეფდა. უცებ კონგო ნადირის ფრთხილი ნაბიჯით დაეშვა ბორცვიდან, ბუჩქები გადმოთელა, ფიჩხს ლაწალუწი აუყენა. გამოვარდა და ჩაფსკვნილი, თმამოშვებული კაცი მოხუცს დაუდგა წინ. ვეება, მარწუხებივით ხელებში თოფი ეჭირა.

— აჰა, ხომ ხედავ, არავის ვეფარები, — კონგომ თოფი შემართა, — დაიცავი თავი.

გუადალუპეს რევოლვერი მზად ჰქონდა და სროლა დაასწრო.

კონგოს ფეხს რაღაცამ უბიძგა უკან. ყაჩაღი დაბარბაცდა და თოფი ხელიდან გაუვარდა.

მულატი გაჩუმდა, ულვაშებიდან ლუდის ქაფი მოიწმინდა და ჩაფიქრებულმა ისე გააქნია თავი, თითქოს თავისივე ნაამბობი გაიკვირვაო.

— ვიფიქრე, მოხუცი ამას დასჯერდება-მეთქი, აბა სხვა რაღა

უნდა გაეკეთებინა ისეთი, რომ კაცს გაკვირვებოდა? მაგრამ არა. ჩემკენ შემობრუნდა და დამიძახა:

— მოდი და თოფი აართვი!

ასე მეგონა, შიშველი გამომაგდეს-ძეთქი ხალხით გაჭედილ მოედანზე. რა თქმა უნდა, კონგოსკენ გავექანე. ახლაც თვალწინ მიდგას გახეთქილ მუხლზე შემოჭდობილი ნიჩაბივით ხელები და აუტანელი ტკივილისაგან ამღვრეული თვალები.

— ჩქარა მესროლე! ბარემ, გამათავე, ბიჭო!

— ვინ გითხრა, — მომესმა გუადალუპეს ხმა, — თითქოს შენი მოკვლა მინდოდეს.

— ღვთის გულისათვის, მომკალი! ამ ოინში კარგა ფულს გადაგიხდიან, წყეულო მოხუცო: მიიღებ ჩემს საფასურს.

— ღირსი არ არის, თუ რა! — წამომცდა მე და მაშინვე ენაზე ვიკბინე.

გუადალუპემ თავით-ფეხებამდე ამხედ-დამხედა.

— ყმაწვილო, კუბაზე თუ გეგულება კაცი, რომ გამიბედოს და კონგოს მოკვლაში ფული შემომთავაზოს.

მართალი გითხრათ, დავიბენი, ორივე დაძაბული მიყურებდა, პასუხს ელოდა. გუადალუპეს ხასიათს კარგად ვიცნობდი და ზოგჯერ იმისი აზრების გამოცნობაც შემეძლო. თვალები დავხარე თითქოს რაღაცას ვიხსენებდი, მერე მტკიცედ ვთქვი:

— არა, გუადალუპე, ასეთი კაცი არ მეგულება.

ბიჭიღა გვყავდა მოსაძებნი. კონგოს ნაკვალევს ავყევით და ბორცვზე მივაგენით. ბავშვი ისე გამოქანდა ნათლიისაკენ, თითქოს მხოლოდ ამ კაცის მკერდს შეეძლო ყველა საფრთხისაგან მისი დაფარვა.

აი, სულ ეს იყო. დაჭრილთან დავბრუნდით. მოხუცმა ერთი კარგი ნაცნობის სახლი მიასწავლა: იქ ერთ ხანს სანდო ხალხი შეგიკედლებს და საიდუმლოდ გიმკურნალებენო.

მერე ბიჭი ცხენზე შემოისვა და სამივენი სახლისკენ გავემართეთ. თვალს ვერ ვაცილებდი გუადალუპეს და განცვიფრებული ვფიქრობდი: შეხედავ, ერთი ჩია კაცია, გაძლებით კი რა ორთაბრძოლას გაუძლო. ოდნავი დაღლა, ან აღელვებაც რომ ოარ ეტყობა! არა კაცი კი არა, კლდეა, უდრეკი კლდე!

მთის გილიკზე

მოხუცი მატიასი თავისი სახლის ზღურბლზე იდგა, ღობის გასწვრივ ალმართზე მომავალი კაცი რომ შეამჩნია.

— მახენსიო იქნება. — გადაულაპარაკა ცოლს.

ქმრის ზურგს უკან მდგარმა დედაბერმა მგზავრს გახედა და თქვა:

— მახენსიო კოჭლობს. ეგ კი — არა.

ქალმა მუშტისოდენა სახე დაძაბა და მიმქრალი თვალებით უცნობს მიაჩერდა.

მოხუცი მატიასს ხმელი, დამჭკნარი, უსიამოვნო სახე, უკბილო პირი და კეხიანი ცხვირი ჰქონდა, წვრილ თვალებს მოუსვენრად აცეცებდა.

ამასობაში უცნობმა გაბმული მავთულები გადასწია, შიგ გაძვრა, იქაურობას თვალი მოავლო და მაღალი ბალახით დაფარულ ბილიკს დაადგა.

— მგზავრი იქნება ვინმე, — დაასკვნა დედაბერმა.

მოხუცმა პასუხად რაღაც ჩაიბუზღუნა.

უცნობი დამხვდურთ მიეახლოვდა, მოხუცი მშვიდი, შავი თვალებით შეათვალიერა და ჰკითხა:

— თქვენ ხომ არა ხაოლ ვასენტე მატიასი?

თავისი სახელი რომ გაიგონა, მოხუცი დამშვიდდა.

— მთელი ორმოცდაოთხმეტი წელი მე ვიყავი და, მგონი, ახლაც მე უნდა ვიყო. — უპასუხა სიცილით და ცოლს გადახედა.

უცნობის სახეს ღიმილიც არ გაჰკარებია.

მატიასმა ქამარზე დაადგა თვალი, მერე ხელებში შეხედა და ჰკითხა:

— რით შემიძლია გემსახურო?

— ერთ საქმეში დასახმარებელ კაცს ვეძებ.

— ის კაცი მე ხომ არა ვარ?

— ან ისა ხართ და ან — არა, — უპასუხა უცნობმა და მოხუცს ისევ მიაპყრო მშვიდი თვალები.

— თუ ჩვენს მხარეში რამე გაქვთ მოსაძებნი, გამოგადგებით, ხუთი თითივით ვიცი ეს მხარე, აგერ ის ჩრდილი, ჩემი დარგული ხის ჩრდილია.

— იქნება მაინც ვერ გამომადგეთ.

— თქვენი საქმისა თქვენ იცით, — უთხრა გაკვირვებულმა მატიასმა.

დაღლილმა უცნობმა ნელა აიარა ტერასის საფეხურები და სკამზე ჩამოჯდა.

— მე განსვენებული ნარანსონის ძმა ვარ.

შეცბუნებულმა მატიასმა ოდნავ უკან დაიხია და დედაბერს დაეჯახა. უცნობი კი განაგრძობდა:

— რა, სირცხვილია ამის გამხელა?

— აბა რა ვიცი, როგორ გითხრათ, — ორჭოფულად მიუგო მოხუცმა.

— ნუ, ამბობილო, ნუ მომერიდებით. პირში თქმა ყველაფერს სჯობია. ავაზაკი შვილი ყველა კარგ დედას შეიძლება გაუჩნდეს.

დედაბერმა ქმარს იდაყვზე გაჰკრა ხელი, მოხუცი ენაღ გაიკრიფა:

— ღმერთმანი. მართალს ამბობთ... თუ კაცი ავაზაკადაა დაბადებული, იმასთან ეშმაკიც ვეღარაფერს გააწყობს. იცით, ერთი ძალზე უხეირო ბიძა მეც მყავდა, ისეთი უხეირო კაცი იყო, რომ მისი ჩამოხრჩობის ამბავი როცა შევიტყვეთ, გაგვიხარდა კიდეც. აკი გეუბნებით, თუ კაცმა ნამუსზე ხელი აიღო...

უცნობმა სიტყვა გააწყვეტინა:

— გავიგე, ჩემი ძმა ამ ადგილებში მოუკლავთ.

მატიასმა თავი გააქნია, თავის ფეხსაცმელს ჩააშტერდა და ჩაილაპარაკა:

— ალბათ მოგატყუეს.

— თქვენი ნათლიმამა მახენსიო ვნახე...

დედაბერმა თავი აიღო, კედელსა და ქმარს შუა გამოძვრა და იკითხა:

— მახენსიო დღეს ნახეთ?

— არა, დღეს არა... გუშინ იყო... ერთად ვისადილეთ.

— ტერეზა როგორ არის?

— არა უჭირს რა.

— უკვე იმშობიარა?

— კი, მგონი, შაბათს იმშობიარა. ბიჭი შეეძინა.

გახარებულმა დედაბერმა მატიასს შეხედა; მერე სამივე გაჩუმდა.

ქვევით. ბორცვის ძირას ცხვარს მიერეკებოდნენ. ქარს ზანზალაკების წკარუნი და შოლტების ტყლაშუნის ხმა ამოჰქონდა იქიდან.

ანაზდად მოხუცმა მუხლზე დაიკრა ხელი და უცნობს უთხრა:

— რაკი მახენსიოს სახელით მოსულხარ, გეტყვი: თქვენი ძმა აქ, ამ ადგილებში მოკლეს.

— და ის ადგილი მხოლოდ თქვენ იცით.

— ჰო, მხოლოდ მე ვიცი.

— თქვენ და პოლიციამ.

ვისენტე მატიასმა სწრაფად შეათვალიერა უცნობის სახე, თვალებშიც ჩახედა, უნდოდა მიხვედრილიყო რამეს, მაგრამ იქ ვერაფერი ამოიკითხა.

— ისე, რაში მეკითხება ჩემი ძმის სიკვდილი. ძაღლი იყო და ჩაძაღლდა კიდეც.

— მაშ რისთვის ამოხვედით, — ჰკითხა მოხუცმა.

— დედაჩემის ერთადერთი სურათი თან ჰქონდა წამოღებული. ის სურათი არ დაუბრუნებიათ ჩემთვის.

— იქნება შენმა ძმამ დაკარგა?

— ვინ იცის... შეიძლება შეტაკებისას ამოუვარდა ჯიბიდან.

მოხუცმა თავი აიღო. კედრის ხის ძირში წაკიდებულ მამლებს გახედა. მერე თავდაჯერებით თქვა:

— შეტაკება არ მომხდარა.

უცნობმა ფეხი გამართა, ჯიბეში ჩაიყო ხელი. ორი სიგარეტი ამოიღო და ერთი მატიასს გადაუგდო. მოხუცმა ჰაერშივე დაიჭირა სიგარეტი. უცნობმა სიგარეტს მოუკიდა და ჩაილაპარაკა:

— რას იზამ... მით უკეთესი.

გზის პირას. სახლიდან ასიოდე მეტრზე, კლდოვანი გორაკი

იყო აღმართული, მატიასმა გორაკს მწვერვალისაკენ ააყოლა თვალი. გორაკის თავზე. ცაში ქორები დაცურავდნენ.

— მოშავო ლაქას ხომ ხედავთ ზევით?

— კი, ძალიან კარგად ვხედავ, — უპასუხა უცნობმა.

— აი, იქ მოიმწყვდიეს.

სტუმარი ფეხზე წამოდგა და ჯიბიდან საფულე ამოიღო:

— რაღას ვაჭიანურებ, მე რომ ვეძებდი სწორედ ის კაცი ყოფილხარ. — და სწრაფად გადაუგდო საფულე. საფულე გაიხსნა და დედაბრის ფეხებთან ფულები გაიფანტა.

— ჯერ ეს გქონდეს...

ვისენტი მატიასი სიხარულით აცახცახდა. თვალებში შუქი ჩაუდგა.

— ლუსიანა, — უთხრა ცოლს, — ეს ფული იმასთან შეინახე... მე სტუმარს გავყვები, იქნებ რამეში გამოვადგე.

მოხუცმა ქამარი უფრო მაგრად შემოიჭირა. ქამარზე მაჩეტე ეკიდა.

— წავიდეთ, — მიმართა სტუმარს და წინ გაუძღვა.

დედაბერმა ერთ ხანს თვალი გაადევნა წასულებს. მერე კარები ჩაკეტა.

ძალიან მაღლა იყვნენ ასასვლელები, მაყვლის ეკლიან ბარდებში მიძვრებოდნენ. კლდის ქიმებს ებღაუჭებოდნენ და ბოლოს, როგორც იყო. გაჭირვებით ააღწიეს გამოქვაბულის შესასვლელამდე.

მოხუცმა შუბლიდან ხელისგულით მოიწურა ოფლი. უცნობმა ქვევით გადაიხედა და ველზე მატიასის ეულად მდგარი სახლი და ის ხე დაინახა, საკუთარი ხელით რომ დარგო მოხუცმა. მწვანედ გადაჭიმულ ველზე ხე პატარა წერტილივით მოჩანდა. შემდეგ მოხუცს უთხრა:

— სურათი, შეიძლება. ნაპრალშიც ჩავარდა, არა?

— ჰო, შეიძლება, — ამოიხვნეშა მატიასმა და ნაპრალის ფსკერს ჩახედა.

უცნობი გაუნძრევლად იდგა და თვალს არ აშორებდა მოხუცის მოხრილ მხრებს.

— როგორა გგონიათ, შეიძლება ადამიანიც ჩაიჩეხოს ამ ნაპრალში?

— რა ვიცი, არა მგონია, — უპასუხა მოხუცმა, უფრო მოიხარა წელში და იგრძნო, ნაპრალიდან სიცივემ როგორ დაჰკრა სახეზე.

— პატიოსანი კაცის სახელი კი შეიძლება ჩაიღუპოს აქ, არა?

ჩამუხლული მოხუცი გაირინდა, კლდის ბნელ ნაბზარებში თვალის ცეცება დაიწყო:

— მაგას რაზე ამბობ?

— იმაზე, რომ, შესაძლოა, ბიძათქვენი სულაც არ იყო უხეირო კაცი...

მატიასს ცოტა მოეშვა გულზე. აკვიატებული აზრი დ-ღხანს აწვალებდა. ამ აზრის თავიდან მოსაშორებლად გამოქვაბულში ხელების ფათურსა და ძირს დაფენილი ფრინველის სკლინტის ქექვას მოჰყვა.

— იქნებ ჩემი ძმაც ბიძათქვენივით ავაზაკი იყო, — არ ისვენებდა უცნობი.

მოხუცი სწრაფად გასწორდა წელში, მაგრამ გამბედაობა არ ეყო, რომ შებრუნებულიყო უცნობისკენ. ისევ წელში მოიხარა, რუხ ნაბზარებს თვალი ვერ მოწყვიტა. ნაპრალიდან სიცივე სცემდა სახეში, ძარღვებში სისხლი გაეყინა.

— ჩემი ძმა რევოლუციონერი იყო და რევოლუციის საქმეს აკეთებდა.

მოხუცი სულ იმას ცდილობდა, თავიდან როგორმე მოეშორებინა ის საბედისწერო აზრი, ლამის ტვინი რომ გაუხვრიტა. ამის თქმაღა მოახერხა:

— ასეთი ბედი ბევრს ეწია.

მაგრამ უცნობმა უფრო აუმაღლა ხმას:

— დიახ ბევრს ეწია, იმიტომ რომ ქვეყნად ჯერ კიდევ ბოგინობენ გამცემელი ნაძირალები; ისინი პოლიციას იმ ადგილს ასწავლიან, სადაც პატიოსანი კაცი თავს აფარებს.

მატიასმა მეტს ველარ გაუძლო. სწრაფად წამოდგა, მიბრუნდა და უცნობის შემართულ ხელს მოჰკრა თვალი.

— ვისენტე მატიას, ჩემი ფულიც იმ ფულთან შეინახე!..

გასროლის ყრუ ექომ გამოქვაბული შეაზანზარა, ღამურები დაფრთხნენ და დაფეთებულები მიაწყდნენ მის კედლებს.

ნინო

მიცვალებულის დაკრძალვას არავინ დაჰკლებია. სახლი შორს, სოფლის განაპირას იდგა. დაკრძალვაზე კაპიტანიც მოვიდა, ალკალდიცა და რამდენიმე ჯარისკაციც. კუბო შუა ოთხში იდგა. მიცვალებულს გალურჯებულ სახეზე ეტყობოდა, რომ გაგუდული იყო. ოთახში ქალები მოთქვამდნენ, ძველ სავარძელში ფეხშიშველა ბიჭი მობღუნძულიყო და ,ეძინა.

ეზოში გავედი, მთვარისაგან ზურგშექცევით ჩამოვჯექი სკამზე და ჭას დავეყრდნე. მუდამ პირქუში და უკარება მოხუცი ხულიანო ბარერასიც იქ იყო. ხალხის ნაკადი არ წყდებოდა, მოსულები ჯგუფებად იყრიდნენ თავს და იწყებოდა სჯა-ბაასი:

— სამუდამო კატორღა რომ აკმარონ, ეგეც დიდი შეღავათია...

— იქნება დახვრიტონ კიდეც...

— გაქცევას რომ დააპირებს, მაშინ მოკლავენ...

— გაგონილა ასეთი რამე, ჟანდარმზე აღმართო ხელი?! — გაიოცა ვიღაცამ.

მერე ქალებზე, ალკალდზე და კაპიტანზე ჩამოაგდეს სიტყვა. ერთი რამ ყველას უდავოდ მიაჩნდა — ნინომ ნამდვილად მხეცური საქმე ჩაიდინა. კაროლინოელმა ნინომ სელორიო რამოსი მოკლა. რანაირად მოხდა მკვლელობა, დაწვრილებით არავინ იცოდა. მხოლოდ იმას ამბობდნენ, რომ ნინოს მკვდარი კაცი თვითონ მოუკიდია ზურგზე, სოფლის ჟანდარმერიაში მისულა და ისეთი რაღაც უთქვამს, გამეორება არავის არ უნდოდა.

მოხუცმა რუპერტიმ, რომლის თვალწინ გაიზარდა სელორიო, თავშალი მოიხურა და ქვრივს მიუსამძიმრა:

— გულს ნუ გაიტეხ, შვილო, მაღალი ღმერთი ყველას მიუზღავს კუთვნილს!

კაპიტანმა მუხლზე დაიკრა ხელი და გაბრაზებულმა წამოიძახა:

— მოდი და ამის შემდეგ ენდე ასეთ ხალხს. ჩამოხრჩობის ღირსია.

— თანაც დაუყოვნებლივ! — კვერი დაუკრა ალკალდმა, მთელი არსებით რომ ცდილობდა უფროსის გულის მოგებას.

ამ დროს კაპიტნისა და ალკალდის ცოლები მოდაზე ლაპარაკში იყვნენ გართულნი.

ჟანდარმერიის მწერალმა ლუსიო ბერმუდესმა, საზიზღარმა, უვიცმა, გაქნილმა და გაიძვერა ტიპმა, რომელიც მიცვალებულთან გამოსათხოვებლად სამსახურიდან დიდის ამბით განთავისუფლებულიყო, საიდანღაც წამოყო თავი და გადაჭარბებული აღტკინებით წამოიძახა:

— აკი გული მითქვამდა, ეს ნინო აუცილებლად იმსხვერპლებს ვინმესო. თუნდაც, მარტო ისა ვთქვათ, თავისი მიწის ნახევარზე მეტი სხვებს წაჰგლიჯა.

ის მზაკვარი ისეთნაირად გაჰყვიროდა, მე და მოხუც ხულიანოს ეზოში გვესმოდა მისი ყოველი სიტყვა. ხულიანოს შევხედე, იმან მხოლოდ ესა თქვა:

— უყურე ერთი, რას არ გაიგებს კაცის ყური.

ამ ხანდაზმულმა კაცმა ჭკვიანური ლაპარაკი იცოდა და ამისათვის პატივსა ვცემდი.

— კი მაგრამ, მოხუცო, თქვენ არა გჯერათ, რასაც ნინოზე ამბობენ?

მოხუცი ჩემკენ შემობრუნდა, ახლა მთვარის შუქით მოვერცხლილ მის შლიაპასა და ამ შლიაპის ჩრდილში სიგარეტის პატარა, წითელ ნაღვერდალს ვხედავდი.

— დამერწმუნეთ, ვისაც მოთმინების ფიალას აუვსებენ, ყველა ნინოსავით მოიქცევა.

და მოხუცმა ყველაფერი ისე მიამბო, როგორც მოხდა:

„ნინო ჟანდარმერიიდან ნახევარ კილომეტრზე ცხოვრობდა. საკუთარი ნაკვეთი ჰქონდა. მაღალი, ფესვგამდგარ მუხასავით ჩადგმული კაცი იყო. ალალი სახე და დიდი, ნათელი თვალები ჰქონ-

და. სახე სულ ულიმოდა. მარტოხელა კაცი იყო. სახლი ლერწმიანში ედგა. მისი სახლის წინ ზამთარ-ზაფხულ ყვავილები ყვაოდა. ყველამ იცოდა, რომ მაისის თვეში მის ბაღში მანგოს მოსაპარად გადაპარულ ბიჭებს წაუყრუებდა ხოლმე. ჭირის გაძლებაც იცოდა და ლხინისაც. დაუღალავად ამუშავებდა თავის მიწის ნაკვეთს და მოვარის და სხვა ნიშნების მიხედვით მთელი წლის აბინდის წინასწარ განსაზღვრას ცდილობდა. ყველაფერი, რაც იმის კარ-მიდამოში იყო — ჭიაყელებით გატენილი, ნესტიანი შავი მიწიდან დაწყებული, უღელი ხარითა და ურმით დამთავრებული, — ყველაფერი. საკუთარი ოფლით ჰქონდა მონაგარი და იმას ეკუთვნოდა.

აი, ასეთი იყო ნინო, მაგრამ იმასთან ურთიერთობაში კაცს დიდი თავაზიანობა მართებდა. ლაზღანდარობა არ უყვარდა, თუკი რაღაც ჭკუაში არ დაუჯდებოდა, თვალებში რისხვის ნაპერწკალი ჩაუდგებოდა ხოლმე. სელორიო რამოსმა კარგად იცოდა, როგორი უნდა ყოფილიყო ქანდარმი, ადამიანის ხასიათის გამოცნობა კი, სამწუხაროდ, ნაკლებად შეეძლო.

ერთ საღამოს კაპიტანმა რამოსს უბრძანა, ქანდარმერიის ეზოში ნაკვეთის დასამუშავებლად უღელი ხარი სთხოვე ვინმესო. სელორიომ კაპიტანს ბრძანებაზე სამჯერ დაუქნია თავი, გავიგეო, და, საუბედუროდ, არჩევანი ნინოზე შეაჩერა, თუმცა ახლომახლო ბევრი ხათრიანი გლეხი ცხოვრობდა. ნინო იმ საღამოს სიგრილეს დაშურებოდა და მიწის მოსვნა გადაეწყვიტა. კაპრალი მივიდა ნინოსთან, თვალი დაადგა გუთანში შებმულ ხარებს და უბრძანა:

— გამოუშვი, კაპიტანს სჭირდება!

ნინომ ხელით ოფლი მოიწმინდა და მიუგო:

— მეც რომ მჭირდება!

— ღიდი ხნით კი არ უნდა.

— დიდი ხნით უნდა თუ ცოტა ხნით, ხარებს ახლა ვერავის გავატან.

კაპრალმა მუქარით შემართა ხელი, მაგრამ თავი შეიკავა და უთხრა:

— არ დაგავიწყდეს, კაპიტნის გამოგზავნილი ვარ.

ნინომ თავი ასწია, მზის შუქი სამკუთხედად დაეცა საფეთქელზე, თვალები ნაკვერჩხალივით აენთო.

— თვით მამა ღმერთის გამოგზავნილიც რომ იყო, მაინც ვერ გაგატან!

ახლა კი გაბრაზდა სელორიო, ნინოსკენ გაიწია და დასჭყივლა:

— ან გამატან ხარებს, ან არა და თვითონ გაგიგდებ წინ, შე შტერო, შენა!

აბა, ნინოსთან ასეთი ლაპარაკი როგორ შეიძლებოდა! თვალის დახამხამებაში მიეჭრა ჟანდარმს, ქამარში სწვდა და თავს ზევით აიტაცა:

— უდღეურო, მაგის ძალა ვინ მოგცა! — გამოსცრა კბილებში და ჟანდარმი ძირს დაანარცხა. მერე ზურგი შეაქცია, თითქოს გამხმარი ფესვი მოგლიჯა და გადააგდო. ეს კი ვერ მოუვიდა კარგად, ზურგი რომ შეაქცია, ჟანდარმმა აიღო მაჩეტე და დაჰკრა მარცხენა ბეჭზე. მეტი ვერაფერი გააწყო ამ ბუმბერაზთან. მერე მას ნინოს მძლავრი, მძიმე ხელი სწვდა ყელში და მიწას გააკრა.

ადამიანს ცალი ხელიც ეყოფა! ცალი, მარჯვენა ხელი! ნინომ ახლად გავლებულ, ჯერ კიდევ თბილ ხნულში ჩატენა სელორიოს თავი. ჟანდარმს ამოვარდნაზე ჰქონდა დასისხლიანებული თვალები, რაღაცას უაზროდ მისჩერებოდა ზევით და კოტიტა თითებით ბუმბერაზის სხეულს ჩაფრენოდა, მარჯვენა ხელით დაჭრილ მხარზე ჩაბღაუჭებოდა. ნინო კი თითქოს გახევებული იყო.

აი, როგორ მოხდა ეს ამბავი. მერე წამოდგა, იმავე მარჯვენა ხელით გაგუდული კაცი დაჭრილ მხარზე მოიგდო და ჟანდარმთა სამმართველოში წაიღო. ტკივილსა და სისხლს აინუნშიც არ აგდებდა.

ბინდდებოდა, სამმართველოს რომ მიაღწია. მორიგე ჟანდარმმა უბრძანა, შესდექიო, მაგრამ ნინომ ყურადღება არ მიაქცია და პარმაღისკენ გაემართა. როცა გამოღებული კარიდან დაცემულ შუქზე კაპიტანმა ნინო შენიშნა, გარეთ გამოვიდა მის შესახვედრად, ნინომ კი ტვირთი ფეხებთან დაუგდო და უთხრა:

— ასეთი ხარი თუ შინ გყავდა, სხვისი ხარეპის სათხოვნელად რაღას გზავნიდი!

აი, ეს მიამბო მოხუცმა ხულიანომ. დილის სამ საათზე ლუსიო ბერმუდესი პაპიროსის მოსაკიდებლად გამოვიდა გარეთ. მოხუცი მოკიდებული სიგარეტით წინ დაუდგა და, როცა ჟანდარმმა სთხოვა, მომაკიდებინეო, ხულიანო ბარერასმა თვალი თვალში გაუყარა, ნამწვი პირიდან გამოიღო და მიწაზე ისროლა.

დიდი ხნის შემდეგ

...ახლა კი მოდი და მეხსიერებიდან წარმიხოცე
იმ დღეთა ფეხქვეშ გათელილი სიხარული

მ ა ნ უ ე ლ ა

იმ საღამოს ჩემი სამშობლო სოფლიდან კაცი გვესტუმრა და. რასაკვირველია, ჩვენც იქაური ამბების გამოკითხვა დავუწყეთ. ბა-ბამ (მან ახლახან დაანება სამსახურს თავი და პენსიის დანიშვნაზე ჩალიჩობდა) დაიწყო:

— ხიმენესები ხომ კარგად არიან? კარ-მიდამოს რამე მოუ-ხერხეს?

— ცოტაოდენ მოსავალს იწევენ, დონ ბრაულიო, ეტყობა, მი-წას ასეთი მოპყრობა არ უყვარს.

ჩემმა დედინაცვალმა, ხანში შესულმა. სიტყვაძვირმა ქალმა, თავი ასწია და რაღაცის კითხვა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, თავისი წამლის შუშა აიღო და ხმარების წესების კითხვა დაიწყო.

მამაჩემმა თავის ქნევით განაგრძო საუბარი:

— აი, მამაჩემმა კი, ნამდვილად. კარგი მოსავლის მოყვანა იცოდა.

მე კართან ვიდექი, წასვლას ვაპირებდი, მაგრამ მეხსიერება-ში უცებ ამოტივტივებულმა მოგონებამ შემაჩერა და სტუმარს ვკითხე.

— სუსანა რასა იქს? ისევ სოფელშია?

ვიდრე ჩვენი სტუმარი მიპასუხებდა. დედინაცვალმა შუბლი შეიკმუხნა და სწრაფად გამომბეჭდა წარბებქვეშიდან ისე. რომ ჩემი

საბის გამომეტყველებისათვის მოეკრა თვალი და მისი გამოხედვაც შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მე მოველოდი ამ გამოხედვას.

სუსანა გასულ წელს გარდაცვლილა.

— გარდაიცვალა?! — წელში გავიმართე და ხელი ისე ავიქნიე, ფიქრობს ამ ცნობის განდევნას ვაპირებდი, უნებურად გავიმეორე კიდევ. — გარდაიცვალა! შეუძლებელია...

მამამ სიტყვა გამაწყვეტინა.

— რაო, ბიჭო, ძალიან დაგწყდა გული?

— დამწყდა! — ვუპასუხე და გავჩუმდი, მაგრამ ძლიერი, თითქმის მტანჯველი სურვილი მაწუხებდა; მინდოდა გამეგო, რას იტყოდა ჩემი დედინაცვალი, ის ხომ უკვე მოხუცდა და ოჯახი უწინდებურად ვეღარ ეჭირა ხელში.

— მანუელა, შენ რაღას იტყვი?

მაგრამ ის არც არაფერს ამბობდა და არც არაფერს ფიქრობდა, თავსაც არ იღებდა ზევით, წამლის შუშას თვალს არ აცილებდა. მამას შეშფოთება შევამჩნიე სახეზე: შეეშინდა, ცოლმა არ იფეთქოსო. რაკი დედინაცვალმა პასუხი არ მაღირსა, სტუმარს მივუბრუნდი, სტუმარი ამ დროს ჩვენი სოფლიდან წამოღებული ლიმონის შეკვრას დებდა მაგიდაზე.

— ვინ გითხრათ, სუსანა გარდაიცვალაო? თქვენი თვალით ნახეთ?

— რა ღმერთი გაგიწყრა, ბიჭო, აბა, რას ეკითხები, — დამტუქსა მამამ, — ეს კაცი მისი არც ნათესავი ყოფილა და არც ახლობელი...

მამა მთლად დაიბნა. ნაძალადევი ღიმილით ცდილობდა მღელვარების დაფარვას. მე თავი ისე დავიჭირე, ვითომ ვერაფერს ვხვდებოდი. სტუმარიც განაბული იჯდა. დედინაცვალი ისევ წამლის შუშას ატრიალებდა ბებრულ ხელებში და თავს არ იღებდა მაღლა.

— დონ ბრაულიო, თუ მართალი გინდათ, მე ნამდვილად...

— რა „ნამდვილად“? — ჰკითხა მამამ. სოფლელმა სტუმარმა უპასუხა:

— ისა რომ, მართლა არც ნათესავი ვყოფილვარ მისი და არც მახლობელი, ასე გასინჯეთ, ხეირიანად არც კი ვიცნობდი, მაგრამ

იმის სიკვდილს მაინც დავესწარი, ეტყობა, ასეთი იყო განგების ნება.

სწრაფად გადავხედე დედინაცვალს, თუმცა სტუმრის სიტყვები კარგად გაიგონა, მაინც დუმდა. მერე წინ გადაიხარა, შუშა მაგიდაზე დადგა და ქმარს მიმართა:

— მგონი, ამ წამალმა უნდა მარგოს.

მამამ რაღაცის თქმა დააპირა. შემეშინდა, სიტყვა ბანზე არ ამიგდონ-მეთქი, და მანუელას გასაგონად, განგებ მოურიდებლად და ხმამაღლა ვიკითხე:

—შემთხვევით, სუსანა შიმშილით ხომ არ მოკვდა?

— სუსანას სახლში შიმშილი შემთხვევითი სტუმარი არა ყოფილა.

— მაშ, სულის მოსათქმელად ერთი პეშვი ბრინჯიც არ ებადა სუსანას?

მოვარტყი, ნამდვილად მოვარტყი! ისარი, ამდენ ხანს რომ ვუმიზნებდი, როგორც იყო, შიგ გულში მოვარტყი... ვიდრე სტუმარი რამის თქმას მოასწრებდა, დედინაცვალი ჩემკენ შემობრუნდა. სასოწარკვეთილმა შემომხედა და ცრემლიანი თვალებით კარგა ხანს მიყურა. მის გამოხედვაში ხანდახბული, ავადმყოფი აღამიანის მთელი ტანჯვა-ვარამი გამოსჭვიოდა. შევნიშნე, რომ მამაჩემი უსიამოდ შეიშმუშნა. მან ჩინებულად იცოდა ცოლის ხასიათი, კარგად ხვდებოდა, რა ფიქრიც აწუხებდა მის ცოლს, რაც უნდოდა, მაგრამ ვერაფერს ამბობდა. ერთ ხანს ყველა დავდუმდით. მანუელა ისევ თავის თავში ჩაიკეტა, კვლავ მოგვესმა სტუმრის ხრა.

— საბრალო სუსანა ერთიანად ჩამოხმა, ძალიან ცოტას, ზოგჯერ სულ არაფერს არ ჭამდა. შვილები ბევრი ჰყავდა. თანაც ყველა ჯანმაგარი ბიჭი იყო. ისინი თანდათან შემოეფანტნენ. ზოგი საით წავიდა და ზოგი — საით. უმცროსი. ჩვიდმეტი წლის ბიჭიც ძმების კვალს გაჰყვა. ბრინჯი კი არა, იმ გომურივით ქოხში, სადაც სიკვდილიც კი საშინელი იყო. წყალიც რომ ედგა. ისიც გვიკვირდა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, შვილებზე ძვირი არასოდეს წამოსცდენია. შორს არიან ჩემგან, იმათ თავიანთი საზრუნავიც ეყოფათ, ჩემთვის არა სცალიათო, ამით ამართლებდა ხოლმე.

ჩემმა დედინაცვალმა თავი დახარა. ეტყობოდა ძალა გამოელია, ნერვებმა უმტყუნეს. მაგრამ მე ბოლომდე მინდოდა საქმის ბოლოკანა და სტუმარს ვკითხე:

— როგორა გგონიათ, ცოტაოდენი ბრინჯი რომ ჰქონოდა, გაიტანდა თავს?

დედინაცვალი წელში გაიმართა. ვიმედოვნებდი, გულის სიღრმეში მწარედ ნანობს დიდი ხნის წინათ ჩადენილ უკეთურ საქციელს-მეთქი. იმედი მქონდა, რომ ცდა ამაოდ არ ჩამივლიდა, მაგრამ უცებ მის ხმაში და თავდაჭერაში ადრინდელი უტეხი ხასიათის ძალა ვიგრძენი. მან მთლიანად მიიპყრო მოკრძალებისაგან გაჩუმებული სტუმრის ყურადღება და იმაში დარწმუნებულმა, რომ ქმარი თვალებში შესციცინებდა, თქვა:

— სუსანა ხელმრუდე იყო.

— მართალს ამბობთ, მანუელა. სუსანა რომ ხელმრუდე იყო, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ, როგორა გგონია, არ შეიძლება შიმშილმა ადამიანს ქურდობა ჩაადენინოს?

ახლა კი მე და ჩემი დედინაცვალი პირისპირ დავდექით. მამა შეშინებული მომაჩერდა, ვგრძნობდი მის მზერას. მაგრამ რაკი შევუტიე ჩემს დედინაცვალს, უკან აღარ დავიხევდი. ახლა ჩვენ იმ ჭნიშვნელოვანი და დიდი ამბისათვის შევეტაკებოდით ერთმანეთს, რაც უამრავ ყოველდღიურ წვრილმანში ვლინდებოდა და რაზედაც ყოველდღე ვკინკლაობდით.

— ქურდობის უფლება არავის არა აქვს. სუსანას მიეზღო თავისი. დრო მოვა და მაგ მწარე ენისთვის შენც მოგეზღვება კუთვნილი.

— სამაგიეროდ, თქვენ ახლა იზღავთ თქვენსას. მანუელა. რატომ არ გინდათ, დაუშვათ, რომ თერთმეტი წლის წინ ყბადაღებული ერთი პეშვი ბრინჯი, შეიძლება შემთხვევით ჩარჩენოდა კოფთის ჯიბეში.

მეტი რომ მომივიდა, ამას მამაჩემის სახის გამომეტყველებაზე ვხვდებოდი. ხოლო ამ ქალს მეტის ატანა რომ აღარ შეეძლო, ანას მისი თვალები და გამოფიტული სხეული მეუბნებოდა. ჩემი დედინაცვალი ფეხზე წამოდგა, სახე მთლად დაეღრიცა და აცახცახებულმა მკერდზე იტაცა ხელი.

— სიტყვებს ცოტა ჭკუაც მიატანე, ბიჭო! — მამაჩემმა დაბარბაცებულ ცოლს შეაშველა ხელი.

— ფრთხილად, მანუელა, მხარზე დამეყრდნე.

ჩემს დედინაცვალს ხველება აუტყდა, აუტანელი ტკივილისაგან წელში მოხრილმა ქმარს ანიშნა, საწოლ ოთახში წამიყვანეო. მამაჩემი თავზე ევლებოდა ცოლს. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. აღელვებული და ხასიათწამხდარი მამა მხარში ამოუდგა მანუელას და თითქმის ხელში აყვანილი წაიყვანა, ლამის წელში გაეწყვიტა ქალის განაწამები სხეულის სიმძიმეს.

სტუმარს დავაკვირდი. ის მორიდებით გვადევნებდა თვალს, ამ ზრდილობიანი გამომეტყველების იქით მისი აზრები ყავიკითხე. „ყოველთვის ასეთი უცნაურები ყოფილან“, ალბათ ასე ამბობდა გულში. სხვათა შორის, სოფლელებიც ახირებულ ადამიანებად გვთვლიდნენ.

თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, მოულოდნელად სუსანა დამიდგა თვალწინ: „იგი საყვედურით მიქნევდა დიდ, შავ, კეთილ თავს, სწყინდა, ამბელა კაცმა უკეთესი რომ ვერაფერი მოვიფიქრე. მერე მამის ფეხის ხმა შემომესმა, მამა საწოლი ოთახიდან გამოდიოდა. მე მწარე ლანძღვის მოსასმენად მოვემზადე. ახლა კი თავისებურად იფეთქებს-მეთქი, ვფიქრობდი. მამაჩემი ასეთ დროს შვილს გაიმეტებდა სასიკვდილოდ. მაგრამ მოლოდინმა არ გამიმართლა. კარებისკენ მიმავალი რომ გამისწორდა, მაშინღა ვკითხე:

— რა დაემართა?

— ექიმის მოსაყვანად მივდივარ. შენ აქ დარჩი. — მომაძახა და გარეთ გავიდა.

შეშინებულსა და აფორიაქებულ მამაჩემს სიტყვა არ დაუბრავს სასაყვედუროდ. რასაც არ მოველოდი, სწორედ ის მოხდა. ყველაფერს მივხვდი და დალონებული ვუყურებდი საწოლი ოთახის ჩაკეტილ კარს.

ჩემს დედინაცვალს რომ სიცოცხლე აღარ ეწერა, ცხადი იყო. მამაჩემი კი თავს არ უტყდებოდა. ასე ეგონა, თუ ცოლის ცუდად გახდომას მე დამაბრალებდა, ამით საშინელ წუთს დროებით მაინც აიცილებდა თავიდან. მაგრამ აკი თავისი თვალით ნახა ყველაფერი. მამამ ძალიან კარგად იცოდა მანუელას ჯანმრთელობის

— ასეთ ძეწკვებს გამოსაცნობად ჰკიდებენ ჯარისკაცებს. ეს ჩქვენი შვილისა იყო.

— იყო?!

ლუკასმა კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო და იგრძნო, ვერც ვერასდროს მიიღებდა. მერე კაპრალმა ისეთი გაჭირვებით ასწია თავი, იტყოდით, ყაზარმის ჭერი მთლიანად მას დააწვა კისერზე, და უთხრა:

— ბრძოლის ველზე დაეცა, მოხუცო.

კარგად უნდა გცოდნოდათ ლუკასის ხასიათი, რომ გაგეგოთ, ასე რატომ მოიქცა! იქ მყოფთა შორისაც არავინ მოელოდა, რაც მან ჩაიდინა. ლუკასმა სწრაფად შეაქცია ზურგი კაპრალს და, სანამ ის კარებთან დაწევას და შეჩერებას დააპირებდა, უკვე უნაგირზე იჯდა. მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია. ლუკასი მაშინღა მოეგო გონს, როცა ცხენმა დონ ფედერიკო ლუნას ბოგირი გადაიარა. — ფიცარნაგზე ფლოქვების ხმაურმა გამოაფხიზლა ისევ.

...გავიდა ხანი. ერთ დილას დაბაში კაპრალი რომ ჩამოვიდა და მოხუცი ლუკასი იკითხა, ფორთოხლის ხეს ტოტის შენაჭერზე კანი უკვე სანახევროდ შემოზრდილი ჰქონდა და ლუიზას ყვავილი[1] ისე იყო მოდებული არემარეს, რომ ყვავილნარში შროშანს აღარ ახარებდა.

კაპრალს ძაძით მოსილმა დედაბერმა გამოხედა სახლიდან და უთხრა:

— რა ვიცი, სად აღარ დაეხეტება. ხან თამბაქოს ფარეულშია, ხან ფარეხში. ისეთ ადგილებს ეტანება, საღაც ხალხი ნაკლებადაა. ლაპარაკს გაურბის.

კაპრალმა მადლობა გადაუხადა და ცხენი შაქრის ქარხნისაკენ გააქანა. ადვილად იპოვა მოხუცი. ჭას მიყრდნობოდა და გუთანს საბელურს ხსნიდა. კაპრალი ერთ ხანს დაჟანგულ სახნისს უყურებდა. მერე ცხენს სადავე თავზე გადაუგდო და ლუკასის გვერდით ჩამოხტა.

— რასა იქ, ბერიკაცო?

— რა ვიცი, ვჩალიჩობ ჩემთვის.

ლუკასი ხმაჩავარდნილი, მაგრამ გულდაჯერებით ლაპარაკობ-

---

[1] ლუიზას ყვავილი — ვერბერის სახის ბალახია, ლიმონის სურნელი უდის.

და. უკვე აღარ იყო ძველებური ლუკასი და აღარც ხმა ჰქონდა თავისი, თავის საქმეში გართული სულ სხვა კაცს მოგაგონებდათ.

— ხელი უნდა გამიმართო, ლუკას, ამაზე მოგადექი...

— რაში დაგჭირდით?

— ჩვენი სამსახურის აბბავი ხომ იცით, ეფროსები წუთით არ გვასვენებენ. ხან კოჭები დაგვიმზადეთო, ხან სიები შეგვიდგინეთ სასწრაფოდო. ასეთო ნაბრძანები, გვეუბნებიან. ბიჭი ხარ და ნუ შეასრულებ!

— მერე, ბატონო?

— მერე ისა რომ... ხომ იცით, ომი გრძელდება...

— ვიცი.

— აი. ჩვენი საქმე კარგად რომ წავიდეს, ამისათვის რკინის ყველა უსარგებლო, გადაყრილი, დაჟანგული ნივთი უნდა შევაგროვოთ.

— მერე, ბატონო?

— ცხადია, სელაც არ მინდა, სხვებს ჩამოვრჩეთ. ცოტაოდენ რკინეულობას ჩვენც უნდა მოვუყაროთ თავი. სამრეწველო რაიონში რომ ვცხოვრობდეთ. რომელიმე ქარხანაში, გაგიხარია, რამდენსაც მოვინდომებდით. იმდენ ჯართს ვიშოვიდი ერთბაშად.

— მართალია, ბატონო!

— მაგრამ არაფერია... — კაპრალმა მოხუცი ლუკასის მუხლებში მოქცეულ სახნისს დაადგა თვალი და ერთ ხანს გაჩუმდა. — ცოტა იქნება თუ ბევრი, როგორმე ჩვენც შევაგროვებთ ნაჭერ-ნაჭერ. აი, თქვენც რომ მოგეცათ რამე, თუნდაც... ეგ სახნისი.

— ეს სახნისი, კაპრალო?

— ჰო ეგ სახნისი. თუ სხვა რამე მოგეძევება და იმასაც დაუმატებ, კარგი იქნება.

ლუკასმა არაფერი უპასუხა, თვალს არ აცილებდა კაპრალს. მერე გუთნის საბელურს ხელი ჩასჭიდა და დამარცვლით იკითხა:

— მითხარით... რად გინდათ ეს რკინა?

— იმისთვის რომ ომში გავიმარჯვოთ. ამბობენ, ქვეყნის რკინა რომ შეაგროვოთ, მაინც არ ყოფნითო...

— ხალხის დასახოცად არ ყოფნითო, არა?

— ეგრეა, ლუკას.

გაჩუმდნენ. კაპრალი პერესი ვერ ხედავდა მოხუცის თვალე-

ამპავი და უნდა მიბაძულიყო, რომ მისი წუთები ითვლებოდა. რა გზას დავდგომოდი, არ ვიცოდი: სიკვდილის მოლოდინი ერთია, ოვითონ რომ ესწრები სიკვდილს, ეს კიდევ სხვაა. თანაც სიკვდილი ისეთი სასჯელია, რომ მანუელამ უკვე მოწამეობრივი გვირგვინი დაიმსახურა და ჩვენი ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა.

ისევ სუსანა გამახსენდა. ამჯერად აცრემლებული გამომეცხადა. ვხედავდი, როგორ იფანტებოდა ბრინჯი, როგორ ცვიოდა მის დაჯღანულსა და ჩემი დედინაცვლის კოხტა ფეხსაცმელებზე... სხვა რაღა დამრჩენოდა, იმ ოთახის კართან უნდა ჩამოვმჯდარიყავი, რომლის იქითაც სულთმობრძავი დედინაცვალი იწვა. დრო ხან ელვის სისწრაფით გარბის, ხან მტანჯველად ჭიანურდება... ბოლოს გათავდა მოლოდინის წუთები — ფეხის ხმა შემომესმა. კარისკენ შემოვბრუნდი და, ექიმსა და მამაჩემს მოვკარი თვალი. მამა დაწინაურდა, კარი გაიღო, ექიმი გაატარა, თვითონაც შეჰყვა და კარი მოხურა. ისევ გამეფდა სიჩუმე, ისევ გაჭიანურდა დრო. ჩვენმა სტუმარმა გვერდზე ჩამიარა, წინკარში გავიდა, იქიდან ფარფლებიანი ქუდით შემობრუნდა. ექიმი ისე წასულა, ვერ გავიგე. მამის ხმამ გამომაფხიზლა. თავს დამდგომოდა და მეუბნებოდა:

— გამომყევი!

გავყევი. სამზარეულოში შევედით. მამა თვალებში მიყურებდა. ამაოდ ცდილობდა ჩემს სულში ჩახედვას. სახეზე არაფერს ვიმჩნევდი.

— შეუშვი მაგ თავში, ქალი საცაა გათავდება! — მითხრა მამამ, და თავისივე ნათქვამით შეშინებული უცებ გაჩუმდა. არ ვიცოდი, რა მეპასუხა. გონების თვალით ისევ წარსული ამოტივტივდა, გამახსენდა ჩვენი გაუთავებელი დავა და ჩხუბი. ანაზდად მისი ხელები წარმომიდგა თვალნათლივ, ისინი სუსანას კოფთას ჩაფრენიან და ჯიბეს უბრუნებენ; ვხედავ, ჯიბიდან გადმოფანტული ბრინჯი როგორ ცვივა მის ფეხსაცმელებზე და როგორ ეფინება მიწას.

— შედი, შენი ნახვა უნდა. — პირქუშად მიბრძანა მამამ.

უსიტყვოდ დავემორჩილე. შევბრუნდი და საწოლი ოთახის-

კენ გავემართე. თვალში ჩვენი სტუმრის სახე მომხვდა. ეს კაცი უსიტყვოდ იდგა სასტუმრო ოთახში და, ეტყობოდა, ეს დღე ავად დამთავრდებოდა თუ კარგად, აქედან ფეხს მაინც არ მოიცვლიდა. როცა მის თავჩაქინდრულ, დადუმებულ ფიგურას შევხედე, აზრმა გამიელვა: „ეტყობა, ამ კაცს ასეთი ბედი აქვს". ბოლოს, კარი გამოვაღე და ოთახში შევედი. ყველაფერი, რაც ამ ქალთან იყო დაკავშირებული — კედლები, საწოლი, სურათები, წამლები — ყველაფერი თითქოს უცებ დამშორდა. ჰაერში ახლახან გატეხილი ამპულის მკვეთრი სუნი ტრიალებდა.

თანდათან ჩემი დედინაცვლის სახის დანახვა მომინდა. ჯერ ზეწარგადაფარებულ ფეხებს გავხედე, მერე ზევით ავაყოლე თვალი და მკერდს მივაჩერდი. აი, იქ არის გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა-მეთქი, ვიფიქრე. ავადმყოფი ჰაერს რომ ჩაისუნთქავდა, ზეწარი ზევით იწევდა და ასე ამობერილი ჩერდებოდა, თითქოს ერთი ჩასუნთქვაღა სჭირდებოდა ფილტვებსო, მაგრამ ზეწარი ისევ იჩუტებოდა, დაბლა იწევდა, თითქოს უკანასკნელად ეშვებაო ძირს... და მერე ისევ ნელა, გაჭირვებით მიიწევდა ზევით.

მე გამობრუნებას ვაპირებდი, მაგრამ მანუელამ ხმადაბლა, ძლივძლივობით დაიწყო ლაპარაკი, ზოგიერთი სიტყვების გარჩევა მიჭირდა, ბოლოს მკითხა:

— სუსანა რომ არ ყოფილიყო, ხომ სულ სხვანაირად ვიცხოვრებდით?

— არ ვიცი.

— მე კი ვიცი, — მითხრა მან და თითქოს სული მოითქვა, უკეთესობა იგრძნო, სუნთქვა გაუადვილდა, გონება გაუნათდა.

— ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა, მთელი ჩვენი ცხოვრება სხვანაირად წავიდოდა.

თვალი გაახილა, ჭერს მიაპყრო და გაირინდა.

— გახსოვს ის დღე?

— ჰო, მახსოვს, — ვუპასუხე მკვახედ. რადგან ჩვენ სხვადასხვანაირად გვახსოვს ის დღე.

— ისე არ უნდა მოქცეულიყავი, არა?

— ჰო, სულ არ იყო საჭირო ისეთი მოქცევა, მაგრამ მაშინ შენ რაც მოგეპრიანა, ის გააკეთე. წარმოგიდგენია, რა სულიერი

ტკივილი უნდა ეგრძნო ორმოცი წლის ქალს, რომ ბავშვივით ატირებულიყო? გახსოვს, რანაირი სახე ჰქონდა მაშინ?

გაცხარებული, გაბოროტებული ვლაპარაკობდი, თავს ვერ ვიკავებდი. ნათქვამი უკეთესად რომ გამეგონებინა, მივუახლოვდი კიდეც ბის საწოლს. მაგრამ მანუელას სახე უცვლელი დარჩა. არ ვიცი, იქნებ უკანასკნელ ძალას ზოგავდა, ან, იქნებ, მოგონებას მტკივნეულად აღარ განიცდიდა. ყოველ შემთხვევაში, ლაპარაკი ისე განაგრძო, თითქოს არც კი გაეგონოს ჩემი ნათქვამი.

— არ მახსოვს, რა სახე ჰქონდა. მე მაშინ შენ გიყურებდი. მესმოდა. როგორ ტიროდა სუსანა და შენთვის რომ არ შემომეხედა, ისეც ვიგრძნობდი, რა დღეში ჩავარდებოდი.

— ასე იყო თუ ისე, ხომ დაინახე, რა დღეც მაღგა!

— ძალიან იყავი განაწყენებული.

— განაწყენებული კი არა, გაცოფებული ვიყავი.

— მახსოვს.

— ხომ იცოდი, რომ სუსანა ჩემი ძიძა იყო, დედის მაგივრობა გამიწია: რაღა მაგივრობა, ნამდვილი დედა იყო ჩემი.

ამაზე მანუელამ არაფერი მიპასუხა. მერე, კარგად რომ დავენახე, თავი გადმოაბრუნა ჩემკენ და საოცრად თვინიერი ხმით მკითხა:

— გინდა, სიმართლე იცოდე?

— მინდა, — თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, სხვა რა გზა მქონდა. უნდა მომესმინა, თუმცა მისი ჩახლეჩილი ხმა სულაც არ მსიამოვნებდა. მანუელამ დაიწყო:

— სანამ ცოლს შერთავდნენ, მე ვუყვარდი მამაშენს... სხვებმა აგვიწეს გზა-კვალი... პაპაშენის მამულში მოხდა... მის კარ-მიდამოში... მამაშენი შეძლებული კაცის შვილი იყო, მე კი — მოახლისა... ტოლები ვიყავით, ირგვლივ მინდორ-ველი გადაშლილიყო... გაზაფხულზე ყველა სულდგმულს ერთმანეთისკენ მიუწევს გული და ჩვენც თავლის უკან შევხვდით ერთმანეთს. მამაშენმა თავი ვეღარ შეიკავა... მეც წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიე... პაპაშენმა გუდა-ნაბადი აუკრა დედას და სახლიდან გამოგვრეკა... დედაჩემი ძალიან ჩქარობდა, არ უნდოდა ვინმეს გადაყროდა გზაზე.. მე დედაზე სულ არ ვწუხდი... ბავშვის, ჩემი მომავალი შვილის ბედი მაწუხებდა... გავიდოდა ხანი და პაპაშენი შვილიშვილის სა-

ნახავად მანქანით მოვიდოდა... ცხოვრება თავიდან, სხვანაირად დაიწყებოდა, ისე როგორც წესი და რიგია... მაგრამ მე ვერ ვივარგე, ცარიელ ჩენჩოსავით ფუჭი, უნაყოფო გამოვდექი... სამუდამოდ...

მანუელა გაჩუმდა, მეგონა, რომ გრძნობა დაკარგა. ის უკვე ნამდვილი მანუელა აღარ იყო. ვიფიქრე, მეტს აღარაფერს მეტყვის-მეთქი და ოთახიდან გასვლა დავაპირე, მაგრამ ზეწრიდან ხელმა აიწია და მეც გავჩერდი...

— ხომ ხედავ? მე დედაშენს არა ვგავარ. შეგვადარე, თუ გინდა..

თავი ავიღე და კედელზე ჩამოკიდებულ დედაჩემის პორტრეტს შევაჩერდი. დიახ, ისინი სულაც არ ჰგავდნენ ერთმანეთს. დედაჩემის მაღალი ყელი თითქოს ძვირფასი ყელსაბამისთვის იყო შექმნილი, ხოლო ძვირფასი ყელსაბამი ასეთი ყელის დასამშვენებლად მოგონილი. მანუელას კი ძალიან დაბალი კისერი ჰქონდა. დედაჩემს კეთილშობილება, მაღალი ჩამომავლობა ეტყობოდა. როცა მანუელა ახლომახლო არ იმყოფებოდა, ეს თვისება ზოგჯერ მამის ქცევაშიც გამოსჭვიოდა. მანუელა სხვანაირი იყო, სიკვდილის მსახვრალმა ხელმაც ვერ მოახერხა იმ დაღის წაშლა, რაც მასზე, ერთფეროვანმა, ყოველდღიურმა შრომამ დააჩნია ამ ქალს.

— დედაშენიც მამაშენის წრიდან იყო... გავიდა ხანი და მათ იქორწინეს, მერე შენც გაჩნდი... დედა მუცელს გადაჰყვა... მე მაშინ შორს ვიყავი თქვენგან და არაფერი ვიცოდი... თქვენებს სუსანა მიეყვანათ... მას რამდენიმე თვის ბიჭი ჰყავდა და ძალზე ბევრი რძე ჰქონდა. მერე მამაშენმა მე მომძებნა... თავისთან წამიყვანა!.. ამიხდა ნატვრა! მე კი, დანიელ, გთხოვ, კარგად გამიგო. — შითხრა სასოწარკვეთილმა მანუელამ და ნაღვლიანი თვალებით ოთახში ძებნა დამიწყო, — მე კი უშვილო გამოვდექი, ცარიელი ჩენჩოსავით უნაყოფო!..

მეგონა, ახლა კი ნამდვილად კარგავს-მეთქი გრძნობას, თეთრ ზეწარზე გადმოკიდებული ხელიღა უთრთოდა. მაშინალურად დავიწყე თვლა — ერთი, ორი, ათი, ოცი სეკუნდი — და ვხვდები, რომ მოსახდენი მოხდა.

მთელი სახლი სკამებით გაავსეს. უამრავ ვარდებს მძაფრი სურნელი უდიოდა. მთელი სიცხადით ახლაღა გავიგე, რაც მოხდა.

ყოველი მხრიდან ფუტკრების მომქანცველი ბზუილი ისმოდა, მერე ყური თანდათან მეჩვია ამ ხმაურს. სოფლელმა სტუმარმა ღამე ჩვენთან გაათენა. სახეზე არც მწუხარება ემჩნეოდა. არც სიხარული. ვერ გაიგებდი, დაღლილი იყო, თუ კარგად გრძნობდა თავს. ეტყობოდა პირველად არ ესწრებოდა ადამიანის სიკვდილს. უბრალოდ. ეს კაცი არსად არ აპირებდა წასვლას, იდგა და აბოლებდა. აინუნში არ აგდებდა, სამძიმრის საოქმელად მოსული ჩვენი ნათესავ-ნაცნობები ამრეზით რომ შეხედავდნენ ხოლმე. ისინი თვალებით ეძებდნენ ნაცნობთა ჯგუფს, ამ კაცს კი არავინ ეკარებოდა. არაფერზე აღარ მინდოდა ფიქრი, შეკრებილთ ვათვალიერებდი, მათზე მინდოდა გულისყურის გადატანა. მაგრამ ერთი კითხვა მოსვენებას არ მაძლევდა: „სუსანას რატომ არ უყურებდა მაშინ, მე რად მომჩერებოდა?“

მამაჩემი რომ მიახლოვდებოდა, მაშინაც ამაზე ვფიქრობდი. საღამოს ექვსი საათიდან ეს კაცი ისე შეიცვალა, რომ ძლივსღა ვცნობდი. სკამი მოსწია ჩემკენ, გვერდში მომიჯდა და არეულად. სვენებ-სვენებით მითხრა:

— მანუელა მხოლოდ შენ გაგიტყდა... რას იზამ. ეს მისი გულის ხვაშიადი იყო, საიდუმლო უშვილო ქალისა...

გაჩუმდა. დიდხანს მორჩილად უყურებდა კუბოს, სანთლებს, მერე ოთახს მოავლო თვალი და დაიწყო:

— სუსანა ბრინჯს რომ იპარავდა, მანუელამ პირველ დღესვე გაიგო... იმ ქალის გაგდება მე არ შემეძლო, ვერც მანუელა იზამდა ამას... ეს მერე მოხდა, კარგა ხნის მერე... შენ მანუელას გაურბოდი, პირს არ უჩვენებდი... სუსანას იყავ შეჩვეული. აი, ამის ბრალი იყო! კაცებს შვილი საჭიროდ მიგვაჩნია, ქალებისათვის კი შვილი ჰაერივით აუცილებელია. იმ დღეს თავისთავად მოხდა ყველაფერი. მანუელას უნდოდა, რომ სუსანას მანკიერება დაგენახა... ეს უშვილო ქალის უნიადაგო, განწირული ცდა იყო და მეტი არაფერი! რაც მოხდა, იმის გასწორება აღარ შეიძლებოდა. მანუელამ, ასეთი საშინელი შეცდომა რომ ჩაიდინა, მთელი ღამე ტირილში გაატარა...

მამა გაჩუმდა. არ ვიცოდი, რა მეთქვა, რა გზას დავდგომოდი! აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს. რაღაც გამოსავალს ვეძებდი, მაგრამ სად იყო ეს გამოსავალი? კარებში გავარდნა ამ დროს ცუდი გამოსავალია! ან სად უნდა გავქცეულიყავი? საკუთარ თავს ვერსად გაექცევი! მივხვდი, რომ ამ ჭერქვეშ სუსანას სახელს აღარ ვახსენებდი, მხოლოდ მანუელას მოვიგონებდი ყოველთვის. ყველაფერს გამოვიკითხავდი, რაც ჩემს დედინაცვალს შეეხებოდა, და ყოველთვის გულით ვატარებდი ამ ქალის სახელს.

ძველი რკინა

ხანში შესულმა ლუკასმა ხელი აუსვა სახნისს და თითებზე აყოლილ ჟანგს დააცქერდა, თან იმას ვარაუდობდა, რამდენი ხანი იქნება, რაც გუთნის პირს მიწა არ გადაუბრუნებია. ამ დროს ფეხის ხმა შემომესმა. უკან რომ მიიხედა, ჯარისკაცის ფეხსაცმელები დაინახა.

— ლუკას, კაპრალმა გამომგზავნა. გიბარებს, რაღაც საქმე აქვს შენთან.

ლუკასი მისი ხნის კაცისთვის უჩვეულო სიმსუბუქით წამოხტა და შიკრიკს იმედით შეხედა სახეში, მაგრამ მან მეტი არაფერი უთხრა, ზურგი შეაქცია და გაბრუნდა. ლუკასს პირზე შეაშრა ის კითხვა, მთელი ოცი თვე რომ გულს უღრღნიდა. ჯერ იფიქრა, შინ შევალ, ჩემს დედაკაცს და სამ გოგოს გავაგებინებ ახალ ამბავსო, მაგრამ გადაიფიქრა და ცხენისკენ წავიდა. თვალის ღახამხამებაში შეკაზმა, ზურგზე მოახტა. დეზი ჰკრა და თავის დღეში რომ არ დამართნია, ისეთი რამ შეემთხვა: ფორთოხლის ხის სიმაღლე ზუსტად ვერ მოზომა და ფარფლიანი ქუდი წამოსდო.

ქარმა პირველი შემობერვისთანავე მოსტაცა ქუდს ფორთოხლის ხიდან ჩამოცვენილი ფოთლები და ცხენს გავაზე დააყარა. ლუკასმა ფოთლებს დახედა და გონების თვალით თხუთმეტი წლის წინანდელ ამბებს დაუბრუნდა...

ქარიანი დღე იყო, გაფიცხებულ მიწას ბუღი ასდიოდა. ლუკასმა ფერნანდიტოს ფორთოხლის ნერგი მიაჩეჩა ხელში, გრძელი, დაკოჟრილი თითებით ორმო ამოასუფთავა და ბიჭს უთხრა:

— რიგიანად ჩარგე მიწაში და დააცადე. გაივლის დრო და ამ ნერგისგან შენი ხელით გამოთლი გუთნის სახელურს.

მართლაც ასე მოხდა. ფორთოხლის ხეს ტოტი რომ შეაჭრეს, შვილი უკვე ოცდაორი წლისა იყო. ფერნანდიტო ტოტსა ქერქავდა, ლუკასი კი იდგა და კმაყოფილი ადევნებდა თვალს ოფლით გაჟღენთილი პერანგის ქვეშ როგორ მოძრაობდნენ შვილის მძლავრი კუნთები.

ხის სახელური დღესაც საიმედოდ ჰქონდა მორგებული გუთანს. ლუკასის თითებს კი კვლავ ჟანგის კვალი აჩნდა. მამა ახლაც ცხადად ხედავს ყანაში სამუშაოდ გასულ ფერნანდიტოს: ჭაბუკი ერთი ხელით გუთნის სახელურს აწვება, მეორით ხარებს მიერეკება; კვალში კი ქათმები ჩასდგომიან, მიწაში იქექებიან და ჭიაყელებს უნისკარტებენ. მაინც რა ხანმა განვლო მას შემდეგ? ვერა. ლუკასი ამას დანამდვილებით ვერ იტყოდა, იმიტომ რომ ფერნანდოს წასვლამდე რამდენიმე თვით ადრე მიწები დაიტბორა და ამის გამო აღარ ხნავდნენ. ჯანდაბას. რაკი ახლა შვილის ამბავს შეიტყობს, განა სულ ერთი არ არის. რამდენმა ხანმაც განვლო!

ასეთ ფიქრებში გართულმა ლუკასმა შეუმჩნევლად გალია გზა და ფონ ფედერიკო ლუნას მამულში ამოყო თავი. ხის ბოგირზე ცხენის ფლოქვები რომ გახმაურდა, იმან გამოარკვია. ე. ბერიკაცო დონ ფედერიკო ლუნა! მოხუცმა ლუკასს ერთხელ ხუმრობის კილოთი ესაყვედურა, ნამეტანს ნუ აქებ შვილსო და ეს იმიტომ უთხრა, რომ იმ დღეს, როცა ფერნანდოზე ჩამოვარდა სიტყვა, ლუკასმა მიამიტად თქვა:

— ღამით გარეთ რომ გამოვდივარ, ფერნანდო უკან ამედევნება. გზა არ აებნესო, რასაც ჩემი თვალები ველარ ამჩნევენ, ის მაშინვე დაინახავს. ორივეს მაგივრად ხედავს. თუ მე მკლავი მიმტყუნებს ზოგჯერ, მაშინ უნდა ნახოთ ჩემი ბიჭი! უწინ ერთი მოქნევით ვჭრიდი ახალგაზრდა მანგლეს, მაგრამ ხანში შეეედი და ძალა აღარ მომდევს. გული მაინც დაარხეინებული მაქვს, ბიჭი უკან მომყვება და მანგლეს თავისუფლად მოჭრის-მეთქი.

ლუკასმა დონ ლუნასებური ღიმილი რომ შეამჩნია მეზობლებს, ცოტა ეუხერხულა, ასე რომ აქებდა ფერნანდოს და დასძინა:

— ჩემი შვილი რომ არის, იმიტომ კი არ ვაქებ, მე იმის თქმა მინდა, რომ უკეთეს ვაჟკაცს დედა ვერ ინატრებს. მაგრამ ეგეც

არის, შვილები სეიბის ხის თესლებივით არიან: სხვა მხარეში, სხვა ადამიანებისკენ გაგიფრინდებიან.

„ჩემი ფერნანდოც ნამეტანი შორს გავაფრინე", — ფიქრობდა ლუკასი, როცა ცხენმა ბოგირი უკან მოიტოვა და ყაზარმისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა... შვილი შორს, ისე შორს გადაუკარგეს, რომ აღარ იცოდა, სად იყო ეს „შორს". აი. როგორ მოხდა: ერთხელ, საღამო ხანს კაპრალმა და ლეიტენანტმა ორი ჯარისკაცი მოიყოლეს, ლუკასის სახლში რაღაც თავშესაყრელი პუნქტივით მოაწყვეს და მთელი ოლქის ახალგაზრდობამ მათთან იწყო დენა სიებში ჩასაწერად.

გამოხდა ცოტა ხანი. ფერნანდოს გაწვევის ბარათი მოუვიდა — ქალაქში უხმობდნენ. სიტყვაძუნწად გამოეთხოვნენ ერთმანეთს. დედაბერი კისერზე ჩამოეკიდა შვილს და მერე მთელი ოცი თვის განმავლობაში სახლიდან თავი არ გამოუყვია. მამამ ცხენთან მიაცილა ბიჭი. ახლაც არ იცის, შვილს სათქმელი არაფერი ჰქონდა თუ დარდის გამომჟღავნება არ უნდოდა, — გუთანს შეხედა და ნაძალადევად გაიღიმა:

— მოხუცო, ჩემ მოსვლამდე ახალ სახელურს ხელს ნუ ახლებ. მაგით მე უნდა ვიმუშაო...

აი, ასე დაიწყო.

მერე სოფელში ლაპარაკს მოჰყვნენ:

— ამბობენ, პირდაპირ მეორედ მოსვლაა, ქვეყანა იქცევაო!

— ამინდიც გადაირია, ასეთი ხანგრძლივი გვალვა ჯერ არავის ახსოვს.

— რაღას არ იტყვიან! იმასაც ამბობენ, დედამიწა გავარვარდა და სანამ ჯარისკაცები მინდორს თელავენ, მოსავალი არ მოვაო!

სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ, მაგრამ მოხუც ლუკასს ყველაფერზე თავისი მოსაზრება ჰქონდა და ამ ხმების პასუხად ბუზღუნებდა:

— ყური არ უნდა უგდოთ ასეთ ლაყბობას! ენას ძვალი არა აქვს და სიტყვას ბაჟიო.

თუმცა ასეთი სიტყვები იმაზე თვალის დახუჭვას უდრიდა, რაც ლურჯი მთების იქით ხდებოდა... არა და, აბა, ეს ყველაფერი რაში ეკითხებოდა ლუკასს? მისთვის მთავარი ის იყო, რომ ფე-

რნანდომ ტყუილი არ იცოდა და, რაკი თქვა, დავბრუნდები და გუთანს მოვეჭიდებიო, ერთ მშვენიერ დღეს მართლა დაბრუნდებოდა კიდეც...

ამ ფიქრებში გართულმა ლუკასმა უცებ შეამჩნია, რომ ცხენი უკვე აღმართზე ადიოდა, — ყაზარმას მისდგომოდა. ტერასისაკენ გაიხედა და ჩვეულებრივი სურათი დაინახა: კარის ორივე მხარეს, კედელთან სკამები იყო მიდგმული, ჯარისკაცის გაცვეთილ გიმნასტერაში და გულდასმით გაპრიალებულ ჩექმებში გამოწყობილი სოფლელი ბიჭი იდგა ზღურბლზე. ლუკასს კაპრალის სიტყვები გაახსენდა:

— შენი ბიჭის წერილებს სხვისი ხელით არ გამოგიგზავნი. სიამოვნებით შეგინახავ და თვითონ გადმოგცემ.

ასე უთხრა კაპრალმა სამი თვის წინ, როცა ფერნანდოს პირველი წერილი გადასცა. ლუკასმა შვებით ამოისუნთქა:

„ეს კაპრალი სიტყვის კაცი ყოფილა. ნამდვილად მეორე წერილი ექნება მიღებული“.

ცხენიდან ჩამოსვლა არც უნდოდა, სახლს მიუახლოვდა და მიესალმა ბიჭს. მაგრამ კაპრალის მაგიერ სხვა კაცი შერჩა ხელში. მოხუცმა მაშინვე იცნო და უნაგირზე გასწორდა; ეს კაცი ოლქის ალკალდი იყო. იმავე წუთას შენობიდან კაპრალის ნაბიჯები შემოესმა და მისი ხმაც გაიგონა:

— ლუკას, ჩამოდი ცხენიდან. რამდენი ხანია გელოდებით.

ლუკასმა არაფერი უპასუხა, მაგრამ კაპრალის ხმაში რაღაც ისეთი იგრძნო, რომ დაემორჩილა და ცხენიდან ჩამოვიდა.

— რა ამბავია, კაპრალო, წერილი მიიღეთ?

— არ ვიცი, რანაირად გითხრათ, აი, ეს თქვენს სახელზეა გამოგზავნილი და უნდა გადმოგცეთ.

ამ სიტყვებთან ერთად ალკალდმა ლითონისაგან ნაკეთები რაღაც ნივთი გაუწოდა. ლუკასმა ნივთის გასინჯვა დააპირა. მაგრამ მისი ყურადღება ალკალდის ქურთუკის მანჟეტებზე გაკეთებულმა წითელმა საკინძეებმა მიიპყრო და გაახსენდა. რომ ერთ საღამოს მან სოფლის ფარდულში ნახა ასეთი საკინძეები და გადაწყვიტა, ჩემს ფერნანდოს ვუყიდიო.

— გამომართვი, ლუკას!

როგორც იყო, მოხუცმა ნივთს დახედა: ნომრიანი ლითონის ძეწკვი იყო.

ბის გამომეტყველებას, ლუკასი სადღაც შორს იყურებოდა. რაკი თვალებზე ვერაფერი შეატყო, თავში შესანიშნავი აზრი მოუვიდა, რაც ნამდვილად მალამოსავით უნდა მოსცხებოდა ლუკასის გულს.

— რა იცით, იქნება სწორედ მაგ რკინისაგან ნაკეთებმა იარაღმა მოუღოს ბოლო თქვენი შვილის მკვლელს. ცხოვრება ასეთია, ლუკას. ბოლოს ყველას მიეზღვება თავისი კუთვნილი.

თითქოს მიწიდან იზრდებაო, მოხუცი ნელა წამოიმართა ფეხზე. თვალებში ისევ ის სხივი ედგა, რომლითაც შვილი გააცილა.

— კაპრალო, ვინც ჩემი შვილი მოკლა, იქნებ ისიც ოცდაორი წლისაა და მასაც საბრალო მოხუცები მიელიან შინ?

— კი მაგრამ, ის ხომ მტერია ჩვენი, ლუკას?

ლუკასს მეტი არაფერი უკითხავს, გუთანს ხელი წაავლო, ქანჩმოშვებული ჭანჭიკი გამოაძრო, სახნისი მოხსნა, ხელში აიღო და ჭისკენ გაემართა.

— რას სჩადიხართ, ლუკას? — გაისმა მოხუცის ზურგს უკან კაპრალის ძახილი.

ლუკასმა ყური არ ათხოვა. კაპრალის სიტყვების პასუხად ჭის ფსკერზე ყრუ დგაფუნი გაისმა. ლუკასი ხელცარიელი შემობრუნდა, რათა მიწიდან იმ ფორთოხლის ხის ტოტისგან გამოთლილი სახელური აეღო, რომელსაც მზისკენ ჰქონდა მიმართული ჯერ კიდევ პირშეუკვრელი ჭრილობა.

დაბრუნება

კაპრალი პერესი ცხენით ბრუნდებოდა დაბიდან. მზე ჩადიოდა და დასავლეთის ქედები ლურჯად იყო დაფერილი. კაპრალი ვერაფერს ამჩნევდა. მზის ჩასვლა და ამისთანა რამეები, საერთოდ, არ არსებობდა მისთვის. თვალი მხოლოდ ყვითელ და შავ ფერზე ჰქონდა შეჩვეული: ყვითელი ფერისა იყო ყოველთვის გულღასმით დაუთოვებული მისი სამხედრო ხალათი, ხოლო შავი ფერისა — რევოლვერის ლულა. როდის შეუყვარდა ეს ფერები? განა თვითონ კი ახსოვდა, როდის! ყვითელი ფერის იყო ის მშადი, ბავშვობაში მშობლების ღარიბულ სუფრაზე რომ შეექცეოდა და კუპრივით შავ ღამეში იყო გახვეული ის სოფელი, სადაც დაიბადა. ასე იყო ბავშვობაში და არც შემდეგ შეცვლილა რამე. უკეთესი ცხოვრებისა და ფერების ძიებამ ყვითელ ყაზარმებში მიიყვანა. ალისფერსისხლიან საქმეში გარია. ბრუნდებოდა ცხენზე ამხედრებული პერესი და ლუკასის სიტყვები ტვინს უბურღავდა:

„კაპრალო, ვინც ჩემი შვილი მოკლა, იქნებ ისიც ოცდაორი წლისაა და მასაც საბრალო მოხუცები მიელიან შინ?"

მოხუცის ნათქვამი კითხვაც იყო და პასუხიც. ბებერმა ლუკასმა პირში მიახალა ეს სიტყვა და სევდიანი, ცისფერი თვალებით მიაჩერდა. უწყალო იყო მისი გამოხედვა. ამის უფლებას ის უბედურება აძლევდა, რამაც გაუქარვებელი ვარამი მოუტანა მოხუცს.

„ალბათ ისიც, ვის მოსაკლავადაც ავროვებთ ჯართს, ჩემი ბიჭივით ოცდაორი წლისაა და მასაც მოხუცი მშობლები ელიან შინ?"

„კი მაგრამ, ის ხომ მტერია ჩვენი, ლუკას?" — უნდოდა ეყვირა კაპრალს, მაგრამ თავი შეიკავა, — მხოლოდ იმიტომ კი არ შეიკავა თავი, რომ ბერიკაცმა სახნისი ჭაში ჩააგდო, იმიტომაც, რომ ლუკასის სიტყვები გულზე მოხვდა, ღრმად ჩააფიქრა ჯარისკაცი,

ვინც სიყრმიდან მოკიდებული იმ დღემდე ყვითელი და შავი ფერის ვარდა სხვა ფერი არ იცოდა.

ყოველივე ძალიან უბრალოდ მოხდა, მაგრამ დარტყმა დაუნდობელი იყო. ამ დარტყმამ შეარყია და სადღაც ღრმად, ორი უცვლელი ფერის ქვეშ ჩამარხული მოგონებები და ფიქრები აუშალა.

დაბაში ხარახურის, გადასაყრელი, პირამომტვრეული ცულის საქებნელად მივიდა, რათა ყაზარმასთან უკვე დახროვილი რკინის ჯართისთვის კიდევ მიემატებინა ცოტა. დათქმულ დღეს ამ რკინით მატარებელს დატვირთვენ და დედაქალაქში ჩაიტანენ. მერე დედაქალაქიდან გემით ოკეანის გადაღმა წაიღებენ და ზურგში შეგროვებულ მთელ ამ ჯართს იქ გადმოტვირთავენ, სადაც სამხედრო ქარხნებიდან დღედაღამ ამოდის კვამლი.

და უცებ ბერიკაცი პირში ახლის კაპრალს:

— ამ რკინით ვისაც უპირებთ მოკვლას, ისიც ოცდაორი წლისაა და მასაც მშობლები მიელიან შინ!

საშინელებაა, როცა ადამიანი ასე ლაპარაკობს. მაგრამ ამ ბერიკაცს შვილი ჰყავდა დაღუპული და ამიტომ ჰქონდა ასეთი ძალა მის სიტყვებს. განა ის კაცი, ვისაც შვილი მტრის ტყვიამ გაუგმირა, თუნდაც რკინის პატარა ნაჭერს გაიმეტებს იმისთვის, რომ ბიჭები, სხვების შვილები ხოცონ ფრონტზე? დიახ, შვილები, რადგან ომში ჯარისკაცები კი არა, შვილები იბრძვიან! თუ ეს მართალია, მაშინ საკითხავი, აი, რა არის: განა სამართალია, ადამიანს შვილი მხოლოდ იმიტომ მოუკლა, რომ ვიღაცა სხვას უკვე მოუკლეს შვილი?

კაპრალი ისე წაიღეს ფიქრებმა, რომ აღარ იცოდა, საით მიდიოდა. მისი ცხენი იმავე გზას დასდგომოდა, იმ დღეს ლუკასმა რომ გაიარა, როცა კაპრალმა შვილის დაღუპვის ამბავი შეატყობინა. ახლა მისი გზა ორნაირად ემთხვეოდა ბერიკაცის გზას: ერთს ფიქრები მიუყვებოდა, მეორეს — მისი ცხენი.

ომში ჯარისკაცები კი არა, მხოლოდ შვილები იბრძვიან! მოულოდნელად ეს აზრი ახალი ფერივით შეიჭრა მის ცხოვრებაში. ნათელი ცისფერი, რომლის არსებობა დღემდე გუმანითაც არ იცოდა. თვითონაც იყო ჯარისკაცი, თვითონაც იყო შვილი, მაგრამ ახლა ეს როდია მთავარი. მთავარი ის არის, რომ მასაცა ჰყავს

შვილი, ისეთივე შვილი, როგორიც ფერნანდო იყო ლუკასისათვის, ისეთივე როგორიც ის უცნობი ფრონტელია თავისი მშობლებისათვის, ტყვიას რომ უმზადებდა. ორი წელია, რაც ომი დაიწყო; შეიძლება ხუთი წლის შემდეგაც არ დამთავრდეს, ხუთი წლის შემდეგ კი მისი შვილი ოცი წლისა გახდება. ოცი წლისას კი წაიყვანენ და იქ უკრავენ თავს, სადაც ახალგაზრდობით გაჭედილ მატარებლებს და გემებს გზავნიან. ლუკასის შვილივით მათაც სიკვდილი მოელით უცხო მხარეში.

— ღმერთო ჩემო! ისინი ჯარისკაცები კი არა, შვილები არიან! — ამოიძახა სასოწარკვეთილმა კაპრალმა და მოწყვეტით შეაჩერა ცხენი. ნაღვლიანად მიმოიხედა ირგვლივ და ჩამავალი მზე შენიშნა, მზე ლურჯ მთაგრეხილზე დაკიდებულ სისხლის წვეთს მიაგავდა. ყველაფერი დუმდა, მიწა ადამიანის აზრებს არ ეხმაურებოდა. საღამოს ბინდი თანდათან გადადიოდა ბნელში — კაპრალის პირველი და შავბნელი ფერი ისადგურებდა დედამიწაზე.

„სინამდვილეში რომ მოხდეს, ის რისაც მეშინია?.. სამხედრო წვრთნა, ფრონტზე გაგზავნა და... სიკვდილი?“ ო, ღმერთო, ასეთი ფიქრები თავიდან უნდა მოიშორო კაცმა! მაგრამ იფიქრებ თუ არ იფიქრებ, ეს არაფერს შეცვლის, მოსახდენი შეიძლება მოხდეს და ისიც ბებერი ლუკასივით იტყვის:

„სხვასაც რომ შვილი უნდა მოუკლან, განა ეს სამართალია!“ კაპრალი მიხვდა, რომ ლუკასი იმის შვილსაც გულისხმობდა, ამქვეყნად ყველას შვილებს გულისხმობდა. რა უბრალოდ გაუსწორდა ლუკასი სიკვდილს: რკინის ნაჭერს არავინ მისცემს, არავინ გააღვივებს შუღლს და მტრობას; შურისძიების სურვილსაც კი გააქარწყლებს ლუკასის კეთილი, ცისფერი თვალები. მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ეს? შეძლებს კი ლუკასი ყველას თავისებურად აფიქრებინოს. განა იმ მდიდარი ბატონებიდან, სენატორებიდან, კანცლერებიდან რომელიმე მიიტანს ხალხთან ლუკასის ამ უბრალო სიტყვებს.

„არავინ!“ — უპასუხა თვითონვე და აღვირი მიუშვა. მაგრამ ბერიკაცმა ხომ ჭაში ჩააგდო თავისი სახნისი და ამით უჩვენა მაგალითი. ჯერ ერთი მოიქცა ასე, ერთს მეორემ უნდა მიჰბაძოს, ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამ საქმეში — ან რკინა უნდა ჩაფლას მიწაში, ან წყალი უნდა გადაასხას თოფის წამალს.

ან გულხელი დაიკრიფოს და ახლოს არც ქანჩს გაეკაროს და არც პერკეტს. მას, კაპრალს, რაღა აქვს, რა ჩააგდოს ჭაში და თანაც რიმელ ჭაში? ავბედით ყვითელ და შავ ფერზე ხომ არ თქვას უარი და ახალი, ასე მოულოდნელად მოვლენილი ცის ფერი ხომ არ დაიტოვოს? მაგრამ როგორ უნდა გააკეთოს ეს?

ეზა მრავალი იყო: თუნდაც მუნდირის ვახდა და ყაბარძის ეზოში დახვავებული რკინის შავი მთის გუთნებად გადადნობის მოთხოვნა. მერე რა დღეს დააყენებენ? ამაზე არ უნდა ინაღვლოს! განა ნაღვლობდა მოხუცი, მას, ხელისუფლების წარმომადგენელს ხურგი რომ შეაქცია უსიტყვოდ და უშიშრად ჩააგდო სახნისი ჭაში?

კაპრალი შეკრთა. განა ის კი ვაჟკაცი არ არის? ხოლო თუ კაცმა მაღალი და სამართლიანი აზრი გაიგო და ირწმუნა, იმისი უარყოფა აღარ შეუძლია. არადა სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს პატიოსნებასა და სამართლიანობას. მაშასადამე, რაღაც უნდა იღონოს. კაპრალმა თავი აიღო და ცაზე საღამოს ვარსკვლავს დაუწყო ძებნა.

მაგრამ ამაო იყო ვარსკვლავებისათვის დახმარების თხოვნა. ადამიანები სხვას კი არაფერს აკეთებდნენ, დღედაღამ ცას შესჩიოდნენ თავის ნაღველს. მაშ, როგორ მოიქცეს? ისევ ძველებურად ხომ არ იცხოვროს, ძველი გზით ხომ არ იაროს, რომ ისევ ძველებურად გავიდეს დღეები და ადამიანებიც უცვლელნი დარჩნენ? ლუკასი! ამ კაცის სახე თავიდან ვეღარ ამოიგდო. არჩევანი უნდა გააკეთოს ლუკასსა და ვარსკვლავს შორის. ვარსკვლავი იმისთვის კიაფობს ცაზე, რომ ადამიანმა ამაო იმედით აღაპყრის მისკენ თვალი; ლუკასი კი, სხვათა შვილების საკლეტად რკინის მიცემაზე უარი რომ თქვა, დედამიწაზე დგას და ადამიანებს ასწავლის, როგორ მოიქცნენ.

„იმიტომ, რომ ქვეყნად სხვისი შვილები არ არსებობენ". მოყვასის შვილი შენი შვილიც არის, სულ ერთია ერთნაირი თვალები და ღიმილი აქვთ თუ არა... ესეც ლუკასმა გააგებინა. მაშასადამე, ძველი გზით სიარული, ძველი აზრებით ცხოვრება აღარ გამოადგებოდა.

სადავე მოზიდა, ცხენმა თავი აიქნია და დაღეჭილი ბალახი

გამოაგდო ლაშებიდან. ახლა ვარსკვლავი კაპრალის ზურგს უკან მოექცა, ხოლო წინ, ღამის სიბნელეში ლუკასის სახლი იყო ჩაკარგული...

სიბნელეს შეჩვეულმა ბერიკაცის თვალებმა ხელად იცნეს მხედარი.

„მობრუნდა, ესენი ყოველთვის ბრუნდებიან ხოლმე", — გაიფიქრა ბერიკაცმა, მაგრამ კაპრალმა სიტყვის თქმა არ დააცალა.

— მითხარით, ლუკას, რამდენ რკინას დაიტევს თქვენი ჭა?

ლუკასი დუმდა.

— გამაგებინეთ, რაც ყაზარმაში რკინა მაქვს დაგროვილი, მთლიანად ჩაეტევა? დაიტევს მთელი ქვეყნის რკინას?

კაპრალი მომწყვდეული მხეცივით აცეცებდა თვალებს. შუბლზე ღვარად სდიოდა ოფლი, ხმაში სასოწარკვეთილება ეტყობოდა. ლუკასი ყველაფერს მიუხვდა.

— ცხენიდან ჩამოხტით, კაპრალო, რით შემიძლია გამოგაოგვეთ?

კაპრალი ცხენიდან ჩამოხტა, მაგრამ მოხუცთან არ მივიდა, მგლური ნაბიჯით ჭისკენ გაემართა. ლუკასი უკან აედევნა.

— შეუძლებელია, ლუკას, რომ ქვეყანაზე მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდეთ ეს; სხვებმაც ხომ უნდა გაიგონ!

— ტანჯვა თანდათანობით ბევრ რამეზე აუხელს თვალს ადამიანებს.

სამხედრო შემობრუნდა. მოხუცის სახის გარჩევა უნდოდა სიბნელეში. საღამოს ვარსკვლავი ახლა ლუკასის სომბრეროს ოავზე კიაფობდა. კაპრალი მოხუცის თვალებს ვერა ხედავდა, მაგრამ გრძნობდა მის ბრძნულ გამოხედვას, ამ გამოხედვაში თითქოს მთელი ქვეყნის ტანჯულთა ვარამი იყო ჩაქსოვილი. და მან ნელა დახარა თავი, იგრძნო, რომ ერთ ნაბიჯზეც ვეღარ მოსცილდებოდა აქაურობას, ვეღარ წავიდოდა აქედან, ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ ომი ყველგან არ დამთავრდებოდა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მარჯნის მერანი 3
ესტელა 15
მარიო ბენხამინას ცხოვრების ოთხი დღე 21
ბედის ჩარხი 32
ძალაუფლების მოყვარული ბუ 39
მთხრობელი 46
ვენახშირეები 57
ლეონელა 70
ჩემი და ვისია 78
ასთაკვებზე მონადირე 83
ჯუბელის გული 91
მთის ბილიკზე 101
ნინო 106
დიდი ხნის შემდეგ 111
ძველი რკინა 122
დაბრუნება 129

ს. ბ. № 2011

რედაქტორი მანანა ზუბადალაშვილი
მხატვარი ა. თევზაძე
მხატვრული რედაქტორი ჯ. უავლაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. დონდუა
კონტ.-კორექტორი თ. შინდაგორიძე
კორექტორი ნ. ნატროშვილი
გამომშვები ლ. თავართქილაძე

გადაეცა ასაწყობად 16.12.87, ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.88, ქაღალდის ზომა 60×84 1/16; გარნიტნური ვენა; ბეჭდვა მაღალი; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,90; საბ. ქაღალდი № 1; საღებავგატარება 8,37; სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 6,02; ტირაჟი 20.000; შეკვ. № 1560.

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მშვიდობის გამზ. 28.
Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира 28.

380060, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ., შედქალაქი,
II სასწ. კორ., საქ. სსრ გამხატვრობის № 4 სტამბა.

380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, Медгородок,
II учеб. корп., Типография № 4 Госкомиздата Груз. ССР.